



ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2016 წ. ოქტომბერი, №10(73), ფასი 3 ლარი

ალექსანდრე
ბაგრატიონი
— რუსეთის
17 «დიდი
ელჩის»
მონაწილე
დასავლეთ
ევროპის
ქვეყნებში

გიორგი სააკაძის ძეგლი



«ქართველი მიქელანჯელო» — მერაბ ბერძენიშვილი

„ეროვნული ფესვების,
ძებლების, ტრადიციების
უარყოფა ღრმა
უფსკრულისკენ
მიგვაქანებს. იქიდან
ამოსვლა კი თვით „მითური
ამირანისთვისაც“ ძნელია...
დღეს ხელოვანი ჰგავს
ადიდებული მდინარის
გაღმა ნაპირზე დარჩენილ
კაცს, რომელიც კივის,
ყიჟინებს, მაგრამ სოფელს
მისი ხმა არ ესმის“

49

ილია
ჭაგჭაგაძე:

10

**უეცრობა და უვიცრობა დიდი ჭირია
და, თუ ამას თან დაჰყვან უჭკუობა
და უნიჭობა, სომ ჭირზე უფრო ჭირია**



**პირველი ქალი
რუსეთის
იმპერიაში,
რომელმაც
«საუნივერ-
სიტატო
ნიშანი» მიიღო**

რუსუდან ნიკოლაძე

4



37

თავისუფლების მოედანი



**საბჭოთა არმიისა და ხალხის
გამარჯვება კავკასიისათვის
წარმოებულ ბრძოლაში არის
ერთ-ერთი უბრწყინველესი
ფურცელი დიდი სამამულო
ომის ისტორიაში.**



ფ. უსიპოვს ნახატები

სარჩევი

„თერგდალეულები“ ■ პირველი ქალი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც «საუნივერსიტეტო ნიშანი» მიიღო	4
ილიას გაკვეთილები ■ ილია ჭავჭავაძე: «უეცრობის ფართი-ფართი»	10
უნივერსიტეტის პირველი პროფესორები ■ მიხეილ კონიაშვილი — საქართველოში მათემატიკის სწავლების მეთოდების ფუძემდებელი	11
ბაგრატიონები რუსეთში ■ ალექსანდრე ბაგრატიონი — რუსეთის «დიდი ელჩობის» მონაწილე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში	17
სახელოვანი წინაპრები ■ იოანე მინჩი — ჰიმნოგრაფი კოლხეთიდან	24
მთნობრავის ჩანაწერები ■ თედო სოსოქია: მოგზაურობა აჭარაში	25
ეს საინტერესოა ■ საქორწინო წეს-ჩვეულებანი ვერის ხეობაში	31
პრესის არქივიდან ■ «დაჩაბრული» საქართველო	34
დედაქალაქის ისტორია ■ თავისუფლების მოედანი	37
„იმ დღეებს კიბლი უნდა ავუბოთ“ ■ 1943 წლის 9 ოქტომბერი — ქავკასიის ბრძოლის დასასრული	41
სსრკ-ს ■ «ქართული მიქალანჯელო» — მერაბ ბერძენიშვილი	49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბკ) 050 (479.22)
0-892

პირველი ქალი რუსეთის იმპერიაში, როგორც «საუნივერსიტეტო ნიშანი» მიიღო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში, რომელშიც თავიდან 369 სტუდენტს 18 პროფესორ-მასწავლებელი ასწავლიდა, გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის იმპერიაში არსებულმა უნივერსიტეტებმა: პეტერბურგში, მოსკოვში, ყაზანში, ტომსკში, კიევში, ოდესაში, ხარკოვსა და იურევეში (ტარტუში). ყველა ამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა მაღალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობდა. აი, აქ განსწავლული ქართველობა, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის უნივერსიტეტის ნამყვანი პროფესორ-მასწავლებლები გახდნენ.

აი, ისინიც: პეტერბურგის უნივერსიტეტელები — ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, იოსებ ყიფშიძე, ივანე ბერიტაშვილი, შალვა ნუცუბიძე, იუსტინე აბულაძე, დავით ყიფშიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, რუსუდან ნიკოლაძე, ერეკლე ტატიშვილი, მიხეილ პოლიექტოვი;

მოსკოვის — ანდრია რაზმაძე, ანდრია ბენაშვილი, არჩილ ხარაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, მიხეილ ასათიანი, მიხეილ კონიაშვილი, იულონ ლომოური, ნიკოლოზ ცხვედაძე;

ოდესის — პეტრე მელიქიშვილი, გიორგი ახვ-

ლედიანი, ალექსანდრე ნათიშვილი, სიმონ ამირეჯიბი, სიმონ ყიფშიძე, იოველ ქუთათელაძე, ვლადიმერ ჟღენტი, გრიგოლ ქურდიანი, ვარლამ მოსეშვილი, ვასილ ვარაზიშვილი, გიორგი გეხტმანი; **კიევის** — კორნელი კეკელიძე, გრიგოლ ნათაძე, ნიკო ქოიავა, ზაქარია მაისურაძე, სიმონ გოგიტიძე;

ტარტუს (იურიევის) — ალექსანდრე ალადაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, იროდიონ სურგულაძე; **ყაზანის** — ალექსანდრე ჯანელიძე და **ტომსკის** — გრიგოლ მუხაძე.

რა თქმა უნდა, ეს სია, სრული არ არის. სწორედ ამ პიროვნებებმა მოიტანეს საქართველოში კლასიკური, ეროვნული და რუსული მეცნიერების მიღწევები, რომელთა წყალობით თბილისის უნივერსიტეტმა ფეხი აიდგა და მოწინავე მსოფლიო მეცნიერების ფერხულში ჩადგა.

ღვანლი ამ პიროვნებებისა იმდენად დიდია, რომ იგი თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს და დავინწყებას არ უნდა მიეცეს. ჩვენი პუბლიკაციების მიზანიც სწორედ ეს არის.

ამჯერად მოგიტხოვრებთ პროფესორ რუსუდან ნიკოლაძეზე, ქართველ ქიმიკოსზე, რომელიც გახლდათ რუსეთის იმპერიაში პირველი ქალი, რომელმაც „საუნივერსიტეტო ნიშანი“ მიიღო.

რუსუდან ნიკოლაძე მხატვარ დავით გურამიშვილის დის — ოლა გურამიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის უფროსი ქალიშვილი იყო. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა 70 წლის განმავლობაში უშუალოდაა დაკავშირებული საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის მრავალათასიანი კადრების მომზადებასა და აღზრდასთან.

მსცოვანი მეცნიერი ერთ თავის მოგონებაში, რომელსაც სევდიანი კილო გადაჰკრავს, აცხადებს: „დავრჩი სულ მარტო მამისა და დედის მემკვიდრეობის მცველად და მომვლელად“. სინამდვილეში კი რუსუდან ნიკოლაძე დარჩა არა მხოლოდ მამის, ნიკო ნიკოლაძის, მემკვიდრეობის მცველად და მომვლელად, არამედ მისი საქმის გამგრძე-



რუსუდან ნიკოლაძე

ლებლადაც.

გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე, №21 სახლში, რომლის კედლებზეც სამი მემორიალური დაფაა გაკრული — ნიკო ნიკოლაძის, მისი შვილის — გიორგი ნიკოლაძისა და სიძის მიხეილ პოლიექტოვისა — მამისეულ ბინაში ცხოვრობდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე. ამ სახლში წამდაუნუმ ისმოდა ტელეფონის წკრიალი, ხან სადარბაზო შემოსასვლელიდან რეკდნენ ზარს და მიღებას თხოულობდნენ.

ვის არ ნახავდით აქ — მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს, მეცნიერებს, ჟურნალისტებს, პედაგოგებს. ზოგი დისერტაციას იცავდა და მასალებს თხოულობდა, ზოგი მაღლობის სათქმელად მოდიოდა.

აქ ხშირად იყვნენ სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ურალიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან.

1884 წლის 16 დეკემბერს პეტერბურგში, ნევის ნაპირას, ნიკო ნიკოლაძის ბინაზე მთელ ღამეს სინათლე არ ჩამქრალა. აქ იყვნენ ოლღას დედა — ქეთევან გურამიშვილი და მისი ძმა, მხატვარი დავით გურამიშვილი. აქვე იყო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, ზიჩის მონაფე სამხატვრო აკადემიაში, ნიკო ნიკოლაძის ოჯახის დიდი მეგობარი, მხატვარი გიგო გაბაშვილი. ისინი ოლღა გურამიშვილისაგან პირველი შვილის დაბადებას ელოდნენ.

— ჰო, ჩემო ქეთევან, — გახუმრებია ნიკო თავის სიდედრს, — თუ მეოთხე შვილიც გოგო დაიბადოს, ნუ მაჩვენებთო. და აი, ნიკოს ოლღა გურამიშვილისაგან პირველი შვილი გოგო შეეძინა.

— შვილო ნიკო, — უთქვამს სიძისათვის ქეთევანს, — გოგო შეგეძინა, დახედე და მითხარი, მიგაქვს თუ არა უკან შენი სიტყვები.

მამას აჩვენეს ახალშობილი, რომელიც თეთრ ზენარში გაეხვიათ და ვერ ისვენებდა. ნიკოს დაუხედავს პატარასათვის და მაშინვე უთქვამს — უკან მიმაქვს ჩემი სიტყვებიო. მას ოლღა და დავით გურამიშვილთან ერთად შვილის სახელის არჩევაშიც მიუღია მონაწილეობა და რუსუდანი დაურქმევიათ, მაგრამ მთელი აურზაური მაშინ ატეხილა, როცა არც ერთი რუსი მღვდელი და არც ეკლესია არ დათანხმებულა, დაერქმიათ ასეთი „არანმინდანის“ სახელი, ვინაიდან საეკლესიო სიაში ასეთი სახელი შეტანილი არ არისო. ერთ მღვდელს კი უთქვამს — ბავშვს მე მოგინათლავთ, რაისას დავარქმევ, თქვენ კი რუსუდანი დაუძახეთო, მაშინ ნიკოს სასახლის ეკლესიის მღვდლისთვის უთხოვია შვილის მონათვლა და ისტორიული საბუთებიც მოუშველიებია: თუკი ჩვენი მეფის ტიტულში შედის Царь Иверский, ანუ Грузинский, მაშნოგორ შეიძლება, რომ ქართველი მეფეების სახელები აკრძალული

იყოს რუსეთის ეკლესიაში?! ჩვენ ხომ საქართველოში ქრისტიანობა 500 წლით თქვენზე ადრე მივიღეთო. მაგრამ არც ტახტის მღვდელმსახური დათანხმებულა ქალიშვილის მონათვლაზე, სანამ გაბრაზებული ნიკო არ მისულა საქართველოს ყოფილ მეფისნაცვალთან — მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვთან, რომელსაც ნიკო უცვნია, როგორც 1877 წლის რუსეთ-თურქეთის ომის სამხედრო კორესპონდენტი. ნიკოს დანახვაზე გაუხსენებია ყარსის აღების ამბები, ნიკოს გადასახლება საქართველოდან და შეპირებია შვილის მონათვლის საქმის მოგვარებას. თანაც სიცილით უთქვამს: რუსუდან დედოფალი ძალზე ფიცხი ქალი ყოფილა. იმედია, თქვენს შვილს ეგ თვისება არ დაენათლებაო.

ასე ეღირსა ნიკო ნიკოლაძეს ნევის ნაპირზე თავის შვილისთვის ქართული სახელი დაერქმია, რუსუდანს მეტრიკაში უწერია: „Крещена придворной его Величества церкви“.

ამასთან დაკავშირებით რუსუდანი იგონებს:

1921 წელს, როდესაც განათლების კომისარიატში სამსახურში მამუტკიცებდნენ, ჩემმა მეტრიკამ ცუდი სამსახური გამიწია, მარიამ ორახელაშვილმა პირდაპირ იკივლა: — „Ка-ак? Крещена в придворной церкви? Почему? Откуда? Дочь Чернышевца и вдруг придворная церковь! Кто мог это ожидать!“

მე ამან გამანანყენა და სიტყვა შევუბრუნე: — Да, я дочь и Чернышевца и „разночинца“.

შემდეგ კი, როცა ამ ამბავს გაიხსენებდა ხოლმე, დავით კანდელაკი დიდხანს ხარხარებდა.

„როგორც კი გაეჩენილვარ, — იგონებს რუსუდან ნიკოლაძე, — დედაჩემს მაშინვე შეუდგენია აღზრდის „კარლ ფოგტისებური“ გეგმა, მამაჩვენი კი ჟან-ჟაკ რუსოს აღზრდის სისტემის მომხრე ყოფილა, მის „ახალ ელოიზაში“ და „ემილში“ წამოყენებული თეორიის მიმდევარი, რაც ილია ჭავჭავაძეს და დედაჩემს წმინდა წყლის „უტოპიად“ მიაჩნდათ, მაგრამ ერთი დებულება ამ სკოლებს საერთო ჰქო-

ნდათ: ბავშვის აღზრდა სოფელში, ბუნების ნიაღში. ამიტომ ორივე მოკამათე აღმზრდელი შეთანხმებულია იმაზე, რომ მამაჩემი გაყიდა ბინას პეტერბურგში, იქაურ საქმეებს სასწრაფოდ მოაგვარებდა და სამშობლოში დაბრუნდებოდა. მით უმეტეს, რომ მამას ხუთწლიანი (1881-1886) სასჯელი უთავდებოდა და ამიტომ შეიძლებოდა უკვე ნიადაგის მომზადება სამშობლოში წამოსასვლელად.

მაგრამ სად? თბილისში თუ სოფელში, რასაც პესტალოცი მოითხოვდა ბავშვის აღზრდისათვის? ამის მომხრე ჟან-ჟაკ რუსოც იყო. გადაწყდა, ჩვენი ოჯახის სოფელში დაბრუნება, მაგრამ რომელში? სად? მამას იმწამსვე თავისი დედულეთი — დიდი ჯიხაიში აურჩევია. აქ ყველაფერი, რაც გვაბადია გავყიდოთ, სოფლად შევიძინოთ პატარა ნაკვეთი და სახლი დავდგათო, დედას კი ავჭალის გურამიანთ კარში მოუნდომებია მოწყობა ან კიდევ დედამისის, ქეთევან, რევაზ თუმაიშვილის ასულის მშობლიურ მეჯვრისხევში, გორთან. იმ მოსაზრებით, რომ ორივე ეს ადგილი ქართლის გულს წარმოადგენდა და, მაშასადამე, დედის რწმენით, იქ ბევრად უფრო წმინდად შეითვისებენ შვილები დედა-ენას, ვიდრე ქვემო იმერეთის „კინტრი-კვახის“ კუთხეშიო. „კინტრი-კვახიო“?! — ანთებულია მამაჩემი: ამას ავჭალელები მაყვდრიან, თქვენი „ტაქნითა“ და „სტოლი-სტულით“, ქართული ჭიქისა და მაგიდის ნაცვლად?! და გაჩაღებულია ორთაბრძოლა ქართლსა და ქვემო იმერეთის ირგვლივ“.

რუსუდან ნიკოლაძემ, როგორც ნიკო ნიკოლაძის ყველა შვილმა, მეტად საინტერესო სკოლა გაიარა, ჯერ თავის სახლში, მერე კი რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთში ქალისთვის უმაღლესი განათლების მიღება და ისიც უნივერსიტეტის დამთავრება ძნელი, თითქმის შეუძლებელი საქმე იყო. რუსუდანი კი 1896—1898 წლებში სწავლობდა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში, შემდეგ (1898—1904 წწ.) — თბი-

ლისის ქალთა პირველ გიმნაზიაში, რომელიც ოქროს მედლით დაამთავრა. 1909 წელს რუსუდანმა პეტროგრადის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ხოლო 1913 წელს — პეტროგრადის უნივერსიტეტი ფიზიკა-ქიმიის განხრით და იქვე დატოვებს სამეცნიერო მუშაობისთვის. იმ დროს იქ მუშაობდნენ გამოჩენილი ქიმიკოსები ვლადიმერ იპატიევი და სერგეი ლებედევი.

რუსუდან ნიკოლაძე პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლებში თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით ბევრი სტუდენტისაგან გამოირჩეოდა; დაუახლოვდა გამოჩენილ პროფესორებს: ვერხოვსკის, ლებედევს, იპატიევსა და სხვებს. ისინი რუსუდანს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

მეცნიერის ძვირფას და უნიკალურ არქივში ინახება და დაცულია რუსუდან ნიკოლაძისადმი მიძღვნილი ასამდე ლექსი, რომელთა ავტორები არიან ვერხოვსკი, ლებედევი, ლაპშინი, ოშანიინი, ივანოვა, ვაგინა და სხვები.

იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც რუსეთის განათლების მინისტრმა კასსომ გამოსცა, ვაჟებთან ერთად ქალებსაც ენიჭებოდათ უფლება, უმაღლეს სასწავლებელში მათთვის პირველად შექმნილი კომისიისთვის სახელმწიფო გამოცდები ჩაებარებინათ.

რუსუდან ნიკოლაძე პირველი ქალი იყო რუსეთის იმპერიაში, რომელმაც 1913 წელს ბრწყინვალედ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, მიიღო დიპლომი და მოიპოვა უფლება, ეტარებინა მაგისტრანტის განკუთვნილი საუნივერსიტეტო სამკარდა ნიშანი. გამოცდების შემდეგ რუსუდანი დროებით სამშობლოში ჩამოვიდა.

1913 წლის ივნისში თბილისში გამართა ბუნებისმეტყველთა მე-13 ყრილობა, რომლის საპატიო თავმჯდომარე იყო ცნობილი ექიმი კურორტ აბასთუმნის „მამა“ **ილია გოპაძე**, ყრილობას კი ხელმძღვანელობდა ცნობილი მოსკოველი ქიმიკოსი პროფესორი **კაბლუკო-**

ვი, რომლის წინადადებითაც ყრილობის მორიგი სხდომის საპატიო მდივნად არჩეულ იქნა რუსუდან ნიკოლაძე. აი, რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით პროფესორმა კაბლუკოვმა: **„აქამდე ქართველ ქალებს ფიზიკური სილამაზით ვიცნობდით ლერმონტოვისა და მხატვარ ზიჩის წყალობით, ახლა კი ამას გონებრივი სრულყოფაც ემატება“.**

რუსუდანი ბავშვობიდანვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წრეში ტრიალებდა. ესენი იყვნენ ნიკოს ახლო ნათესავები და მეგობრები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, რომელსაც პირველ ცოლად ჰყავდა რუსუდანის მამიდა ოლიმპიდა ნიკოლაძე. ნიკოს მეორე და, ფროსიკო, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის — ალექსი ჭიჭინაძის ცოლი იყო. აი, ის წრე, სადაც ფეხი აიდგეს ნიკო ნიკოლაძის შვილებმა.

აქ ჩამოთვლილ საზოგადო მოღვაწეთაგან, რომლებიც ნიკო ნიკოლაძის ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ, ჩვენ მოვიყვანთ რუსუდან ნიკოლაძის მოგონებას გიორგი წერეთლის შესახებ, რათა უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს იმაზე, თუ როგორ უბრალოდ შინაურულად იყვნენ დაკავშირებული ისინი ნიკოს ოჯახთან და მის შვილებთან. ვინ იცის, თვით დიდი ილია და აკაკი რამდენჯერ გასაუბრებიან პატარა რუსუდანს და მის ძმას — გიორგის; ილიამ გიორგის სანერ-კალამიც კი აჩუქა.

„გიორგი წერეთელი, — წერს რუსუდან ნიკოლაძე, — ბუნებით მოწოდებული პედაგოგი იყო. მან დამაინტერესა ქართული ჟურნალ-გაზეთებით. თავისი დასის გააფთრებული ბრძოლით მეფის ცენზურასთან.

გიორგი არასოდეს გვივიწყებდა პატარებს.

— ხომ იცი, — რამდენჯერმე მითხრა გიორგიმ, — შენ ოლიკოს მემკვიდრე ხარ ქართველ ქალთა საქმეში. აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინო! და რომ ეს ამაოდ თქმული არ იყო, ამის დასამტკიცებლად მან და „დეიდა ტასომ“ (ანასტასია თუმანიშვილი) ჩემი სურათი დაბეჭდეს

„ჯეჯილის“ 1893 წლის საახალწლო ნომერში. მართალია, იმ სურათზე მე, ცხადია, დაუსახელებლივ ვიყავი მოთავსებული, როგორც „ბავშვი ყვავილებით“, მაგრამ ყოველივე ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ იმ დღიდან მე დედის სურვილიც კი შევასრულე და დღიურის წერა დავიწყე: და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მასში ეს ჩემთვის სასიხარულო ამბავი შევიტანე.

აპრილში კი იმავე დღიურში შეტანილი მაქვს ბარათაშვილის თბილისში გადმოსვენების ამბავი.

დღემდე მახსოვს, რა მითხრა გიორგი წერეთელმა, როცა „ჯეჯილში“ ჩემი სურათი დაიბეჭდა: — რაკი შენმა სახემ საბეჭდი მანქანა აამუშავა სტამბაში, ახლა მთელი საქართველო გაგიცნობსო. ეს კი გავალებს, ნამდვილ ქალად გაიზარდო. რა საქმე უფრო გაინტერესებს? — ზღაპრების წერა და ჭრაკერვა-მეთქი, ვუპასუხე. გიორგიმ არც კი შეიმჩნია რამე — კაი გემოვნება გქონიაო, — მიპასუხა, მაგრამ იცოდე: როგორც ჭრაკერვას, ისე წერასაც ცოდნა და სერიოზული მომზადება ესაჭიროება. აი, თუნდაც მამაშენს ჰკითხე. ამიტომ გირჩევ, დედას დაუჯერე და ჯერ დღიურები წერე. შემდეგ კი... — ჰმ, გაილიმა მან: — შემდეგ კი ისევ შენს ზღაპრებს დაუბრუნდი. აბა ნახე, ჩვენი ელიკო (გიორგის ქალიშვილი) რა კარგად წერს „ჯეჯილისათვის“. მშვენიერი ენა აქვს და კალამიც. ჩვენს სახლში ყველა მწერალია, გაიცინა მან, ეს „სენი“ გადამდები ყოფილა! (დედაჩემისაგან მან იცოდა, რომ მეც სულ მწერლობაზე ვოცნებობდი ხუთი წლის ასაკიდან). ამ საუბარმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მწერლობა მართლაც თამაში ხომ არ იყო, როგორც მე ეს მეგონა, ჩემი დედოფლებისთვის ტანსაცმლის ჭრაკერვისა და მათთვის „მოთხრობების“ წერის დროს. ამას ხომ ნიჭიც უნდოდა. ჩვენს ოჯახში, თბილისსა და ქუთაისში, მართლაც ყველა ქალი მასწავლებელი იყო, გიორგი წერეთლის სახლში კი ყოველი ქალი მწერალი ხდებოდა, დიდც და პატარაც, სტუმარიც და

მასპინძელიც: ეკატერინე გაბაშვილი და ტასო წერეთელი, კეკე მესხი და სონა ციციშვილი, თვით თხუთმეტი წლის ელიკოც კი, ჯერ კიდევ მოკლევადიანი გიმნაზიელი.

...1893 წლის 1 იანვარს დაწყებული ჩემი დღიური გიორგიმ გადასინჯა, მომიწონა და დედაჩემს მიუბრუნდა ღიმილით: — დახეთ ამ ქალბატონს, მგონი ამასაც მწერლობა დაუპირებიაო!

მე კი თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— აბა ვნახოთ, ვინ აჯობებს, შენი დღიური თუ ჩემი „კვალიო“...

ასეთი გულში ჩამწვდომი სიტყვებით ჩამიბეჭდა გიორგი წერეთელმა სიყვარული იმ საქმისადმი, რომელსაც თვითონ ემსახურებოდა.

* * *

მეფის რუსეთში 1907 წლამდე უნივერსიტეტის კარი დაკეტილი იყო ქალებისათვის. ნიკო ნიკოლაძემ, რომელსაც დიდი ავტორიტეტი და ფართო ნაცნობობა ჰქონდა არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ მთელ ევროპაშიც, მოახერხა რუსუდანის მოწყობა ორი წლით ადრე პეტერბურგის ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ისტორიკოსი **პლატონოვი**. ამ ინსტიტუტმა, რომელსაც „ქალთა უნივერსიტეტი“ ერქვა, რუსუდანს, მის მიერ არჩეული სხვადასხვა დარგის გასაცნობადაც ფართოდ გაუღო კარი. და აი, რატომ: ამ სასწავლებლის ახალგაზრდა, ნიჭიერ პროფესორთა მონიწივე („მოსოცი-ალისტო“) ჯგუფი ახლოს იდგა მოსკოვისა და პეტერბურგის იმდროინდელ ყველაზე მონიწივე საზოგადოებასთან — მწერლებთან, კომპოზიტორებთან და თეატრალური ხელოვნების მოღვაწეებთან. ეს პროფესორები: ქიმიკოსები — ვერხოვსკი და ლებედევი, მუსიკისმცოდნე, ფილოსოფოსი ლაპშინი და ისტორიკოსი პოლიევქტოვი, რომელიც ხელოვნების ისტორიის პროფესორიც იყო, იზიარებდნენ სტუდენტთა მონიწივე იდეებს და თანაუგრძნობდნენ მათ. ოთხივე პროფესორი თავიდანვე დაინტერესდა ოქროს მედალოსან



ნიკო ნიკოლაძის ოჯახი. პირველ რიგში სხედან: გიორგი ნიკოლაძე, ქეთევან გუარამიშვილი, კალთაში — თამარ ნიკოლაძე, რუსუდან ნიკოლაძე. მეორე რიგში: ნინო მაკაროვა-ზურაბიშვილი, ოლა ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძე

ქალთა ჯგუფით, რომელიც არც ერთ საინტერესო კონცერტს, წარმოდგენას ან გამოფენას არ ტოვებდა უყურადღებოდ. სტუდენტთა ეს ჯგუფი მთლიანად გაირიცხა ინსტიტუტიდან 1905 წლის 9 იანვრის დემონსტრაციის თანაგრძნობისთვის, მაგრამ მათ მაშინვე გამოე-სარჩლა მონიწივე პროფესორთა ჯგუფი და ოცივე აღადგინეს ინსტიტუტში.

ამრიგად, რუსუდანი პირველი კურსიდანვე გაეცნო ხელოვნების ისეთ საინტერესო კერებსა და მმართველებს, როგორიც იყო, მაგალითად, კომისარჟევსკაიას ახლადგახსნილი თეატრი, გორკის, ჩეხოვის, ანდრეევისა და იბსენის რევოლუციური სულისკვეთების მქონე პიესები — „მოაგარაკენი“, „მზის შვილები“, „თოლია“, „ვარსკვლავებისაკენ“, „ცხოვრება ადამიანისა“, „მშენებელი სოლნესი“ და სხვ. ან კიდევ „დიდმარხვის“ სეზონისათვის მოსკოვიდან ჩასული სამხატვრო თეატრი, რომელშიც იმჟამად ორი ქართველიც მუშაობდა რეჟისორად: **ვახტანგ მჭედლიშვილი** და **აკაკი ფალავა**. ამ თეატრის „გენერალიტეტი“ — სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალო-

ვი და ლუჟსკი პოლიევქტოვის და მის საუნივერსიტეტო წრესთან ახლოს იდგნენ და მოსკოვიდან პეტერბურგში ჩამოსვლისას მისი და პროფ. პრესნიაკოვის ხშირი სტუმრები იყვნენ. ვერხოვსკისა და ლებედევის შემწეობით რუსუდანი ახლოს გაეცნო ხელოვან ხალხს: სომოვსა და დობუჟინსკის, სორინსა და სუდეიკინს, ოსტროუმოვა-ლებედევას, ლიდია ვერხოვსკაიასა და სხვებს. ეს წრე ხან ერთ ოჯახში იყრიდა თავს, ხან — მეორეში. ვერხოვსკის უფროსი და ოლა, აგრეთვე, მხატვარი, ცნობილი მუსიკოსი კრიტიკოს კარატიგინის მეუღლე იყო და მათთან პარასკევობით რევოლუციის წინა პეტერბურგის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებს შეხვდებოდა; ზოგი თეატრიდან გამოდიოდა, ზოგი — სხდომიდან. აქ შალაპინსაც ნახავდით და მოისმენდით კიდევ (თუ პეტერბურგში მღეროდა იმ დღეებში), სკრიაბინისა და რახმანინოვისთვის აქ მუდამ მზად იყო ორი როიალი მნიშვნელოვანი წარმოებების შესასრულებლად. მაგალითად: სწორედ იმ ხანად რუსუდანს ბედი ეწია და მოისმინა სტასოვის მიერ საჯარო ბიბლიო-

თეკიდან გამოტანილი მუსორგსკის „სოროჩინის ბაზრობა“ კარატიგინისა და ლაპშინის შესრულებით, რომელიც კარატიგინმა გადააკეთა ორი როიალისთვის.

ამის შემდეგ ეს ოპერა პირველად მოსკოვის დიდ თეატრში დაიდგა 1913—1914 წლების ზამთრის სეზონში.

იმ პარასკეობებზე ახალი მიმართულების მწერლებიც იკრიბებოდნენ პოეტ იური ვერხოვსკის (ოლლა, ლიდია და პროფესორ ვადიმ ვერხოვსკების ძმა) ხელმძღვანელობით. რუსუდან ნიკოლაძე იქ ხშირად ხვდებოდა რემეზოვს, დემიან ბედნის, ვსევოლოდ ივანოვს, თევდორე სოლოგუბს, კუზმინს, მასთან მეგობრობდნენ მხატვრები — სორინი და სუდეიკინი. კარატიგინის პარასკეობებზე რუსუდანი ისმენდა ახალგაზრდობის საინტერესო კამათს; ერთ ოთახში მუსიკის ხმები ისმოდა, მეორეში — ცხარე კამათი, აზრთა გაზიარება, „მრწამსთა შეტაკება“. საერთოდ, **იმ წლების პეტერბურგში ბევრი მოწინავე ოჯახი წარმოადგენდა მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცოცხალ კერას იმჟამად შემოღებული ეგრეთ წოდებული ჟურფიქსების (ე.ი. დანიშნული დღეების) მადლით.** კარატიგინებთან ეს იყო პარასკევი (ორ კვირაში ერთხელ); ვერხოვსკებთან — შაბათი, ლებედევებთან — ოთხშაბათი, ქიმიკოს იპატიევთან — ხუთშაბათი. მუსიკის ხაზით კი „მეშვიდე ცას“ წარმოადგენდა კომპოზიტორ რიმსკი-კორსაკოვის ოჯახში „ღია შაბათობა“. და აი, იმ ღია შაბათობაზე რუსუდანს ფართოდ გაეღო კარი, მით უფრო, რომ კომპოზიტორ რიმსკი-კორსაკოვის უფროსი ვაჟი — მიხეილი რუსუდანს ზოოლოგიის კურსს უკითხავდა. და, რაც მთავარია, კომპოზიტორი რიმსკი-კორსაკოვი დიდ პატივს სცემდა რუსუდანის მამას — ნიკო ნიკოლაძეს.

მშობლების წყალობით რუსუდანი ბავშვობიდანვე ეზიარა ევროპულ კულტურას, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად მან შემოიარა ევროპის დიდი ქალაქები — პარიზი, ლონდონი, რომი, ბერლინი, ჟენევა,

ვენა და სხვ. შინ შეისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, აგრეთვე, იტალიური და ჩეხური ენები.

რუსუდანი პარიზში ყოველ ჩასვლაზე სორონის უნივერსიტეტში ისმენდა მარიამ კიურის, მასტანისა და ლემატელიეს ლექციებს, ბერლინში თავის ძმა გიორგისთან ერთად — ზომბარტისა და სხვა გამოჩენილი პროფესორების ლექციებს. შვეიცარიაში ხვდებოდა და მეგობრობდა ცნობილ ფილოსოფოს ციგლერთან და ლაპშინთან, ჟენევის უნივერსიტეტში ისმენდა ქიმიკოს გრეგესა და კერმანის ლექციებს.

1912 წელს მან პრალაში ნახა არა მარტო ტიხო დე ბრაგეს განთქმული საათი ქალაქის თვითმმართველობის შენობის კოშკზე, არამედ დაათვალიერა ალქიმიკოსების საცხოვრებელი გამოქვაბულები და ჟიგმონდის მიერ პირველად აღმოჩენილი და აგებული ულტრამიკროსკოპი.

1913 წელს რუსუდანი პეტერბურგიდან ნორვეგიაში გაემგზავრა და დაესწრო სამხრეთ პოლუსიდან დაბრუნებული ამუნდსენის შეხვედრას ნანსენთან...

იმ დავასა და ცხარე კამათს, რომელიც იმართებოდა ხოლმე ნიკო ნიკოლაძისას თბილისსა და ქუთაისში, ფოთსა და ჯიხაიშში, მოსკოვსა თუ პეტერბურგში, პარიზსა თუ ლონდონში, ჟენევასა თუ ბერლინში, ციურისსა თუ რომში, ისმენდა ცნობისმოყვარე და ნიჭიერი რუსუდანი და დღიურებსაც კი ადგენდა. 1893 წელს 8-9 წლის გოგონამ თავის დღიურში დიდი ასოებით ჩაწერა ასეთი სტრიქონები: „გუშინ საოცარი ამბავი მოხდა: 50 წლის მკვდარი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯიდან თბილისში ჩამოასვენეს და აქ დამარხეს“. დედის მეთვალყურეობით განაგრძობდა იგი დღიურების წერას დიდი ხნის განმავლობაში. და დღეს მის განჯინაში აწყვია გაყვითლებული რვეულები — ბრწყინვალე მოგონებები, რომლებიც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა და დიდ გამოსმაურებას პოულობდა ფართო საზოგადოებრიობაში.

რუსუდან ნიკოლაძის ბიოგრა-

ფია მამამისის, ნიკო ნიკოლაძის, ბიოგრაფიის გაგრძელებაა. ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალების შემდეგაც (1928 წ.) მის სახლში რუსუდანის წყალობით არ ჩამქრალა დიდი შემოქმედებითი ძიება, კამათი და აზრთა ჭიდილი. აქ კამათობდნენ, მსჯელობდნენ ძველსა და ახალ ლიტერატურაზე, თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებზე. ისმოდა გარდასულ დროთა საინტერესო მოგონებები. ისევ გრძელდებოდა ნიკოს მიერ დაწყებული მეგობრობის დიდი ტრადიციები.

1917 წელს რუსუდან ნიკოლაძე დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაება საგანმანათლებლო მუშაობაში. ჯერ მუშაობდა დიდი ჯიხაიშის სკოლებში (1921 წლამდე), შემდეგ კი თბილისში მუშაობა დაიწყო სახელმწიფო უნივერსიტეტში განთქმული ქიმიკოსის — პეტრე მელიქიშვილის ლაბორატორიაში და ითვლებოდა მის ნიჭიერ მოწაფედ.

მას შემდეგ, რაც ნიკო ნიკოლაძემ სოფელ დიდ ჯიხაიშში მოაწყო საცდელი მეურნეობა, გაიყვანა გზები, სარწყავი არხები, დააარსა ფოსტა-ტელეგრაფი, საავადმყოფო და სხვა კულტურული დაწესებულებანი, ჯიხაიში გახდა დასავლეთ საქართველოს კულტურის ცენტრი, სადაც ჩამოდიოდნენ დიდი ქართველი მწერლები — აკაკი წერეთელი, იონა მეუნარგია, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები, წლების განმავლობაში ჯიხაიშის საავადმყოფოში მუშაობდა ცნობილი ექიმი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე გომართელიც.

ჯიხაიშში მოწყობილ ნიკოს საცდელ მეურნეობაზე ლაპარაკობდნენ არა მარტო მოსკოვსა და პეტერბურგში, არამედ პარიზსა და ლონდონში, ბერლინსა და რომში, ჟენევასა და მადრიდში, სადაც ნიკო ნიკოლაძეს მრავალი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა. ჯიხაიშში საცდელი მეურნეობის სანახავად არა მარტო რუსეთიდან, საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიოდნენ მეცნიერ მუშაკები, ფერმერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ფოთში ნიკოს კომქს ეწვივნენ მერემ-

კოვსკი და მისი მეუღლე ზინაიდა გიპიუსი, რომლებიც ნიკომ ფოთიდან ჯიხაიში ჩამოიყვანა და თავისი საცდელი მეურნეობა დაათვალიერებინა.

ნიკომ, აბრათვე, პირველად საქართველოში სოფელ დიდ ჯიხაიში გიმნაზია გახსნა, სადაც მოიწვია საუკეთესო მასწავლებლები.

1917 წელს რუსუდან ნიკოლაძე პეტერბურგიდან დიდ ჯიხაიში ჩამოვიდა თავის მამასთან და იქ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მაგრამ, სანამ რუსუდანი ჯიხაიში ჩამოვიდოდა, მან ადრე 1915-1917 წლებში სპეციალურად დაამთავრა პეტროგრადში პირველად გახსნილი სკოლამდელი აღზრდის კურსები, რომლის მიზანი იყო, რომ იტალიაში პირველად შემოღებული ბავშვების სწავლების ახალი სისტემა დანერგილიყო რუსეთის საბავშვო ბაღებში.

„ჩემდა სასიხარულოდ, — ამბობს რუსუდანი, — მას შემდეგ, რაც სოფლად ლექცია-მოხსენებები წავიკითხე მონტესორის სისტემის შესახებ, ბევრი მიმდევარი და მომხრე შევიძინე სკოლებში; და ამიტომ „არა მარტო საცდელი ჯგუფი მივიღე ერთი წლით ჩემს განკარგულებაში წერა-კითხვის „უნიგნო“ სწავლების დასადგენად“, არამედ დამევალა, ფართოდ გამეშალა მუშაობა სოფლად მონტესორის მეთოდით დაწყებით სკოლებში სწავლის დანერგვისათვის და სისტემატურად წამეკითხა ლექცია-მოხსენებები სოფლის სკოლებში“.

საქართველოში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1921 წლიდან რუსუდან ნიკოლაძე განათლების კომისარიატში იწყებს მუშაობას და მთელი ენერგიით ხელმძღვანელობს დაწყებითი შრომის სკოლებისა და საბავშვო ბაღების მუშაობას. ის კომისარიატში ეწევა დიდ თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას. უშუალოდ მონაწილეობს განახლებული სკოლების გარდაქმნასა და ცხოვრების ახალ სტილზე, ახალ ნიადაგზე მის დაყენებაში. ენერგიულად მუშაობს სა-



მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის დაბადებიდან 80 წლისა და სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გიგლიოთაქის კლუბში. ტრიზუნასთან — რუსუდან ნიკოლაძე; უკან მარცხნიდან — კლარა რამიშვილი, როდინე ქორძია, ანა ღვინიაშვილი და თამარ მაჭავარიანი

ბავშვო ბაღებისა და შრომის სკოლების შესაფერისი სახელმძღვანელოების შედგენისათვის.

1925 წელს რუსუდან ნიკოლაძე სცემს სქელტანიან წიგნს „წერა-კითხვა საბავშვო ბაღში და შრომის სკოლაში“, თუმცა რუსუდან ნიკოლაძის გვარი სახელმძღვანელოს ყდას არ აწერია. წიგნს ორი ავტორი — ს. მაჩაბელი და ნ. წულუკიძე — ჰყავს, მაგრამ ორივე ავტორს 315-გვერდიან სახელმძღვანელოში მხოლოდ 49 გვერდი ეკუთვნის, ისიც რუსუდან ნიკოლაძისა და მისი მამის — ნიკო ნიკოლაძის მიერ წაკითხული და შესწორებული. სახელმძღვანელოს წინასიტყვაობა და წიგნის თეორიულ-პრაქტიკული ნაწილი 61 გვერდიდან 315 გვერდამდე მთლიანად რუსუდანს ეკუთვნის, მისი დაწერილია და ეს სახელმძღვანელოშიც აღნიშნულია 61-ე გვერდზე.

„როგორც კი სახელმძღვანელოს წერა დავამთავრე, — მორიდებით მითხრა რუსუდანმა, — მთელი წიგნი სარედაქციოდ მამას გადავეცი, რომელმაც გულმოდგინედ წაკითხა იგი, სათანადო შესწორებები შეიტანა და მითხრა:

— შვილო, მენ მე ქიმიკოსი მეგონე და ლინგვისტი, ენათმეცნიერი

ყოფილხარო. ეს ნიკოსაგან წიგნისა და მისი ავტორის დიდი ქება იყო“.

1933-1974 წლებში რუსუდან ნიკოლაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრაზე მოღვაწეობდა, იყო ამ კათედრის გამგე. იგი მუშაობდა არაორგანული ქიმიის საკითხებზე. ავტორია მრავალი სამეცნიერო, მეთოდური და მემუარული ნაშრომისა. 1970 წელს დ. გვარამაძესთან ერთად შეადგინა ქიმიის ტერმინოლოგია.

მას შეეძლო ამაყად გადაეხედა მის მიერ განვლილი სასახელო გზისთვის და თამამად გაემეორებინა ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

დაე, თუნდ მოვკვდე,

არ მეშინიან,

მაგრამ ისე კი, რომ ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან

ვლიან,

თქვან: აღასრულა

მან თვისი ვალი.

რუსუდან ნიკოლაძე გარდაიცვალა 1981 წელს, 96 წლისა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მომზადდა

ალექსანდრე სიბუას

ნარკვევის „მეცნიერი და მოქალაქე“ (1975წ.) მიხედვით.

ილია ჭავჭავაძე

«უმეცრობის ფართი-ფურთი»

უმეცრობა და უვიცრობა დიდი ჭირია და, თუ ამას
თან დაჰყვება უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია.

ჭკუიანი უცოდინარი ყოველთვის თავისი ქერქშია, — რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება. რასაც გონება მისი უცოდინარობით ვერა სწვდება, იქ იგი მეტიჩარობას არა ჰკადრულობს, დუმილს უფრო ჰრჩეობს, სხვას უსმენს, სმენილს თავისი ჭკუის და გონების თვალწინ განკითხვით გაიტარებს, ასწონს-დასწონის და ამნაირად თავისი საკუთარს აზრს, ცოდნას გამოინასკვავს, შეითვისებს. ამ ყოფით, თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალწინებს, და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა.

ჭკუიანი უცოდინარი თავმდაბალია, თავისი-თავი სხვაზე მეტი არა ჰგონია, არა ჰბაქიობს, არ იკვების, თითონ ზიზილ-პიპილებით არ ირთვება და სხვას მწვარში არ ახვევს. მან თავისი ყადრი და ადგილი იცის და სხვისაც, ერთნაირად მორიდებულია ყოყორობას, ზვიადობას და ნამეტნავად მეტიჩარობას, არამკითხე მოამბეობას. რაც იცის, იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ ინვდენს, მეტს სიბრძნეს და ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკილობს და როგორც სამარცხვინო ოინებს ახლოც არ ეკარება.

სულ სხვაა უჭკუო უმეცარი, მერე თუ ყბედობის საღერღელიც აქვს აშლილი. უჭკუო უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიპოვება ქვეყნიერობაზე, და რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი ჭკუაზე თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია. მითამ რა დაუმლის!

არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმინევენით ცოდნა და თავისი უგემურ და უთავბოლო სალექავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. **რაც ენაზედ მოაღება, ჰროშავს გამარჯვებული და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰხმარობს უანგარიშოდ, განუკითხველად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გააგება და ჰყოყორობს, აი რაები მცოდნეა და რა ბრძენი კაცი ვარო!** ბაღლებს, რასაკვირველია, გაბერილი, გაუგებარი ფრაზები სავსე ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი, და უკვირთ როგორც ერთი რამ უტყუარი ნიშანი აუარებელის სიბრძნისა და მეცნიერობისა, ჭკუადამჯდარს კაცს-კი ეს სამასხარო ოინები სასაცილოდაც არა ჰყოფნის.

ამგვარ უვიცთა და უმეცართა შორის ერთი მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენში ბატონმა ნოე ჟორდანიამ. მან სწორედ ამისთანა კაცად გამოიჩინა თავი, თუმცა კი თავი დიდ ბრძენად და მეცნიერად მოაქვს და რაღაც უზომო დიადობით განგებ გაბუებულია თავის თავის ქებითა. იმას რომ ჰკითხოთ, იგი მოვლინებულისა, რომ წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავისი ბრძანებისა და ნებისაებრ ატრილოს ცა და ქვეყანა.

აქ გამოსაკიდებელი მარტო მისი ქადილი და თანხები. ქვეყნის აშენებას გვიქადის ბატონი ჟორდანი და მისი აიარები. საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თვითონ მამალსავით ხეზე შემომჯდარა და იძახის, მე აქ ვიყივლებ



და თქვენ მანდ ქვემოთ იყეფეთ და სოფელი აშენდებო. ამ იმედით ბრძანდებოდეს ბატონი ჟორდანი და მისი კამპანია, და როცა ამ გზით იმან ქვეყანა ააშენოს, მე ნილს ნულარ დამიდებენ, არ დავემდურები. **ბაქიოზა, კვეხნა, თავის თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავის ადგილას არ არის დალაგებული. თავის თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მაღე ჩააქცინებან მუხლსა, როცა დაუფიქრებან და შაატყობან, რომ შიგ არა ყრია რა.**

ამისი დრო როცა იქნება მოვა, და იგი ბაღლები, რომელთა წინაშე დღეს ბატონი ჟორდანი უმეცრობისა და უვიცობის მაღაყს ტაშის ცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკვევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი ყოველისმხრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა თუ ჭკუა.

მიხეილ კონიაშვილი — საქართველოში მათემატიკის სწავლების მეთოდის ფუძემდებელი

მიხეილ კონიაშვილი, როგორც კარგად მომზადებული და ფართოდ მოაზროვნე მათემატიკოსი, მშვენიერი პედაგოგი და მათემატიკის მეთოდის საუკეთესო სპეციალისტი, გახლდათ მათემატიკის ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი უნივერსიტეტში. ტყუილად კი არ ამბობდნენ: „მიხეილ კონიაშვილი თუ მოინდომებს, ხუთი წლის ბავშვსაც კი გააბავინებს ალგებრას“.

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი თბილისში დაიბადა 1896 წელს. 1896 წელს დაამთავრა ვაჟთა პირველი გიმნაზია. საუკეთესო სწავლით, გულმოდგინებითა და სამაგალითო ყოფაქცევით პედაგოგთა გულისხმიერი დამოკიდებულება დაიმსახურა; ჯერ კიდევ ბავშვი, საუკეთესო „მათემატიკოსად“ ითვლებოდა, რომელმაც საკუთარი დებულებებიც კი ჩამოაყალიბა. ამ მდგომარეობამ განაპირობა უთუოდ გიმნაზიის დირექტორის — გ. მარკოვის გულთბილი დამოკიდებულება მისდამი, რასაც მადლიერების გრძნობით იგონებდა ხოლმე ბატონი მიხეილი ხანდაზმულობის პერიოდში.

გიმნაზიის დამთავრებისთანავე მიხეილ კონიაშვილი ჩარიცხულა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკის გან-

ყოფილებაზე. უნივერსიტეტში სწავლის მთელ პერიოდში იგი ყოფილა კავკასიის სასწავლო ოლქის სტიპენდიანტი. ასეთი ყურადღება სტიპენდიანტს სავსებით გაუმართლებია — უნივერსიტეტი დაუმთავრებია 1990 წელს პირველი ხარისხის დიპლომით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი, როგორც სტიპენდიანტი, ვალდებული იყო, ემუშავა კავკასიის ოლქის მზრუნველის ბრძანების შესაბამისად; ამის გამო მას უარი უთქვამს წინადადებაზე, დარჩენილიყო იქვე, პროფ. ლახტინის კათედრაზე, სამუშაოდ. პირველი დანიშვნა მიუღია სამაზრო ქალაქ შუშაში რეალური სასწავლებლის მათემატიკის მასწავლებლად. ორი წლის შემდეგ გადაუყვანიათ სტავროპოლში იმავე თანამდებობაზე, ხოლო 1904 წელს — თბილისში

ვაჟთა მესამე გიმნაზიაში მათემატიკის მასწავლებლად.

აქედან დაწყებული მიხეილ გრიგოლი ძე განუწყვეტლივ მუშაობს თბილისში და 1921 წლამდე ასწავლის მათემატიკასა და ფიზიკას სხვადასხვა სასწავლებელში — 1907 წლიდან 1914 წლამდე თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში. აქ იგი მათემატიკისა და ფიზიკის სწავლებასთან ერთად პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარეობს; 1918 წლიდან ამავე გიმნაზიის დირექტორია. შემდგომში გიმნაზია გადაკეთდა XI ტექნიკუმად, რომლის დირექტორადაც დარჩა ბატონი მიხეილი 1921 წლამდე.

მიხეილ კონიაშვილის ქალთა პირველ გიმნაზიაში მუშაობის პერიოდს ეკუთვნის პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის მოგონება.

„იმხანად მიხეილ გრიგოლის ძე ფიზიკას ასწავლიდა და საუკეთესო მასწავლებლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი — მოგვითხრობს პროფ. რ. ნიკოლაძე. — ჩვენს კლასს სხვა მასწავლებელი (ფილიმონოვი) ჰყავდა ფიზიკაში; რადგან მე ფიზიკით ძალიან ვიყავი დაინტერესებული, მოვინდომე, კონი-

მიხეილ კონიაშვილი:

**თუ მასწავლებელს არ ანუხებს ის, რატომ ვერ
გაიგას მსმენელმა მის მიერ ახსნილი მასალა და
ღრმად არ უფიქრდება, არ ეძებს ამის მიზეზებს,
ვერასოდეს ამაღლდება დახელოვნებული
პედაგოგის ან მეთოდისტის დონეზე**

აშვილის გაკვეთილებს დავსწრებოდი, მაგრამ თხოვნაზე მიხეილ გრიგოლის ძისაგან უარი მივიღე. საშინლად მეწყინა. მაშინვე გადაწყვიტე, უარის მიუხედავად, სურვილი დამეკმაყოფილებინა, რაც საკმაოდ მარტივად მოვახერხე. საკლასო ოთახში კარადაიდგა, ამხანაგების დახმარებით გავითავისუფლე მასში ადგილი და, ამგვარად, კარადაში დამალული ვისმენდი მიხეილ კონიაშვილის მიერ ჩატარებულ ფიზიკის გაკვეთილებს. ამხანაგებმა საიდუმლო შემინახეს და მასწავლებელს ბოლომდე არ გაუგია არაფერი“.

1909 წელს მიხეილ კონიაშვილი მონაწილეობს თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების ორგანიზაციაში. კურსები გაიხსნა თბილისში 1909 წლის სექტემბერში (ეს იყო კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი). აქ დაინიშნა მიხეილ გრიგოლის ძე ფიზიკისა და მათემატიკის კათედრის გამგედ და 6 წლის განმავლობაში კითხულობდა დიფერენციალურ აღრიცხვას, ინტეგრალურ აღრიცხვას, ფიზიკას. მისივე ინიციატივით მოეწყო ფიზიკის ლაბორატორიები ქალთა უმაღლესი კურსებისთვის.

1913 წელს მიხეილ კონიაშვილი მონაწილეობს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობის ორგანიზაციაში, რომელიც ამავე წელს ჩატარდა თბილისში. იგი იყო ამ ყრილობის განმკარგულებელი კომიტეტისა და პრეზიდიუმის წევრი, ამავე დროს, მათემატიკური სექტორის გამგე.

1921 წელს მიხეილ კონიაშვილი

თავისივე თხოვნის საფუძველზე, საქართველოს განათლების კომისარიატის აკადემიური ცენტრის გადწყვეტილებით, გაუთავისუფლებიათ XI ტექნიკუმის დირექტორის მოვალეობისგან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს აურჩევია იგი უნივერსიტეტის ლექტორად. უნივერსიტეტში მუშაობდა მიხეილ კონიაშვილი პენსიაზე გასვლამდე. აქწლების მანძილზე კითხულობდა ელემენტარული მათემატიკის დამატებით თავებს, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის კურსებს, მათემატიკის სწავლების მეთოდებს. 1935 წელს მიღებულ დახასიათებაში ვკითხულობთ: „**მიხეილ გრიგოლის ძე კონიაშვილი არის მათემატიკის ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროს მან გამოიჩინა თავი, როგორც კარგად მომზადებული და ფართოდ მოაზროვნე მათემატიკოსმა, მშვენიერმა პედაგოგმა და ამასთანავე მათემატიკის მეთოდის საუკეთესო სპეციალისტმა**“.

ამასთან ერთდროულად, რამდენიმე წლის განმავლობაში მიხეილ კონიაშვილი ასწავლიდა მათემატიკასა და ფიზიკას ნითელარმიელთა უნივერსიტეტში; იყო განათლების სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრი. აქ მას უხდებოდა მათემატიკისა და ფიზიკის სახელმძღვანელოთა რეცენზირება; მიუღია, აგრეთვე, მონაწილეობა მათემატიკური ტერმინოლოგიის შექმნაში.

ბატონი მიხეილ ასწავლიდა, აგრეთვე, „26 კომისრის“ სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. მუშაობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება, ჩვეული გულისხმიერება აქაც გამოუჩენია და, რადგან კომუნისტური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ღარიბი ყოფილა, განსაკუთრებით მათემატიკური და ფიზიკური ხასიათის ლიტერატურით, აუღია თავის თავზე ამ საქმის ხელმძღვანელობა. შემონახულია ფიზიკის მეთოდკომისიის სხდომის ოქმი (ამ კომისიის თავმჯდომარე თვითონვე ყოფილა), სადაც ამის დამადასტურებელი ფაქტებია აღწერილი.

უნივერსიტეტიდან თავისუფალ დროს მიხეილ კონიაშვილი ახმარდა მუშაობას მუშფაკსა და პოლიტიკურ ინსტიტუტში. ზაფხულის თვეებში სისტემატურად მონაწილეობდა მასწავლებელთა გადამზადებელ კურსებზე, კითხულობდა მათემატიკის მეთოდის ამა თუ იმ ნაწილს: სურამში, ბორჯომში, მახარაძეში, ბოლო დროს, ეს იყო 1949 წელს — ხარაგოულში.

1938 წლიდან დაწყებული მიხეილ გრიგოლის ძე კონიაშვილი შეთავსებით მუშაობს საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად მათემატიკისა და ფიზიკის სწავლების მეთოდის სექტორში.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ამ ინსტიტუტში მისი მოღვაწეობა. ამ ინსტიტუტში მოხდა მთელი მისი ცოდნისა და გამოცდილების ფართო რეალიზაცია. ამ დაიწყო მიხეილ კონიაშვილმა მეთოდური სახელმძღვანელოების წერა-გამოცემა. აქვე, 1948 წელს, დაიცვა სამეცნიერო ხარისხი (დოცენტის წოდება მას აღრევე ჰქონდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მინიჭებული) და, გარდა ამისა, აქვე დაიწყო ასპირანტების მომზადება მათე-

**მან, პირველმა საქართველოში, მისცა
სწორი მეცნიერული გზის მათემატიკის
სწავლების მეთოდიკას. თავისი ნათელი
აზროვნება, მდიდარი სამეცნიერო-
პედაგოგიური გამოცდილება და საგნის ღრმა
ცოდნა ნაყოფიერად მოახდინა მათემატიკის
სწავლების მეთოდიკის მეცნიერული
პრობლემების გადაჭრისა და ახალგაზრდა
მეცნიერული კადრების აღზრდას.**



უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, პირველ რიგში მარცხნიდან პირველი — მიხეილ კონიაშვილი

მატიკის სწავლების მეთოდების სპეციალიზაცია

58 წლის მანძილზე არ მოშორებია მიხეილ კონიაშვილი თავის საყვარელ, მოზარდი თაობის სწავლების, რთულ საქმეს. მან, პირველმა საქართველოში, მისცა სწორი მეცნიერული გეზი მათემატიკის სწავლების მეთოდუკას. თავისი ნათელი აზროვნება, მდიდარი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება და საგნის ღრმა ცოდნა ნაყოფიერად მოახმარა მათემატიკის სწავლების მეთოდუკის მეცნიერული პრობლემების გადაჭრასა და ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდას. მისი მრავალრიცხოვანი შრომები, რომლებმაც რუსულენოვანი მასწავლებელთა მოწოდება დაიწყო, განვითარების მკვედრ საფუძველს უქმნის მათემატიკის სწავლების მეთოდუკას საქართველოში.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა მიხეილ კონიაშვილი, დიდი, მოკრძალებული პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მას ახასიათებდა დიდი შრომოსმოყვარეობა, საოცარი პუნქტუალობა და

მეტისმეტეტი სიმკაცრე. დიდი ერუდიციის მქონე, შესანიშნავი პედაგოგი შეუდარებელი იყო, როგორც ლექტორი — საუკეთესო უნარით ყველასათვის გაეგებინებინა მის მიერ გამოთქმული დებულება, როგორი რთულიც უნდა ყოფილიყო ის. ტყუილად კი არ ამბობდნენ: „მიხეილ კონიაშვილი თუ მოინდომებს, ხუთი წლის ბავშვსაც კი გააგებინებს ალგებრას“. უბადლო მეთოდისტი, ამა თუ იმ საკითხის სწავლების ხერხებისა და გზების მიგნების გასაოცარი ნიჭით დაჯილდოვებული, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, იგი ყოველთვის მოითხოვდა საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას, ღრმა ცოდნას, შემოქმედებით მუშაობას. შესანიშნავად იცოდა ახალი პრობლემების მიგნება, დასმა. ყოველ ახალს მეთოდუკაში საოცარი შინაგანი ალღოთი ეხმაურებოდა. ყოველივე ეს მეტად კარგ შედეგს იძლეოდა ასპირანტებთან მუშაობაში, რომელიც ასე ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მოღვაწეობის ბოლო წლებში. 1948 წლიდან სიკვდილამდე, 12 წლის განმავლობაში, მან აღზარდა ექვსი ასპირანტი: ნ. თოფური-

ძე, გ. გორგოძე, ოთ. როინიშვილი, გ. ტაბიძე, ი. ჯაშიაშვილი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ყველა მის მიერ მომზადებულმა ასპირანტმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და წარმატებით განაგრძო მუშაობა მათემატიკის მეთოდუკის სპეციალობით.

ზღაპრულად პუნქტუალური იყო ბატონი მიხეილი. ზუსტად დანიშნულ დროს მიდიოდა ყველგან. საათის გასწორება შეიძლებოდა მის მისვლაზე პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, სადაც ის ყოველ ორშაბათს ზუსტად დღის 2 საათისთვის ცხადდებოდა. მის სიმკაცრეზე ყველა მისი ყოფილი მოსწავლე ლაპარაკობს. ეს სიმკაცრე არ შენელებულა მისი ხანდაზმულობის პერიოდშიც და ასპირანტებთან მუშაობის დროსაც ისეთივე სიძლიერით იჩენდა თავს. მასსოვს, ძალიან მეშინოდა მისი კონსულტაციებისა, მეტად დიდ მასალას მაძლევდა დასამუშავებლად და, რა თქმა უნდა, მკაცრად მოითხოვდა შესრულებას. ერთხელ ავად გავხდი გრიპით, მაღალი სიცხე მქონდა. შევუთვალე ბ-ნ მიხეილს ჩემი ამბავი. „სიცხე წიგნის კითხვაში

ხელს ვერ შეუშლის ახალგაზრდას, მითუმეტეს გრიპის შემთხვევაში, — უთქვამს მას და სამი წიგნი გამომიგზავნა ავადმყოფობის პერიოდში დასამუშავებლად. ავადმყოფობის შემდეგ კი ასე განმიმარტა თავისი მოქმედება: „თუ გინდათ, იყოთ სპეციალისტი, ამ სიტყვის სრული აზრით, რა დარგშიაც არ უნდა იყოთ ეს, აუცილებელია (დაიხსომეთ!), აუცილებელია ყოველდღიურად იმუშაოთ თქვენს თავზე არანაკლებ 2-3 საათისა — იკითხოთ ლიტერატურა თქვენს დარგში. არაფერი არ უნდა დარჩეს თქვენი ყურადღების მიღმა თქვენს სპეციალობაში, ყოველი გამოტოვებული დღე რამდენიმე თვით ჩამორჩენას უდრის“.

გიორგი გორგოძის მოგონებებიდან:

„1953 წლის სექტემბერში ვაბარებდი შესასვლელ გამოცდას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში მათემატიკის სწავლების მეთოდის სპეციალობით. ბატონი მიხეილი, ჩემი მომავალი მეცნიერ-ხელმძღვანელი, იყო საგამოცდო კომისიის წევრი.

მაშინ დიდი ყურადღება ექცეოდა ირაციონალური ალგებრული გამოსახულებების იგივე გარდაქმნების მეთოდის საკითხების დამუშავებას. სწორედ ამ საკითხების ირგვლივ დამისვა კითხვები ბატონმა მიხეილმა. ჩვენი საუბარი დიდხანს არ გაგრძელდებოდა. დასმულ კითხვებზე დადებითი პასუხების მიღების შემდეგ მან დამთავრებულად

ჩათვალა ჩემთან საუბარი და ანიშნა პროფ. ე. წითლანაძეს, განეგრძო ჩემი გამოკითხვა უმაღლესი მათემატიკის საკითხებში. როცა ყველა გამოცდა ჩავაბარე, საჭირო შეიქმნა ბატონი მიხეილის ოფიციალური წერილობითი პასუხი ჩემთვის მეცნიერული ხელმძღვანელობის განცხადებით. სათანადო ბარათით, რომელიც დოც. ა. მიქაძემ შეადგინა, ბინაზე მივედი ბატონი მიხეილთან (იგი ამ დროს უკვე პენსიაზე იყო გასული და ასპირანტებს ხელმძღვანელობას უწევდა შინ). გამოვტყდები, რომ საკმაოდ ველავდი.

მივედი და გადავეცი ბატონ მიხეილს ბარათი. მან მოკლედ გამოკითხა ჩემი სამსახურებრივი და ოჯახური მდგომარეობის შესახებ და, როგორც შევამჩნიე, უკმაყოფილო არ დარჩენილა.

დიდი გულისყურით მოეკიდა ბატონი მიხეილი ჩემი ინდივიდუალური მუშაობის გეგმის შედგენას. მასში გათვალისწინებული იყო საკანდიდატო მინიმუმის საგნების ჩაბარების ვადები, რეფერატების თემები და, რაც მთავარია, საკანდიდატო დისერტაციის თემა „აგებზე სტერეომეტრიული ამოცანების ამოხსნის სწავლება საშუალო სკოლაში“. მისივე რჩევით, გეგმაში შევიტანე მივლინება საბჭოთა კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სწავლების მეთოდების ინსტიტუტში.

ბატონი მიხეილი იყო უაღრესად პუნქტუალური და ყურადღებიანი ადამიანი. ამას ყოველთვის ვგრძნობდით მისი ასპირანტები.

მასთან ასპირანტის ყოველი შეხვედრა მთელი კვირის დაძაბული შრომის შემდეგ ხდებოდა. დასამუშავებლად მიცემული საკითხების ათვისების დონის შემოწმებას იგი დიდი სიზუსტით ახერხებდა მოხდენილად შერჩეული საკანდიტო საკითხების დასმით.

მახსოვს, როცა საკანდიდატო მინიმუმის საგნების ჩაბარება დამთავრე და მთელი დატვირთვით ხელი მოვკიდე სადისერტაციო შრომაზე მუშაობას, ყოველი კვირის ნაშრომი სუფთად გადაწერილი უნდა მიმეტანა შესამოწმებლად ბატონ მიხეილთან. პირველი, რაც მივიტანე, დისერტაციის შესავალი ნაწილი იყო (ხელნაწერი 10 გვერდი). ხელნაწერს ახლაც ვინახავ, რადგან მათში ზოგ ადგილას ბატონი მიხეილის ხელით მიწერილია შენიშვნები. ბუნებრივია, ველავდი. საბედნიეროდ, საქმე კარგად დამთავრდა. ჩემ მიერ წარდგენილი ხელნაწერის ქვეშ ბატონ მიხეილს რუსულად ჩაენერა: შესავალი დაწერილია შინაარსიანად.

ბატონი მიხეილი ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც უაღრესად განათლებული, კულტურული, შრომისმოყვარე, გულისხმიერი, უსპეტაკესი პედაგოგი-მეთოდისტი, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართულ პედაგოგიკას, როგორც თავისი შრომებით, ისე ასპირანტთა აღზრდითა და მთელი მისი მოღვაწეობით“.

გიორგი ტაბიძე: „მიხეილ კონი-აშვილს პირველად შევხვდი 1949 წელს ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის —


„მიხეილი იყო საკმაოდ აკაზრი, მაგრამ საპართიანო, მომთხროვნი, დიდად ჰუმანური პედაგოგი, რომელიც პატივს სცემდა ახალგაზრდობას, ოპტიმისტურად უყურებდა მათ მომავალს. გარკვეულად სივი, სიტყვაჰყენი, საკმაოდ მოხუცებული მიხეილი მთლიანად იხვლებოდა, თუ დაიშინებოდა მის ნდობას (რას საკმაოდ ძნელი იყო) და გაუჩინებდა საუბარი, მისი ლოგიკურად გააართული ბრძნული სჯა-ბაჟი, განგებოდა სხოვრების დიდი გამოცდილებით, განგაწოდათ მისდამი უღრმესი პატივისცემის გრძნობით და ნათლად გაგრძნობინებდათ, რომ იგი იყო უკუდირიკებული და ფართოდ განათლებული ადამიანი“.

კონსტანტინე (ჯაჯუ) ივანეს ძე ჯორჯიკიას კაბინეტში. ბატონმა მიხეილმა მისთვის დამახასიათებელი თავაზიანობით მითხრა, რომ უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები პედაგოგიურ პრაქტიკას გაივლიან ჩვენს სკოლაში, კერძოდ, იმ კლასებშიც, სადაც მე ვასწავლი, და გამაცნო ჩემი უფლებამოსილება. მე, რასაკვირველია, ძალზე მესიამოვნა დაფასება, დიდი ნდობის გამოცხადება ისეთი ცნობილი სწავლული-პედაგოგისგან, როგორც მიხეილ კონიაშვილი იყო (განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე მისი მეთოდური შრომები მათემატიკაში), მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, ცოტაოდენი შიშის გრძნობა შემეპყრო — ვაი თუ არ მოეწონოს ჩემი გაკვეთილები, არ აღმოვჩნდე საჭირო სიმალლეზე და ვერ გავამართლო იმედები-მეთქი.

საბედნიეროდ, შემდეგში ყველაფერი ნორმალურად წარიმართა და ჩვენს შორის დამყარდა საქმიანი, მეგობრული ურთიერთობა.

მიხეილი იყო საკმაოდ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, მომთხოვნი, დიდად პუმანური პედაგოგი, რომელიც პატივს სცემდა ახალგაზრდობას, ოპტიმისტურად უყურებდა მათ მომავალს. გარეგნულად ცივი, სიტყვაძუნწი, საკმაოდ მოხუცებული მიხეილი მთლიანად იცვლებოდა, თუ დაიმსახურებდით მის ნდობას (რაც საკმაოდ ძნელი იყო) და მაშინ მასთან საუბარი, მისი ლოგიკურად გამართული ბრძნული სჯა-ბაასი, განმტკიცებული ცხოვრების დიდი გამოცდილებით, განგანყობდათ მისდამი უღრმესი პატივისცემის გრძნობით და ნათლად გაგრძნობინებდათ, რომ იგი იყო ერუდირებული და ფართოდ განათლებული ადამიანი.

1955 წლიდან ორი წლის განმავლობაში სისტემატურად დავდიოდი ბატონ მიხეილთან შინ. ჩვენი საუბარი ეხებოდა მათემატიკის, უმთავრესად კი ტრიგონომეტრიის, სწავლების საკითხებს სკოლა-



ში — ჩემს სადისერტაციო თემას. მოხდა ისე, რომ ბ-ნი მიხეილის წინადადებითა და მისი ხელმძღვანელობით დავიწყე მუშაობა სადისერტაციო თემაზე: „ტრიგონომეტრიის სწავლების ზოგიერთი საკითხი სკოლაში“, რომელიც 1958 წელს გამოცემილია „ცოდნამ“ გამოსცა ცალკე წიგნად. **ბ-ნი მიხეილთან მუშაობის პერიოდში მეტად მკვეთრად ვიგრძენი მისი უზადო პედაგოგიური ტალანტი და დიდი გამოცდილება, რამაც, არ შეეცდებოდა თუ ვიტყვი, მის ასპირანტებს და მათთან ერთად მეც, დიდი დახმარება გაგვიწია სადისერტაციო შრომების მაღალკვალიფიციურად შესრულებაში.**

მიხეილ კონიაშვილი, როგორც მეცნიერი ხელმძღვანელი, უდიდეს შრომას ეწეოდა, რათა დისერტანტის მიერ შესწავლილი ყოფილიყო საკმაო რაოდენობით როგორც ზოგადი ხასიათის, ისე სპეციალური ლიტერატურა და, როცა დარწმუნდებოდა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ შემდეგ იძლეოდა ნებართვას წერისთვის. ამ მოსამზადებელ პერიოდში მისი ცოდნა, გამოცდილება და, საზოგადოდ, ხელმძღვანელის როლი უდიდესი იყო. შემდეგში კი, დისერტაციის წერისას, იგი შეგნებულად ისაზღვრებოდა ჩაურევლობის ტაქტიკით, აძლევდა სრულ თავისუფლებას დისერტანტის შემოქმედებით აზრს და ამიტომაც მისი ხელმძღვანელობით შესრულებული დისერტაციები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც

თემატიკით, ისე მათი გადაწყვეტის მანერით — წარმოადგენს ღრმა ინდივიდუალურ ავტორისეულ ნაწარმოებებს.

მე რამდენიმე წელი (1957-1963 წწ.) ვმუშაობდი ქ. თბილისის განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტში მეთოდისტად და მიხედვით საშუალო სკოლების მასწავლებლებთან მათემატიკის სწავლების საკითხებზე მოხსენებათა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. მომხსენებლად ხშირად ვინვევდით ცნობილ პედაგოგ-მეცნიერებს და მათ შორის, რასაკვირველია, ბ-ნი მიხეილსაც.

მიხეილ კონიაშვილი უდიდეს პატივს სცემდა მასწავლებელთა აუდიტორიას და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ემზადებოდა ლექციისთვის; მას ეხერხებოდა აქტუალური, საინტერესო, მეთოდურად ძნელად დასაშუშავებელი თემების შერჩევა და მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული სიღრმითა და გასაგები, უპრალო ენით მიტანა აუდიტორიასთან.

ბ-ნი მიხეილი ცხოვრობდა ძალზე უბრალოდ, ზომიერად; იგი არასოდეს ეტანებოდა მაგარ სასმელებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგჯერ სადილად ერთ ჭიქა ლუდს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას აზრის ის სიცხადე და ბრწყინვალე მეხსიერება, რომელიც მას შემორჩა ღრმა ხანდაზმულობის წლებში. გავხედოვ ერთხელ და ვკითხე: „ბ-ნი მიხეილ, თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენ ჩვენებურად, ქარ-

თველურად დაგილევიათ ღვინო-მეთქი“. მან მიპასუხა, რომ მხოლოდ ერთხელ, ახალგაზრდობაში, დალია ზედმეტი და ცუდადაც გახდა. შემდეგ ღიმილით მითხრა: „ბ-ნო გიორგი, თქვენც გირჩევთ, მაინც და მაინც ნუ მიეძალებით ღვინოს“-ო. ამ შენიშვნას არ ველოდი და, რასაკვირველია, არც მესიამოვნა. ეს მანაც იგრძნო და შემდეგ ამ საკითხზე აღარაფერი უთქვამს ჩემთვის, თუმცა, შესაძლოა, ამის საბაბი კი ჰქონდა. **ბ-ნი მიხეილისთვის არ იყო დამახასიათებელი მასთან ახლოს მყოფის, საზოგადოდ ადამიანის ჩაყენება უხერხულ მდგომარეობაში — ის იყო უდიდესი კულტურის მქონე პიროვნება“.**

იოსებ ჯაფარიძე: „მიხეილ კონიაშვილი 1955 წლის გაზაფხულზე გავიცანი. დანიშნული დროისათვის მივედი მასთან სახლში. მიუხედავად პედაგოგიური მუშაობის საკმაო გამოცდილებისა როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებელში, ძალიან ვლეღავდი — უნდა გავცნობოდი მათემატიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდის დიდ და უანგარო სპეციალისტს და მესაუბრა მასთან; მეაბნა ჩემი მუშაობის შესახებ თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ბატონი მიხეილი მოკლე საუბარშივე გაეცნო, თუ რომელ სახელმძღვანელო ლიტერატურას ვიცნობდი მათემატიკის სწავლების მეთოდის კამპი. აგრეთვე, დამისახელა მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა და ნარკვევებისა, რომელთაც ახლო მომავალში აუცილებლად უნდა გავცნობოდი, შემესწავლა. ამასთან დასძინა, რომ მეთოდისტი, პირველ რიგში, უნდა იყოს არსებული მეთოდური ლიტერატურის კარგი მცოდნეო; დამისახელა რამდენიმე თემა, რომელთაგან უნდა შეგვეჩინა საკვალეფიკაციო. ერთ-ერთ მორიგ შეხვედრაზე შევეთანხმდით, რომ ასეთი იქნებოდა „აგებაზე გეომეტრიული ამოცანების ამოხსნის ალგებრული ხერხი“. ამის შემდეგ წარმატება მისურვა შემდგომ მუშაობაში. დაიწყო ჩვენი მუშაობა — მე ყო-

ველ კვირაში დავდიოდი თელავიდან თბილისში ბატონი მიხეილის ბინაზე საკონსულტაციოდ — არც გაცდენა, არც დაგვიანება — ეს შეუძლებელი იყო!

კონსულტაციების ჩატარებისას შემამჩნია, რომ ხშირად საჭირო მეთოდურ ლიტერატურას, რომელსაც თვითონ მისახელებდა, ვერ ვმოულობდი ვერც ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში და ხანდახან ვერც თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში. მაშინ მომცა საშუალება, მესარგებლა მისი საკუთარი წიგნებითაც. შეძლებისდაგვარად გავეცანი მის მრავალრიცხოვან და ჩემთვის მეტად საჭირო მეთოდურ ლიტერატურას, რომელსაც იგი წლების განმავლობაში იძენდა და სათუთად ინახავდა. სახსოვრად გადმომცა მისი ავტორობით გამოცემული ზოგიერთი სახელმძღვანელო. თემაზე მუშაობის დროს ვჩქარობდი, მსურდა, რაც შეიძლება სწრაფად დამემთავრებინა თემის დამუშავება. რასაკვირველია, ეს მისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მითხრა — ბატონო იოსებ, იცოდეთ, მათემატიკის სწავლების მეთოდის დაუფლებისათვის საჭიროა წყნარი და ხანგრძლივი მუშაობა.

ერთ-ერთი კონსულტაციის ჩატარების დროს მოსვლისთანავე შევამჩნიე, რომ მიხეილი რაღაც საქმის გამო აღელვებული იყო. მომცა რვეულის ფურცელი, რომელზედაც დაწერილი იყო ათი არითმეტიკული მაგალითი, თითოეულ მაგალითში შესასრულებელი ოთხი-ხუთი ცალკეული მოქმედება ჩვეულებრივ წილადებზე და ათწილადებზე. მკითხა — რამდენი დრო დაგჭირდებათ ამ მაგალითების ამოსახსნელად? ვუპასუხე, — საათ-ნახევარი ან ორი საათი მაინც დამჭირდება-მეთქი. როგორც შემდეგ გამოირკვა, თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებისთვის მიეცა ასეთი დიდი დავალება და ბატონი მიხეილის აღელვების მიზეზიც ეს იყო.

გასაოცარი მონდომებითა და სიყვარულით მუშაობდა ახალ სახელმძღვანელოთა განხილვაზე, საფურნალო სტსტიებსა თუ სხვა

მეთოდურ ლიტერატურაზე. მიუხედავად ხანდაზმულობისა, უყურადღებოდ არ ტოვებდა არაფერ ახალს. ჩვეულებად ჰქონდა ახალი წიგნის დამუშავების დროს არეებზე შენიშვნების გაკეთება; მაგონდება, მაგალითად, ასეთი წარწერები: „არ გეთანხმებით!“, „უკეთ შეიძლება დამუშავდეს“, „მზეჭდავის შეცდომა“ და სხვა მრავალი.

ბატონ მიხეილთან მუშაობის პერიოდში მოსკოვს მომიხდა მივლინებით გამგზავრება. ძირითადი მიზანი იყო — ჩემთვის აუცილებელი ლიტერატურის გაცნობა, რომლის შოვნა ადგილობრივ შეუძლებელი გახდა. ბატონ მიხეილს, მისივე დავალებით, ჩამოვუტანე სიგარები, რომლებიც მაშინ მხოლოდ მოსკოვში იყიდებოდა. არ დამავიწყდება, რა დიდი სიამოვნებით ამოიღო სიგარა ყუთიდან, მოუკიდა და ერთხანს უსიტყვოდ იჯდა და ეწეოდა. შემდეგ გამომკითხა მოსკოვის ამბები: ჯერ — რა ნავიკითხე და დავამუშავე, შემდეგ — რა ვნახე; სად ვიყავი, რომელ თეატრში. სიგარების ყიდვამ ხომ არ შეგანუხათო? — ეს კითხვაც არ დავიწყებია. პირველი შემთხვევა იყო ჩვენს ურთიერთობაში, როცა იგი საქმის გარეშე მესაუბრებოდა.

გავიდა წლები და ჩემმა მუშაობამ ბატონი მიხეილის ხელმძღვანელობით შედეგი გამოიღო. თემის დამუშავება დამთავრდა. ეს წლები ჩემი ცხოვრების დიდად ნაყოფიერ პერიოდს ეკუთვნის — მე ბევრი ვისწავლე, ბევრი შევიძინე.

მიხეილ კონიაშვილმა მათემატიკის სწავლების მეთოდის კამპი რამდენიმე ასპირანტი აღზარდა. მას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: თითოეულისათვის შერჩეული მაქვს ისეთი თემა, რომ შემდგომ მუშაობაშიც ერთმანეთს ხელი არ შეუშალოთ. პირიქით, შესაძლებლობა გაქვთ, ისინი გააფართოოთ, განაზოგადოთ და კიდევ გააგრძელოთ მუშაობაო.

მიხეილ კონიაშვილი დარჩა ჩემ მესხიერებაში, როგორც დიდად განსწავლული, სპეტაკი ადამიანი.

ელენე იმერლიშვილი,
1979 წ.

ალექსანდრე გაბრატიონი — რუსეთის «დიდი ელჩობის» მონაწილე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

ჰოლანდიაში დაცული საარქივო მასალებით დასტურდება, რომ დასავლეთ ევროპაში მოგზაურობა პეტრე I დაგეგმილი ჰქონია ბევრად უფრო ადრე, ვიდრე რუსეთის ერთმმართველი თვითმპყრობელი მეფე გახდებოდა. ამის თაობაზე საინტერესო მასალას გვანდის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯუანშერ ვათეიშვილი*, რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით, იუნესკოს მიერ გამოყოფილი სტიპენდიების საფუძველზე, 1977-1988 წლებში დასავლეთ ევროპის ხუთი ქვეყნის არქივსაცავებში მოუძიებია დოკუმენტური მასალები თემაზე: „საქართველოს ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან XVII-XVIII ს.ს.“. ამ მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობი მოსკოვის გამომცემლობა „ნაუკამ“ 2003-2006 წლებში გამოაქვეყნა მეცნიერის ნაშრომების შვიდტომეული სათაურით: „საქართველო და ევროპის ქვეყნები. XIII-XIX სს. ურთიერთობათა ისტორიის ნარკვევები“. გთავაზობთ თავს, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს ევროპის ქვეყნებში წარგზავნილი რუსეთის „დიდი ელჩობის“ შესახებ.



ალექსანდრე გაბრატიონი

1691 წლის 19 ივლისით დათარიღებულ ჰააგაში გაგზავნილ ერთ-ერთ რელაციაში ი.ვ. კელერი თავის ხელისუფალთ ატყობინებდა მასთან, „ნემეცკაია სლობოდაში“, ბოიართა თანხლებით 19 წლის პეტრე I ვიზიტის შესახებ.

მეფეს აინტერესებდა, როდის ჩამოდგებოდა არხანგელსკში გემი, რომელიც მან ჰოლანდიაში ნ. ვიტსენის დახმარებით შეუკვეთა (პირობა იყო მიცემული, რომ გემი იმავე წლის ზაფხულში უნდა მისულიყო). როგორც კელერი აღნიშნავდა, პეტრე I-მა მაშინ პირველად გაანდო მას თავისი განზრახვა, დასავლეთის ქვეყნებში ელჩობით გამგზავრებულიყო, რომელსაც იგი თურმე აზოვში ყირიმელი თათრების წინააღმდეგ გალაშქრების აუცილებლობას უკავშირებდა. ატყობინებდა რა ამის შესახებ ჰააგაში, კელერს ექვემდებარებოდა ამ გეგმების სწრაფი

განხორციელება, მაგრამ მაინც ურჩევდა „ყოვლისშემძლე“ ჰოლანდიის გენერალურ შტატებს, დადებითად აღექვათ მეფის გეგმა და ღირსეულად მიეღოთ მისი ელჩობა ჰოლანდიაში, როდესაც იგი იქ ჩავიდოდა.

დიდი ელჩობა დასავლეთისკენ გამგზავრა, როგორც ამას პეტრე გეგმავდა, არაუადრეს 1695-1696 წლების აზოვის ლაშქრობის წარმატებით დამთავრების შემდეგ.

ასეთი ელჩობის განხორციელება სტიმულირებული იყო რუსეთის ახალგაზრდა მეფის დასავლეთის ქვეყნების ცხოვრების საფუძვლებისადმი დაუცხრომელი ინტერესით, განსაკუთრებით ჰოლანდიისადმი, როგორც ტრადიციული საზღვაო სახელმწიფოსადმი, რომლის შესახებ ცნობები ადრეულ ბავშვობაში ჰქონდა მოსმენილი რუსეთის სამსახურში

მყოფ ამ ქვეყნის მკვიდრთაგან. დასავლეთ ევროპაში რუსული ელჩობის წარგზავნის პეტრესეული იდეის პრაქტიკული განხორციელების სულისჩამდგმელები მეფესთან ერთად გახდნენ, ერთი მხრივ, მისი ფავორიტი და თანამდგომი ფრანც ლეფორტი, ხოლო მეორე მხრივ, — ჰოლანდიური წარმოშობის მოღვაწე, რომელსაც პეტრე პირადად არც კი იცნობდა; მაგრამ მისდამი უღრმესი პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული რუსეთის მიმართ მის კეთილ საქმეთა გამო. ეს მოღვაწე ამსტერდამის ბურგომისტრი ნიკოლაას ვიტსენი გახლდათ. მას ჭეშმარიტად კეთილი სურვილები ჰქონდა რუსეთის მიმართ, სადაც 60-იან წლებში იმოგზაურა; მან კაპიტალური სამეცნიერო ნაშრომი შექმნა ამ ქვეყნის შესახებ და იგი ახალგაზრდა რუს მეფეს მიუძღვნა. პეტ-

რეს ვიტსენის მიმართ დამოკიდებლობაში მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი აქტიურად გამოეხმაურა და ენერგიულად დაუჭირა მხარი რუსეთის პირველ ოფიციალურ შეკვეთას — ამსტერდამის გემთსაშენი ხომალდის აგებას, რომელიც 1691 წელს უკვე მზად იყო და, ახალგაზრდა რუსი მეფის სასიხარულოდ, იმავე წელს არხანგელსკის პორტში გამწესდა.

1697-1698 წლების რუსეთის „დიდი ელჩობის“ თავისებურება მხოლოდ მისი მრავალრიცხოვნობა არ იყო (250-ზე მეტი მონაწილე 3 ოფიციალური ელჩით სათავეში), არამედ ისიც, რომ მასში საიდუმლოდ მონაწილეობდა თვით მეფე, რომელიც „ბომბარდირ პეტრე მიხაილოვის“ სახელს იყო ამოფარებული. ამ უკანასკნელს საელჩოს წინაშე კონკრეტული და რუსეთისთვის აქტუალური მიზნები ჰქონდა დასახული, სახელდობრ, „ანტიტურქულ ლიგაში“ ახალი დასავლეთელი მოკავშირეები მიეზიდა, გათვითცნობიერებულიყო გემთსამშენებლო საქმეში, აეთვისებინა საზღვაო და სხვა სამხედრო პროფესიები, რუსულ სამსახურში მიეწვია უცხოელი სპეციალისტები, დაემყარებინა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, დაბოლოს — შეეძინა გარკვეული რაოდენობა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო აღჭურვილობისა. ელჩობას თან ახლდა საგანგებო რაზმი 35 ე.წ. ვოლონტერის შემადგენლობით, რომელშიც შედიოდნენ თვით მეფე და მასთან დაახლოებული პირები, მათ შორის იყვნენ **ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი** და **ალექსანდრე დანიელის ძე მენშიკოვი**, რომლებიც მაშინ მეფის ყველაზე ახლო მეგობრებად ითვლებოდნენ და თითქმის ყოველთვის მის შორიახლოს იმყოფებოდნენ.

ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის თანხლებს სამ ქართველთან ერთად (ისინი მისი მცირე ამალის წევრები იყვნენ, რომელთა ვინაობა, სამწუხაროდ, გაურკვეველი დარჩა) რუსეთის „დიდ ელჩობაში“ მონაწილეობა ორდინა-

ლურ მოვლენად ვერ ჩაითვლებოდა. იგი უმაღლესედად იყო არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს კავშირ-ურთიერთობის, არამედ საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისითაც. **XVII საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს რუსულმა საარქივო საბუთებმა შემოგვინახა ცნობა იმის შესახებ, რომ ალექსანდრე არჩილის ძის მკვიდრი ბიძა, უკვე არაერთხელ მოხსენიებული ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე (ერეკლე I), თვითმხილველი გახდა რუსეთის სამხედრო კამპანიისა პოლონეთის (1660—1667 წწ.) და თურქეთის (1677—1678 წწ.) წინააღმდეგ, როდესაც თან ახლდა მეფე ალექსი მიხეილის ძეს რუსეთის ჯარის ბანაკში.** მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია არა უმეტეს იმაზე, რომ სხვა სახელმწიფოს (კახეთის სამეფოს) დინასტიური საგვარეულოს წარმომადგენელი არაოფიციალურად მონაწილეობდა რუსეთის ლაშქრობაში, როგორც მეთვალყურე, და ისიც რუსეთის ფარგლებში უკვე შესული უკრაინის ტერიტორიაზე. მაშინ, როდესაც **ალექსანდრე არჩილის ძე თავისთავადი ოფიციალური მონაწილე იყო რუსეთის ელჩობისა დასავლეთ ევროპაში, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სრულიად გარკვეული ვალდებულებანი, ვითარცა ამ ელჩობის უმაღლესი რანგის ქმედით წევრს.** ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ **ამ ელჩობაში ალექსანდრე ბატონიშვილი წარმომადგენდა არა მხოლოდ რუსეთს, არამედ საქართველოსაც, რასაც ხანდახან თვით რუსი მეფეც აღნიშნავდა ხოლმე, როგორც ირკვევა, შეგნებულად — ორი ერთმორწმუნე სახელმწიფოს ურთიერთსწრაფვის მისანიშნებლად თურქეთის წინააღმდეგ კავშირის განმტკიცების მიზნით. მეორე მხრივ, ქართველი ბატონიშვილის მონაწილეობა „დიდ ელჩობაში“ იმ ფაქტის დამადასტურებელი იყო, რომ XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყ-**

ნებთან კავშირ-ურთიერთობა, პოლიტიკურის ჩათვლით, რუსეთ-დასავლეთევროპულ ურთიერთობათა ჭრილში აღმოჩნდა და ალექსანდრე ბატონიშვილის პეტრე I-თან ერთად მოგზაურობა პოლანდიაში ერთდროულად საქართველოს დასავლეთ ევროპაში პირველ ოფიციალურ გასვლას წარმოადგენდა ამ ახალი არხის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ ინკოგნიტო პეტრე I-ისა, რომელიც თავკაცი და გამგებელი იყო „დიდი ელჩობის“ მთელი საქმიანობისა, ყოველ შემთხვევაში, მაღალი წრეებისთვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა, რომელზეც მისი გზა გადიოდა, პოლიშინელის საიდუმლოებას წარმოადგენდა. ცნობა ელჩობის შემადგენლობაში „სამეფო პიროვნების“, ანუ ახალგაზრდა რუსი მეფის მონაწილეობის შესახებ, რომელიც თურქეთზე გამარჯვების შედეგად ცნობილ პიროვნებად იქცა, ელვის სისწრაფით გავრცელდა. ამიტომ პოლანდიაში მიმავალ პეტრეს ამა თუ იმ ევროპულ ქვეყანაზე გავლისას ძალაუწებურად უხდებოდა მონაწილეობა მის პატივსაცემად მოწყობილ ცალკეულ ღონისძიებებში (საზეიმო შეხვედრებში, ოფიციალურ საუბრებში, რაუტებსა და ასამბლეებში). მან, კერძოდ, მონაწილეობა მიიღო საზეიმო შეხვედრებში, რომლებიც მისი ჩასვლის აღსანიშნავად მოაწყო ბრანდენბურგის კურფიურსტმა ფრიდრიხ III. კენიგსბერგში ჩატარებულ მიღებათა შესახებ დანვრილებით მოუთხრობდა ლეოპოლდ I („რომის კეისარს“) ბრანდენბურგის კარზე მყოფი მისი რეზიდენტი ჰეიმსი. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი წერილის შინაარსში პირველად იყო შენიშნული ალექსანდრე არჩილის ძის როლი, როგორც ერთგვარი მეხამრიდისა პეტრეს ინკოგნიტოსთან დაკავშირებით: მას, როგორც წარჩინებული წარმომავლობით ელჩობის მეორე პირს (პეტრეს შემდეგ), თავისკენ უხდებოდა მიეპყრო ის ინტერესი, რომელსაც რუსი მონარქის მიმართ ავლენდნენ. მაგალითად,

„დიდი ელჩობის“ შეხვედრისას, როდესაც ჰოლშტეინის ჰერცოგმა სურვილი გამოთქვა, რუს მეფეს უშუალოდ მისალმებოდა, პეტრემ, რომელიც ინკოგნიტოს იცავდა, უბრძანა, ეპასუხათ ჰერცოგისათვის, რომ „აქ არავინაა ასეთი ცნობილი პიროვნება, რომელსაც ვარაუდობენ, არის მხოლოდ ერთი იმერელი ბატონიშვილი ამალის ნაწილით, რომელიც გზადმიმავალ მოსკოვურ დიდ ელჩობას ეკუთვნის“.

ეს ეპიზოდი იმაზე მოწმობს, რომ პეტრე I აუცილებელ შემთხვევაში მარჯვედ ახერხებდა თავისი მეგობრის — ქართველი ბატონიშვილის ზურგს ამოფარებოდა, რითაც ერთდროულად დასავლეთ ევროპის მაღალ არისტოკრატიულ წრეებში მის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ამასვე მოწმობს ცნობილი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსის გ.ვ. ლაიბნიცის მოგონებაც, რომელიც მის მიერ აღწერილი მოვლენების თვითმხილველი და მონაწილე იყო. 1698 წლის 27 დეკემბრით დათარიღებულ ი. სპარვენფელდისადმი გაგზავნილ წერილში იგი, კერძოდ, აღნიშნავდა: „იმერეთის მთავრისა თუ მეფის შვილი აქ (გერმანიაში) იყო რუს მეფესთან ერთად. ის ერთადერთი პიროვნება იყო, ელჩებს თუ არ ჩავთვლით, რომელსაც მეფე უფლებას აძლევდა, მასთან ერთად რომ ყოფილიყო, როდესაც იგი ვახშმობდა ორ კურფიურსტინას, ბრანდენბურგისა და ბრაუნშვაიგის — დედისა და ქალიშვილის შუა მჯდომი, ჰანოვერის მახლობლად მდებარე ციხე-კოშკში კოპენბრუკი, როდესაც მას იქ ლებულობდნენ გზად მიმავალს ჰოლანდიაში“. ეს დაკვირვება სავსებით ემთხვევა ე.წ. „სტატინი სპისოკში“ დაწვრილებით აღწერილ მეფის შეხვედრას ჰანოვერის კურფიურსტინა სოფიოსა და მის ქალიშვილ, ბრანდენბურგის კურფიურსტინა სოფიო-შარლოტასთან, რომელიც ლაიბნიცის მოწაფე და მეგობარი იყო.

მიუზღავდა რა თავისას გვირგვინოსანთამილება-გაცილებების ევროპულ ტრადიციას, პეტრე I დი-



პეტრე I

დი მოუთმენლობით ისწრაფვოდა ჰოლანდიისაკენ, როგორც თავის ყმანვილკაცურ ოცნებათა აღთქმული ქვეყნისაკენ. ამიტომ მან თავის უახლოეს მეგობართან კოპორტის თანხლებით დაასწრო ჰოლანდიის ფარგლებში რუსეთის „დიდი ელჩობის“ ოფიციალური შესვლის საზეიმო ცერემონიალს და 1697 წლის აგვისტოში დროულად ჩავიდა ქალაქ ზაანდამში, რომელიც ევროპაში განთქმული იყო თავისი გემსაშენით. ზაანდამის საეკლესიო წიგნში ამავე წლის 18 აგვისტოთი დათარიღებული ჩანაწერია გაკეთებული, საიდანაც ირკვევა, რომ ამ დღეს ზაანდამის ვერფის მახლობლად დასახლდა ინკოგნიტოდ აქ ჩამოსული ახალგაზრდა რუსი მეფე ექვს თანმხლებ პირთან ერთად. აი ტექსტი ამ ჩანაწერისა:

„18 აგვისტოს დილის 8 საათზე მეფე თუ დიდი თავადი მოსკოვეთისა, პეტრე ალექსის ძე ჩამოვიდა აქ, ზაანდამში, პატარა გემით ექვსი მოსკოველის თანხლებით და რვა დღე ცხოვრობდა კრიმპენბურგზე მჭედლის ბოი ტაისენის ქარგალთან. შემდეგ იგი აქედან გემით ამსტერდამში გაემგზავრა, სადაც ჩამოვიდა მისი დიდი ელჩობა. ის შვიდი ფუტის სიმაღლისაა, ჩაცმულია ზაანდამელი გლეხის ტანსაცმელში. იგი დურგლობდა საადმირალო გემთსაშენზე და დიდი მოყვარულია ხომალდებისა“.

ინტერესის აღმძვრელია „ექვსი მოსკოველი“, რომელთა სახელები ჩანაწერში მითითებული არ არის, მაგრამ ისინი თვით პეტრეს მიერ იყვნენ შერჩეულნი მეფის მხლებლებად. მათ იდენტიფიცი-

რებას ხელს უწყობს შემორჩენილი საბუთები, თანამედროვეთა მოგონებები და „დიდი ელჩობის“ ისტორიკოსთა დამონშებები. ერთ-ერთი პირველი ჰოლანდიელი ისტორიკოსი ამ ელჩობისა იაკობ სხელტემა პეტრე I ექვს თანმხლებ პირთა შორის „ყველაზე ყურადსაღებ პიროვნებად“ ასახელებს „პრინცს, ქართველ თავადიშვილს ბაგრატიონთა სახლიდან“, ანუ ალექსანდრე არჩილის ძეს. „სავარაუდოა, რომ აქ იყვნენ, აგრეთვე, — აღნიშავს ჰოლანდიელი ისტორიკოსი, — მენშიკოვი (სხვა წყაროები გარდა ალექსანდრე მენშიკოვისა, უთითებენ, აგრეთვე, მის ახლო ნათესავს (გავრილას — ჯ.ვ.) და ნესტესურანოს“. ამ უკანასკნელის პიროვნება, რომელმაც გამოჩენილი გვარის მითითებით საინტერესო მოგონებები გამოაქვეყნა „დიდ ელჩობაში“ მონაწილეობის შესახებ, ამოუცნობი დარჩა. ი. სხელტემა „ექვსეულის“ შემადგენლობაში დაბეჯითებით ასახელებს ნიკოლაას ვანდერ ხულსტს, წარმოშობით ჰოლანდიელს, „ლიუპსის სახლის შთამომავალს არხანგელსკიდან“.

მას დაკისრებული ჰქონდა თარჯიმნის მოვალეობა (მოგვიანებით, ბატონ იოჰან-ვილემ კელერის გარდაცვალების შემდეგ, იგი ჰოლანდიის შეერთებული შტატების რეზიდენტი გახდა რუსეთში და პეტრე I-ის დიდი ნდობით სარგებლობდა). რუსეთის მეფის მეექვსე მხლებელი ამ მოგზაურობისას შესაძლებელია ყოფილიყო გეორგ-ფრედერიკ ჰეილანდი ტიურინგიიდან, რომელიც ასევეა მოხსენიებული ზაანდამის საეკ-

ლესიო ნიგნში, როგორც „ქირურგი-კამერდინერი“ ბატონიშვილ ალექსისა, პეტრე I-ის შვილისა; ამ მოგზაურობაში იგი მეფის ექიმის მოვალეობას ასრულებდა.

ზაანდამში რუსეთის მეფის პირველ ჩასვლასთან დაკავშირებით ი. სხელტემა საინტერესო დეტალს გვამცნობს: პირველსავე დღეს ამ ქალაქში მოსვლისა, ექვსი თანმხლები პირიდან ხუთნი გამწესდნენ სასტუმრო „ზილფერპადში“. მხოლოდ ორნი — მეფე და ალექსანდრე ბაგრატიონი განლაგდნენ პატარა ძეგურ ქოხში, რომელიც ეკუთვნოდა უკვე მოხსენიებული ადგილობრივი მჭედლის ქარგალს — ჰერიტ კისტს, პეტრეს დიდი ხნის ნაცნობს მოსკოვიდან. წინა წლების ხანშიშესული ექსკურსიამძღოლი პეტრე I სახლ-მუზეუმისა ზაანდამში, როდესაც მნახველთა ცნობდა მემორიალური სახლის ინტერიერს, სხვასთან ერთად, როგორც წესი, აჩვენებდა ხოლმე კედელში შეჭრილ ხის სარეცელს, რომელზეც თურმე მეგობრებს — პეტრესა და ალექსანდრეს — ერთად ეძინათ.

„დილის ელჩობის“ ძირითად შემადგენლობას ოფიციალური ელჩებით სათავეში ფანფარებისა და საარტილერიო ზალპების ხმიანობის ვითარებაში საზეიმოდ შეხვდნენ ჰოლანდიის ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე გენერალური შტატების წარმომადგენლები სახელმწიფო ჰოფმაისტერის — ფრედერიკ ხესელტ ვან დინტერის მეთაურობით. არანაკლებ საზეიმო იყო 1697 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ელჩების შემოსვლა ამსტერდამში უტრეხტის ჭიშკრი-

დან, სადაც მათ ქალაქის დეპუტაცია შეხვდა ბურგომისტრების მეთაურობით, რომელთა შორის იყო ნიკოლაას კორნელიუსის ძე ვიტსენი. ამ დროისათვის პეტრე I-მა თავის ერთგულ მეგობრებთან ერთად ზაანდამიდან ამსტერდამში გადმოინაცვლა და მონაწილეობა მიიღო რუსეთის ელჩების მიღების ცერემონიაში, რომელიც დანვრილებით აქვს აღწერილი ი. სხელტემას.

პეტრე I პირადად გაეცნო ნიკოლაას ვიტსენს, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სცემდა პატივს და რომლის გაცნობამაც მას დიდი სიამოვნება მიანიჭა. ასეთივე გრძნობით უნდა ყოფილიყო განმსჭვალული ნ. ვიტსენის პირადად გაცნობისას ალექსანდრე ბაგრატიონიც, რომელმაც, ცხადია, კარგად იცოდა, თუ რა ფასდაუდებელი მეგობრული სამსახური გაუწია მამამისს, არჩილ მეფეს, ამსტერდამის ბურგომისტრმა ქართული შრიფტის პუანსონებისა და მატრიცების დამზადების საქმეში. პეტრეს სურვილის შესაბამისად და ვიტსენის დახმარებით, რომელიც იმავე დროს „ოსტ-ინდოეთის“ კომპანიასაც ხელმძღვანელობდა, რუსეთის მეფე სამუშაოდ ამ კომპანიის გემთსაშენში გაამწესეს, სადაც იგი გარკვეული დროის მანძილზე მონდომებით შრომობდა, როგორც დურგალი, გამოცდილი ჰოლანდიელი გემთმშენებლის ბატონ პ. პოლის ხელმძღვანელობით. ადვილად გადაწყდა, აგრეთვე, ამსტერდამში პეტრესა და მის თანმხლებ პირთათვის საცხოვრებელი ადგილის შერჩევის პრობლემა: ვიტსენმა ანგარიში გაუწია მეფის სურვილს, დასახლებულიყო სადა, მაგრამ კეთილმოწყობილ შენობაში (პაკჰაუზის ტიპისა) პატარა კუნძულზე „ოსტ-ინდოეთის კომპანიისა“ და მისი ვერფის გვერდით (ეს შენობა ახლა ოსტერბურგერხრატის ქუჩაზე მდებარეობს). პეტრესთან ერთად ამ შენობაში ბინა დაიდეს ალექსანდრე ბაგრატიონმა და პეტრე აპრაქსინმა (რუსეთის მომავალი ფლო-

ერთ-ერთი პირველი ჰოლანდიელი ისტორიკოსი ამ ელჩობისა იაკობ სხელტემა პეტრე I ექვს თანმხლებ პირთა შორის „ყველაზე ყურადსაღებ პიროვნებად“ ასახელებს „პრინცს, ქართველ თავადიშვილს ბაგრატიონთა სახლიდან“, ანუ ალექსანდრე არჩილის ძეს.

ტის მომავალმა ადმირალმა), რომელიც იმავე გემთსაშენში მუშაობდა, სადაც მეფე.

მხოლოდ ერთმა გარემოებამ ჩამოაშალა პეტრეს ამსტერდამში ასე ნარმატებით დანყებული ცხოვრება: მისი გადანყვებილება, დურგლად ემუშავა გემთსაშენში, დიდ შეურაცხყოფად ჩათვალა „დიდი ელჩობის“ შემადგენლობაში მყოფმა ზოგიერთმა წევრმა დიდებულითაგან; მათ მიაჩნდათ, რომ ასეთი საქმიანობა ამცირებდა რუსეთის მეფის ღირსებას. შედეგად პეტრემ ამ დიდგვაროვან აზნაურთ ჩამოართვა „დიდი ელჩობის“ წევრობის უფლება და განდევნა თავისგან: დიდი მეცადინეობა გახდა საჭირო (კერძოდ, ნ. ვიტსენის მხრივ), მეფე რომ დაერწმუნებინათ უფრო მკაცრი სასჯელისაგან თავი შეეკავებინა. პირფერულად განწყობილ ამ დიდებულითა აზრის საპირისპიროდ პეტრე I-ის დროინდელმა ჰოლანდიელებმა და მათმა შთამომავლებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, იმდენად გაიმსჭვალნენ მისი სწორედ ამ არაორდინარული სურვილითა და საქციელით, რომ დურგლის ცული ახალგაზრდა რუსი მეფის ხელში მის მიმართ თავისი თაყვანისცემის ერთგვარ სიმბოლოდ აქციეს (იგულისხმება პეტრე I-ის ქანდაკება ზაანდამში). თურამდენად ღრმადაა გამჯდარი ჰოლანდიელებში პატივისცემა პეტრე I-ისა და მის გამოჩენილ თანამშრომელთა მიმართ, ჩანს იქიდან რომ ზაანდამსა და ამსტერდამში რიგ ქუჩებს მათი სახელოდებები მიაწიეს. პეტრე I-ის სახლ-მუზეუმზე კი (1994 წლის 30 იანვარს) ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფა დააყენეს.

ოსტ-ინდოეთის კომპანიის ვერ-

მისი გადაწყვეტილება ღუგულაქ ემუშავა გემთსაშენი დიდ შეურაცხყოფად ჩათვალა „დიდი ელჩობის“ შეამდგენლობაში მყოფმა ზოგიერთმა წევრმა დიდგვაროვან; მათ მიაჩნდათ, რომ ასეთი საქმიანობა ამცირებდა რუსეთის მეფის ღირსებას. შედეგად პეტრემ ამ დიდგვაროვან აზნაურთ ჩამოართვა „დიდი ელჩობის“ წევრობის უფლება და განდევნა თავისგან.

ფზე მუშაობით პეტრე I პირად მაგალითს აძლევდა თავის ახალგაზრდა ქვეშევრდომთ, თუ როგორი სწორეუპოვრობით და მიზანდასახულობითაა საჭირო ამა თუ იმ პროფესიის ათვისება. ამ მაგალითმა, ცხადია, გაამხნევა „დიდი ელჩობის“ ახალგაზრდა მონაწილენი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ნიჭისა და მიდრეკილების გათვალისწინებით, ორიენტირებულ იქნა ჰოლანდიაში რიგ სხვადასხვა პროფესიათა ასათვისებლად. იგულისხმებოდა, უპირველეს ყოვლისა, ის სპეციალობები, რომლებიც რუსეთის მაშინდელი ინტერესების თვალსაზრისით აქტუალურად ითვლებოდნენ. დაძაბული ურთიერთობა თურქეთთან და სასაზღვრო კონფლიქტების გახშირება შვედეთთან ხელს უწყობდა პეტრეს ორიენტაციას, კერძოდ, იმის აუცილებლობაზე, რომ შეძლებისდაგვარად მოკლე ხნის მანძილზე ათვისებინათ თეორია და პრაქტიკა გემთმშენებლობისა, საზღვაო ომის ხელოვნებასთან ერთად. ამ მიზნით „დიდი ელჩობის“ ახალგაზრდა ვოლონტერების უმრავლესობა წარგზავნილ იქნა ჰოლანდიის სხვადასხვა სასწავლებელსა და დაწესებულებაში.

ამ ხვედრის გარეშე არ დარჩენილან მეფესთან ყველაზე დაახლო-

ებული მენშიკოვები და ალექსანდრე ბაგრატიონი. ალექსანდრე ბატონიშვილი, მისი მიდრეკილებისა და ნიჭის გათვალისწინებით, განკუთვნილ იქნა „ბომბარდირობის“, ანუ საარტილერიო საქმის ასათვისებლად. 1697 წლის 31 აგვისტოს თ. რომოდანოვსკისადმი გაგზავნილ წერილში პეტრე ატყობინებდა მას იმის შესახებ, თუ რუსეთის ელჩობის ახალგაზრდა მონაწილეთაგან ჰოლანდიაში ვინ, სად და რა პროფესიას ეუფლებოდა: „რომელნიც (ვოლონტერები) გაიგზავნენ სასწავლებლად, ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი: ივანე გოლოვინი, თევდორე პლემჩევი..., გავრილო კობილინი, გავრილო მენშიკოვი, ვერეშაგინი, ალექსანდრე მენშიკოვი, ფედოსეი სკლიაროვი, პეტრე გუტმანი, ივანე კროპოტკინი, რომლებთანაც მეც ვირიცხები, ოსტი(ნდო)ეთის (კომპანიას) გადაეცნენ სახომადო საქმის (ასათვისებლად). ალექსანდრო კიკინი, სტეფანე ვასილიევი ანძების კეთებას ეუფლებიან; იოაკიმე მოლიარი და დიაკვანი (ტიმოთე — ჯ.ვ.) — სხვადასხვა წყლის წისქვილისა და (ანძების) ჩამოხსნის საქმეს; ალექსი ბორისოვი და სავა უვაროვი — საბოტო საქმეს; ფადეი პოპოვი, ივანე კოჩეტი — საიალქნო საქმეს; ტიხონ ლუკიჩი, პეტრე კობილინი — ბლოკების გაკეთებას; გავრილო კონშინი, ივანე ვოლოდიმეროვი, ერმოლაი სკვორცოვი, ალექსი პეტელინი, იპატ მუხანოვი, ანდრია ტიშენინოვი, ივანე სინიავინი სხვადასხვა გემზე მატროსებად გაიგზავნენ; ალექ-

ალექსანდრა ბატონიშვილი, მისი მიდრეკილებისა და ნიჭის გათვალისწინებით, განკუთვნილ იქნა „ბომბარდირობის“, ანუ საარტილერიო საქმის ასათვისებლად.

სანდრ არჩილის (ძე) ჰააგას გაემგზავრა ბომბარდირების სასწავლებლად. ყველა ზემოთ მითითებული დაიგზავნენ ამ საქმეებისადმი თავისი სურვილისამებრ“.

მათემატიკისადმი მიდრეკილება და ინტერესი საარტილერიო საქმისადმი ალექსანდრე ბატონიშვილს, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ პრეობრაჟენსკოეს შესაქცევარი სამხედრო თამაშების დროს აღმოაჩნდა, მაგრამ პროფესიული „გემო“ ამ დარგის შესწავლას მან დასავლეთ ევროპაში მოგზაურობის სანაყის ეტაპზე გაუგო, როდესაც „დიდი ელჩობა“ გარკვეული დროით კენიგსბერგში შეჩერდა. სწორედ აქ პეტრე I-მა, რომელსაც არ უყვარდა დროის უქმად დაკარგვა, ისარგებლა შემთხვევით და პრუსიის ციხესიმაგრეთა მთავარ ინჟინერთან, პოლკოვნიკ შტაინერ ფონ შტერნფელდთან გაკვეთილები ჩაიტარა, რომლებსაც, ბუნებრივია, ალექსანდრე არჩილის ძეც ესწრებოდა**.

მაგრამ საფუძვლიანი ცოდნა საარტილერიო მეცნიერებაში ბატონიშვილმა, ცხადია, ჰოლანდიაში, ჯერ ჰააგაში, ხოლო შემდეგ უტრეხტში მიიღო. ჰააგაში მისი სწავლების პრობლემა, სადაც იგი ამ მიზნით 1697 წლის აგვისტოს ბოლოს ჩავიდა, დადებითად გადაწყდა ნიკოლაას ვიტსენის შუამდგომლობისა და ცნობილი გენერალ-ინჟინრის, ბატონ მენო ფონ კუჰორნის სათანადო ბრძანების შედეგად, ეს უკანასკნელი მაშინ ჰოლანდიის საარტილერიო საგანგოს განაგებდა.

პეტრე I, რომელიც ჯერ კიდევ ამ ქვეყანაში ჩამოსვლამდე დასავლეთ ევროპის შესახებ ყოველგვარი ინფორმაციით იყო დაინტერესებული, განსაკუთრებით კი სამხედრო შინაარსისა, საქმის კურსში იყო საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჰოლანდიის არმიის მიღწევების შესახებ და, კერძოდ, იმ როლის შესახებ, ამ ომში გენერალი მენო ფონ კუჰორნი რომ თამაშობდა. „პეტრეს ბუდის ბარტყებიდან“ ერთ-ერთს, წარმოშობით დანიიდან, ანდრეას ბუტენანტ ფონ რო-

ზენბუშს, სხვა ვალდებულებებთან ერთად დაკისრებული ჰქონდა მეფის ინფორმატორის მოვალეობა ევროპის ქვეყნებში მომხდარი სამხედრო მოვლენების შესახებ. 1696 წლის აპრილში სწორედ მან მიანო-და ინფორმაცია პეტრე I-ს, რომელიც მაშინ ვორონეჟში იმყოფებოდა, საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჰოლანდიის ჯარის შენაერთის დიდ საბრძოლო მიღწევაზე, რომელსაც გენერალი კუჰორნი მეთაურობდა.

არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ გენერალ კუჰორნს, ვიდრე ის პეტრე I პირადად შეხვედებოდა და გაიცნობდა, ნ. ვიტსენის მეშვეობით გადასცეს მეფის თხოვნა ალექსანდრე ბატონიშვილის ჰააგაში სწავლის თაობაზე შეძლებისამებრ გენერლის პირადი ხელმძღვანელობით. ასეთ თხოვნას გამართლება ჰქონდა: ჯერ ერთი, ჰაანაგაში იყო განლაგებული ეგრეთ წოდებული „რაინდთა აკადემია“ ან, როგორც მას კიდევ ეძახდნენ, „საცხენოსნო სკოლა“ — პრივილეგირებული უმაღლესი საარტილერიო პროფილის სამხედრო სასწავლებელი, რომელშიც მხოლოდ ქვეყნის დიდგვაროვანთა წარმომადგენლები სწავლობდნენ; მეორეც, ჰააგასა და მის შემოგარენში თავმოყრილი იყო ჰოლანდიის მთავარი და პრაქტიკული მიზნებისათვის, ამასთან ერთად — მთავარი პარკი სალაფეტო არტილერიისა...

ყურადღებას ის გარემოებაც იპყრობს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის სამხედრო პროფილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში აქცენტი სწორედ ბალისტიკასა და მონიშნალმდეგის ციხესიმაგრის დალაშქვრისას სახმალდო არტილერიის მხრივ უზრუნველყოფაზეა გაკეთებული.

ეს დამთხვევები, ცხადია, შემთხვევითი არ იყო. რიგ ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად, ისინი საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ საარტილერიო მეცნიერების ხაზით ალექსანდრე ბატონიშვილის ჰააგაში სტაჟირებას ხელმძღვანელობდა უშუალოდ მენო ფონ კუჰორნი, რომე-

ლიც იმ დროისათვის უკვე ხანდაზმული იყო.

...ი. სხელტემას მტკიცებით, რუსეთის მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას ამჟღავნებდა ქართველი ბატონიშვილის ჰააგაში სწავლების მიმართ, წვრილმანების ჩათვლით.

ეს ინტერესი გამომჟღავნდა, კერძოდ, პეტრე I შეხვედრისას მენო ფონ კუჰორნთან, რომელსაც, ვფიქრობთ, ამ უკანასკნელის მეურვეობის ქვეშ მყოფი ალექსანდრე ბაგრატიონიც ესწრებოდა. ცნობილია, რომ ამ შეხვედრისას მეფემ გენერალ კუჰორნს მეტად ხელსაყრელი პირობებით შესთავაზა რუსეთის სამსახურში გადასვლა, მაგრამ მან უარი განაცხადა თავისი ასაკოვნობის გამო. მაშინ, როგორც ამას სათანადო წყაროები ადასტურებს, „მეფე შეეცადა, მისი შვილი, ჰენდრიკ-კაზიმირი, დაეთანხმებინა, რომელიც მათემატიკაში თითქმის გაუტოლდა მამას, მაგრამ მისმა მეღანქოლიურმა მდგომარეობამ ეს შეუძლებელი გახადა“. რუსეთში ასეთ საპატიო და მომგებიან მიწვევაზე მისი უარით გამოწვეული შთაბეჭდილება რომ გაექარწყლებინა, კუჰორნმა-მამამ სათანადო რეკომენდაცია გაუწია და მეფეს შესთავაზა თავისი ღირსეული კოლეგები, მათ რიცხვში ცნობილი ჰოლანდიელ არტილერიისტები — ოლტოფი, ხიკსენიუსი, ვეერმანი და სხელტიდა. ამ უკანასკნელმა, რომელიც კუჰორნის ნათესავი იყო, მიიღო პეტრეს მიწვევა და მოგვიანებით რუსეთს გაემგზავრა, სადაც სახელი გაითქვა, როგორც სანიმუშო საზღვაო ოფიცერმა-არტილერიისტმა. დაბოლოს, იცოდა რა მეფის გატაცება არტილერიითა და საზღვაო ომით და ისწრაფვოდა რა, მოეგო მისი გული, მენო ფონ კუჰორნმა მიიწვია იგი მეუღერბერგში თვალყურის სადევნებლად იქ ჩატარებული შესაქცევარი საარტილერიო „ბრძოლის“ ნაირსახეობისთვის, რომელსაც „ტრიუმფალური ომი“ უწოდეს. ამ „ომის“ სანახაობამ დიდი სიამოვნება მიანიჭა პეტრე I-ს, ავტორსა და მთავარ რე-

ჟისორს მსგავსი ბრძოლებისა, თავისთან, პრეობრაჟენსკოეში. მით უმეტეს, რომ მეუდერბერგის „ბრძოლაში“, როგორც ამას სხელტემა აღნიშნავს, წამყვან როლებს „მოკავშირეთა არმიის... მოხალისეთა“ სახით ასრულებდა 2 რუსი პრინცი. „ერთი მათგანი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი იყო“. სხელტემა ცდილობდა, გარკვეულიყო იმაში, თუ ვინ იგულისხმებოდა მეორე რუსი პრინცის სახით — იაკობ დოლგორუკი, ალექსანდრე ნარიშკინი თუ მატვეი გაგარინი, რაც, სამწუხაროდ, ამოუცნობი დარჩა. საინტერესოა, რომ „ორ რუს პრინცთან“ დაკავშირებით ი. სხელტემა სხვა ფაქტებსაც იმონებდა: თურმე ორივეს თვით მეფემ გაუწია რეკომენდაცია მენო ფონ კუჰორნის წინაშე და ორივე უშუალოდ ამ უკანასკნელთან გადიოდა საარტილერიო სწავლებას მანამ, სანამ შერყეულმა ჯანმრთელობამ და დაღლილობის ხშირმა შეგრძნებამ არ აიძულეს იგი ერთ-ერთი კოლეგისათვის დაევალებინა მათზე მეურვეობა. ყოველ შემთხვევაში, მენო ფონ კუჰორნისა და მის კოლეგათა ხელმძღვანელობით გაცემულმა თეორიულმა და პრაქტიკულმა ცოდნამ არ დააყოვნა, რომ წარმოჩენილიყო მეუდერბერგის „ტრიუმფალურ ომში“. სა-

თანადო მონაცემებით, ალექსანდრემ ამ ბრძოლის შედეგად საკმაოდ განსწავლული და მოხერხებული არტილერიის შთაბეჭდილება დატოვა, რითაც გამოიწვია პეტრე I აღტაცება, რომელიც თავისი მეგობრის წარმატებაში ზედმინწვნით იყო დაინტერესებული. ამას ნათლად მოწმობს შემდეგი სტრიქონებიც ი. სხელტემას გამოკვლევიდან: „პრინცი ბაგრატიონი... აქ (ჰოლანდიაში) ძალიან ბევრს მეცადინეობდა, რათა აეთვისებინა ყოველივე ის, რასაც არტილერიასთან ჰქონდა კავშირი, რა მიზეზითაც მეფე ამდენ ყურადღებას უთმობდა მის სწავლებას მეუდერბერგში“.

„ტრიუმფალური ომის“ შემდეგ ალექსანდრე ბაგრატიონმა რამდენიმე ხანს გააგრძელა სტაჟირება მეუდერბერგში, რის შემდეგ დაასრულა იგი და იმყოფებოდა მუდმივ პეტრესთან, სანამ ჰააგიდან ამსტერდამში ერთად არ გაემგზავრნენ. მანამ კი იგი თან ახლდა მეფეს პატარა იალქნიანი გემით დელფტიდან ლეიდენში მოგზაურობისას, სადაც მონაწილეობდა მეფის შეხვედრებში ცნობილ მეცნიერებთან: ანტონიუს ვან ლევენჰუკთან მისი უნიკალური მიკროსკოპების დათვალიერებისას, როდესაც პეტრე მათი მემ-

ვებით იმ დროისათვის საოცარი მოვლენის — თევზებში სისხლის მიმოქცევის — თვითმხილველი გახდა: პროფესორ ბურჰავენთან მან განთქმული „ტეატრუმ ანატომიკუმი“ დაათვალიერა. ამის შემდეგ მეფე ალექსანდრესა და სხვა თანამხლებ პირებთან ერთად ამსტერდამში ჩავიდა, სადაც რუსეთის ელჩებს ჩაასწრო, რომელთა ბოლო აუდიენცია ჰააგაში 1697 წლის 26 ოქტომბერს შედგა.

ამსტერდამში ალექსანდრე ცოტა ხანს ისევ პეტრე I-თან ცხოვრობდა „პაკჰაუზის“ შენობაში ოსტ-ინდოეთის კომპანიის ვერფის მახლობლად, რომელიც მეფეს, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ძალიან მოსწონდა. მაგრამ მეგობრები მალე ერთმანეთს დაშორდნენ: აღნიშნულ ვერფზე პეტრე ისევ ჩაება თავის, როგორც სახომალდო დურგლის, ყოველდღიურ საქმიანობაში, ხოლო ალექსანდრე უტრეხტში გაემგზავრა იქაურ რაინდთა აკადემიაში, ანუ საცხენოსნო სკოლაში მეცადინეობის გასაგრძელებლად, რათა არტილერიისტი პროფესისა საფუძვლიანად აეთვისებინა. საფიქრებელია, რომ ეს გამგზავრება მისი ჰააგელი და მეუდერბერგელი კოლეგების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა, ცხადია, მეფის დასტურით.

* **ჯუანხუარ მათეიშვილი (ვათაძე)** დაიბადა 1931 წ. 8 ოქტომბერს თბილისში. 1949 წ. წარჩინებით დაამთავრა ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1954 წ. დაამთავრა. მომდევნო წლებში მისი საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, თბილისისა და მოსკოვის უნივერსიტეტებს დაუკავშირდა, სადაც საქართველოს რუსეთთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობათა ისტორიის განხრით სპეციალდებოდა. ასპირანტურის კურსი მან მოსკოვის უნივერსიტეტში გაიარა და იქვე დაიცვა საკანდიდატო (1961 წ.) და სადოქტორო (1971 წ.) დისერტაციები. 1958 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში: პრეზიდენტის თანაშემწედ, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, მოსკოვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორი-

ის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმის დირექტორად, წლების მანძილზე იგი თბილისის უნივერსიტეტის შუა საუკუნეთა ისტორიის კათედრის პროფესორად მუშაობდა, მისი ხელმძღვანელობით არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომი შეიქმნა.

მის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი.

მოსკოვის ქართული მუზეუმის ხელმძღვანელობასთან და სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად მეცნიერი აქტიურ საორგანიზაციო საქმიანობასაც ეწევა. რუსეთში ჯ. ვათეიშვილის თაოსნობითაა დაფუძნებული ალექსანდრე და პეტრე ბაგრატიონების საერთაშორისო ფონდი, რომელმაც ევროპის ქვეყნებში არაერთი ღონისძიება განახორციელა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდების უკვდავსაყოფად (ალექსანდრე ბატონიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი მემორიალური დაფების გახსნა ზაანდამსა და სტოკჰოლმში, პეტრე ბაგრატიონის ძეგლის დადგმა მოსკოვში და სხვ.).

1988 წ. ჯ. ვათეიშვილი გერმანიის სა-

მეცნიერო საზოგადოება „გეორესგე-ზელშაფტმა“ ნამდვილ წევრად აირჩია. 1990 წელს მას საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა მონოგრაფიისთვის „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“ (აკადემიკოს არნ. ჩიქობავასთან თანაავტორობით), ხოლო 1994 წელს — რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. ჯ. ვათეიშვილს გადაეცა, აგრეთვე, საქართველოსა და რუსეთის საზოგადოებრივი ჯილდოები — მედლები ივ. ჯავახიშვილის (1976 წ.) და პეტრე დიდისა (2004 წ.).

** ამ ფაქტთან დაკავშირებით ალექსანდრე ბაგრატიონის ერთ-ერთი ბიოგრაფი, რუსი სამხედრო ისტორიკოსი მ. დ. ხმროვი მიუთითებდა: „შესაძლებელი ჩანს დაუშვავთ, რომ ამ გაკვეთილებს (შ. ფონ შტერნფელდთან — ჯ. ვ.) ესწრებოდა, აგრეთვე, ალექსანდრე ბატონიშვილიც, რომლის მომავალი დანიშვნა პეტრეს მიერ ნაუცბათევად ხომ არ იყო მოგონილი“.

იოანე მინჩხი — ჰიმნოგრაფი კოლხეთიდან

მიუხედავად იმისა, რომ მინჩხის მოღვაწეობას რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა, მის შესახებ მხოლოდ მცირედი ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. იოანე მინჩხი გახლდათ პიროვნება, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში. მინჩხის მოღვაწეობას იკვლევდნენ ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე და სხვ., თანამედროვე მკვლევარებიდან — ლელა ხაჩიძე და გიორგი სარია. ამ უკანასკნელმა თავის წიგნში „ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებათა საღვთისმეტყველო ანალიზი“ მოკლედ განიხილა მინჩხის მოღვაწეობის ხანა.

იოანე მინჩხი მოღვაწეობდა X საუკუნის პირველ ნახევარში. წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან — ჭყონდიდიდან იყო. ამ ვარაუდს გამოთქვამს პავლე ინგოროყვა და მას ეთანხმება ყველა მკვლევარი, რომლებსაც კი უკვლევიან იოანე მინჩხის ცხოვრება. ის იყო აფხაზთა მეფე გიორგის თანამედროვე. ამის თაობაზე კორნელი კეკელიძე წერს: „სინას მთის ერთ-ერთ ხელნაწერში მოთავსებულია გალობანი წმიდისა გეორგისანი, თქუმულნი ნეტარისა მინჩხისანი, რომელთაც შემდეგი შენიშვნა აქვთ თანდართული: ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გეორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა. დახასიათება გიორგი მეფისა იმ ზოგადი ეპითეტებით, რომელიც აქა გვაქვს, შეიძლება უფრო შეფერვებოდეს საქართველოს მეფე გიორგი პირველს (1014-1027), მაგრამ ამ უკანასკნელის მეფობა მინჩხისათვის მეტად ნაგვიანებია. ამიტომ ამ მინაწერში ჩვენ ვგულისხმობთ აფხაზთა მეფეს — გიორგის, რომელიც, მემატიანის სიტყვით, იყო სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმნითა და ახოვნებითა, ღმრთისმოყუარე იყო უმეტეს ყოველთა, მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხუი და მდაბალი და ყოვლითა კეთილითა სათნოებითა სრული“.

მინჩხის სახელი მეცნიერებისთვის ცნობილი გახდა ივ. ჯავახიშვილის მიერ 1902 წელს სინას მთაზე აღმოჩენილი საგალობლების შემდეგ. ეს საგალობლები გამოქვეყნდა 1947 წელს „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“. მიქაელ მოდრეკილის საგალობლებში

— „იადგარში“, რომელიც შედგენილია 978-988 წლებში, მინჩხის მრავალრიცხოვანი ჰიმნებიდან მხოლოდ ოთხია შეტანილი. ამ ფაქტს კორნელი კეკელიძე იმით ხსნის, რომ იოანე მინჩხი მოღვაწეობდა სინას მთაზე, მიქაელ მოდრეკილი კი, რომელიც მასალებს აგროვებდა თავისი კრებულისთვის, — საქართველოში. მას, იმ ოთხის გარდა, სხვა ჰიმნები ხელთ არ ჰქონდა.

კორნელი კეკელიძე წერს, რომ ეს საგალობლები ზოგი პროზითაა დაწერილი, ზოგი კი იამბიკოთი. იამბიკოთი დაწერილი ჰიმნები მოთავსებულია მიქელ მოდრეკილის კრებულში. ესენია: ორი ჯგუფი წმიდის აღდგომის დასდებელთა, მესამე — მეფის თეოდოსი დიდისა (379-395წ.), რომელიც წმინდანადაა აღიარებული, და მეოთხე — ექვთიმე დიდის, პალესტინელისა (გარდ. 473წ.). უკანასკნელი ორი ჯგუფის საგალობლები (თეოდოსისა და ექვთიმესი) წარმოადგენს, უეჭველია, ფრაგმენტს იანვრის თვის ჰიმნოლოგიური კრებულისას, რომელიც, ალბათ, ჩვენამდე არ შენახულა, ან ჯერ აღმოჩენილი არაა. სინას მთის ხელნაწერებში დაცული ჰიმნებიდან უნდა დავასახელოთ: უკვე ზემოთხსენებული წმიდა გიორგის საგალობლები, გიორგი მეფის თხოვნით აღწერილნი, „რომელნიც არიან თავედნი, ესე იგი აკროსტიქული, და იტყვიან: წმიდაო გეორგი, შეენიე გეორგი მეფესა წინაშე მეფეთა მეფისა და ადიდე...“. საგალობელთა ხელნაწერში ბოლო დაკარგულია. როგორც ჩანს, იოანე მინჩხს უწერია საგალობლები მთელი წლისა იმ გეგმაზე, რომელ გეგმაზეცაა აგებული საეკლესიო წე-

ლინადი იერუსალიმის კანონში.

პროფესორი ლელა ხაჩიძე იოანე მინჩხის მოღვაწეობაზე წერს, რომ იოანე მინჩხის შემოქმედების ორიგინალურობა მჟღავნდება, ერთი მხრივ, არსებული მოტივებისა და მხატვრული სახეების თავისებური გააზრებით; მეორე მხრივ, სრულიად ახალი სახისმეტყველების, განწყობილებებისა და მხატვრული ენის შექმნით. მინჩხის შემოქმედების შესწავლა ნათელს ხდის მისი შემოქმედების საერთო კანონზომიერებას, რაც ტრადიციული მასალის პირველხილვის, სათავეებისკენ სწრაფვაში მდგომარეობს. ამ მხრივ საყურადღებოა მინჩხის ერთ-ერთი (I სამშაბათის მწუხრის) მცირე ფორმის საგალობლის უკანასკნელი ტროპარი, რომელიც ქრისტიანული ლიტურგიის ძირითადი და ყველაზე ტრადიციული ლოცვის — „მამაო ჩვენოს“ პოეტურ გადამუშავებას წარმოადგენს. ასეთი შემთხვევები ჰიმნოგრაფიის ისტორიაში ძალზე მცირეა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ იოანე მინჩხი საკუთარ ხელწერას ტოვებს თვით რიტმულ-მელოდიურ საზომებში — შუა საუკუნეების სასულიერო პოეზიის ყველაზე კანონიკურ სფეროში. იოანე მინჩხის გავლენა იგრძნობა მის თანამედროვე და შემდეგ ჰიმნოგრაფებზე.

ამის თაობაზე პროფესორი ლ. ხაჩიძე ამბობს: „მიქაელ მოდრეკილს, რომელიც X ს-ის II ნახევარში მოღვაწეობდა, ერთ-ერთი ჰიმნოგრაფიული კანონი შეუქმნია იოანე მინჩხის წმ. გიორგისადმი მიძღვნილ საგალობელში კანონის რიტმულ-მელოდიური საზომების მიხედვით. იოანე მინჩხის საგალობლები დემეტრე-დამიანეს „შენ ხარ ვენახის“ შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ იქცა. აშკარაა, ასევე, იოანე მინჩხის შემოქმედების გავლენა დავით აღმაშენებლის ჰიმნოგრაფიულ შედევრზე „გალობანი სინანულისანი“. იოანე მინჩხის შემოქმედება ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისთვის“.

თეიმო სახურია

თედო სახოკია

მოგზაურობა აჭარაში

მეთექვსმეტე საუკუნეში სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, ტაო-კლარჯეთი და მესხეთ-ჯავახეთი, ასევე აჭარაც, ოსმალებმა დაიპყრეს და „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს. „გურჯისტანის ვილაიეთი“ 8 ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა. ესენი იყო: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ფანაკისა და დიდი არტაანის ლივები. თავის მხრივ, ლივები ნაპიებად (რაიონებად) იყო დანაწილებული, დასახლებული პუნქტები 1160-ს შეადგენდა.

ამ ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ რუსეთის იმპერიის დახმარების შედეგად გახდა შესაძლებელი: პირველად — 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და საქართველოს დაუბრუნდა ძველი მესხეთისა და ჯავახეთის ნაწილები: ქობლანის, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყვერი, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი და აბოცი (ჩილდირი); ანუ ძველი სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო და ერუშეთი.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ პარიზის ზავით შემოერთებულ იქნა მესხეთის მეორე ნაწილი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი — ოლთისი.

რუსეთის დროს შემოერთებული ტერიტორია შემდეგი მოცულობისა იყო:

ახალციხის მაზრა — 2706 კვადრატული კილომეტრი;
ახალქალაქის მაზრა — 2793;
ბათუმის ოლქი — 3779;

ართვინის ოლქი — 3339;
ფოცხოვის ოლქი — 588;
არტაანის ოლქი — 5137;
ოლთისის ოლქი — 3051.

სულ მესხეთის ტერიტორია გადაჭიმული იყო 21 393 კვადრატულ კილომეტრზე, ანუ მთელი საქართველოს ტერიტორიის მესამედზე მეტს შეადგენდა. ძველი მესხეთის ნაწილებიდან ოსმალეთის საზღვრებში დარჩა ჭანეთი, ანუ ლაზისტანისა და ზემო ჭოროხზე მდებარე ნაწილი.

ეს ისტორიული ექსკურსი პირველ რიგში მათთვის არის განკუთვნილი, ვინც რუსეთს საქართველოს ისტორიულ მტრად თვლის, თურქეთს კი — მეგობრად.

როდესაც ვახსენებთ ტოპონიმებს — ბათუმი, ქობულეთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური... იქვე უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის გარეშე ეს ყველაფერი დღეს თურქეთის ნაწილი იქნებოდა, ხოლო დანარჩენი საქართველო რამდენ ნაწილად განაგრძობდა არსებობას და იარსებებდა თუ არა საერთოდ, ცალკე საკითხავია.

მგზავრის წერილები და მგზავრის შენიშვნები, რომელიც თავმოყრილია წიგნში „მოგზაურობანი“, თედო სახოკიამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწერა. იმ ხანებში ავტორმა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დავალებით იმოგზაურა გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში, შემდეგ კი მოგზაურობის შთაბეჭდილებები სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა პერიოდულ პრესაში. ამჯერად შემოგთავაზებთ თედო სახოკიას აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული გეოგრაფიკა“ №9)

თამარ მეფე, როგორც მოგვითხრობენ იგივე აჭარელნი, ხშირად დადიოდა სხალთის ტაძარში სალოცავად. აქაურ მთაგორიან ბილიკებზე სავლელად სულ მუდამ ჯორი ჰყავდა. ამ ჯორით სწორედ ამ ფურტიოს, ანუ „დედოფლის ხიდზე“ გამოდიოდა თურმე. ხიდს რომ მოადგებოდა, „ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირასო“. ხიდის მარცხნით ნაპირზე ახლაცაა განკერძოებულად მინაში ღრმად ჩამჯდარი ლოდი ერთ ოთხკუთხის ადლის სიფარ-

თისა, თითქმის ერთ ადლზე ამოწეული ნიადაგიდან. ამას „დედოფლის ქვას“ ეძახიან. თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ფეხს და ისე შებრძანდებოდა თავის ჯორზე.

ამ ხიდიდან ერთი გზა აჰყვება აღმართს, ნახევარი საათის სიარულის შემდეგ გზა ორ ტოტად იყოფა: ერთი ტოტი რომ ფურტიოში მიდის, ხოლო მეორეს სოფ. სხალთაში მიჰყავს მგზავრი. იმ გზას, რომლითაც თამარი სხალთაში დაბრძანდებოდა სალოცავად, დღესაც ამ ქალი მოგზაურის

სახელი შერჩენია, „დედოფლის გზა“. ამ გზას, ანუ, უკეთ, ბილიკს იქით-აქეთ ნაპირებზე ქვის ნაყოფი ატყვია, სერზე გადადის და იქიდან სხალთის წყალთან ჩადის. მართლაც და დიდებული უნდა ყოფილიყო მეფე, რომელმაც ასეთი სიყვარული მოიპოვა თავის ქვეშევრდომთა შორის და თავისი ნეტარსახსენებელი სახელი ასე დაუვინყრად ჩაუქსოვა მათს ხსოვნას!..

წარსულის მოგონებითა და ოცნებით გატაცებულმა სერზე ერთ სიმიდის ყანაში ტლანქად გაკეთებულ და მინაში ჩარჭობილ ჯვარს მოვკარი თვალი, მხარ-ნა-

ხევის სიმაღლისას, სწორედ ისეთს, როგორც თითქმის ყოველ ყანებში შეხვდება ხოლმე ადამიანი გურია-სამეგრელოში. **საქართველოს ამ კუთხეებში ასეთი ჯვრები, როგორც ვიცით, ითვლება მფარველად მკვდრის ქონება-კარმიდამოსი მზაკვართა და მავნე სულთაგან. ამ საქრისტიანო მხარეში ადამიანს თვალი შეჩვეული აქვს და ასეთი ჯვრები არ აკვირვებს. მაგრამ აჭარაში, სადაც საუკუნე-ნახევარია, რაც ქრისტეს სჯული და ჯვარი მაჰმადიანობამ აღმოფხვრა, ჯვრის ნახვამ დიან გაგვარცა და ცნობისმოყვარეობა აღგვიძრა.** პირველად ჩემს თვალს არც კი ვუჯერებდი — ხომ არა ვცდები-მეთქი, და იუნუსას ვკითხე: რა დგას ყანაში-მეთქი? ჯვარია ბატონოვო, მიპასუხა და თანაც ამიხსნა მისი დანიშნულება: მოგეხსენებათ, ყანის მტერი ნამეტნურად ჩიკვია: როცა ამას დაარჩობენ, სოფლიერი (გლეხი) ჩიკვს ეტყვის: „თუ ამის მაღლი გნამს, სიმინდს არ შემეჩამო!..“

ჯვართან ერთად აქაც დარჩენილა ჩვეულებად ღობის სარზე ჩამოკიდება პირუტყვის თავის ქალისა ან, როგორც აქ ეძახიან, საქონლის ხაპერისა. ამ ძვალს აჭარაში იგივე დანიშნულება აქვს, რაც იმერეთში: მავნე თვალთაგან დაიცვას და უვნებელ-ჰყოს კარმიდამო და ქონება აჭარელისა, მისი უსულო, მაგრამ მუდამ ჟამიერი გუშაგი იყოს.

გარეშე ხილულ გარეულ ფრინველთა და ცხოველთა, გარეშე ბოროტისა და ავის თვალის უხილავ სულთა, აჭარელის ჭირნახულს მეტი სიძლიერით ვნებენ და

თითქმის აჩანაგებენ ბუნების მოვლენანი: გვალვა და გაბმული წვიმა, რომელთაც ხანდისხან სეტყვაც ერთვის ზედ. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ეს ორი მოვლენა ბუნებისა ისე არსად არის საშიში, როგორც მთა-გორიან ადგილებში, როგორიც არის აჭარაც. ორ-სამ გოჯის სიღრმე ნიადაგი, რომელსაც მაშინათვე კლდე მისდევს ხოლმე, თუ გვალვაა, უცბად მრება, ნახნავი გოროხად იქცევა და სიმინდი ხმება გამოუბრუნებლად; თუ გამუდმებული წვიმაა — მცენარე ნიადაგიანად ძირს ჩაირეცხება ხოლმე, ხოლო მისი პატრონი, ყოვლად უმწეო, ყოვლად უსასო მთელი წლის განმავლობაში ხელდაბანილი რჩება თავის სარჩო-საბადებელზე. და აჰა, ამ დროს, როცა ჯვარი და „საქონლის ხაპერი“ ვერასაჰმეღის აჭარელსა, ეს უკანასკნელი ზენა-არსს შეჰღალადებს, ცას შეჰყურებს, იქიდან მოელის ხსნასა; განრისხებულს ბუნებას, ამ უბედურების მომვლინებელს, მსხვერპლსა სწირავს, რომ ამით გული მოუღბოს, თავი შეაბრალოს და რისხვა მოწყალეებად შეაცვლევიოს.

აჭარელი დარწმუნებულია, რომ ძღვენი და ქრთამი ყველგან და ყველასთან გადის, რომ ქვეყნად არავინაა ისეთი, სამსახური და მორჩილება არ ეამოს და რომ უამისოდ ცხოვრების ფონი, თუ სულ მახრჩობელა არ არის, ძნელი გასავლელი მაინცაა. ამ მსხვერპლის შეწირვას და ღოცვას ყურბანი ჰქვია. გვალვის დროს, როცა სოფელი დარწმუნდება, რომ უყურბანოდ ზეციდან წვიმას ვეღარ ეღირსება, ყადი მოთავედ უხდება საქმეს და მთელ სოფელს დი-

დიან-პატარიანად (გარდა დედათა სქესისა) თავის ხოჯების საშუალებით იწოდებს, — „ღუაზე“ გამოდით, ესე იგი ვეხვეწოთ წვიმის მოყვანისათვისო. უწვიმობით შეწუხებული რამდენიმე სოფელი ერთად იყრის თავს ამ შემთხვევისათვის და ქართულად ამბობენ: „ღმერთო! წვიმა მოიყვანე შხაპუნა და ძლიერო“. წინ მოღები მიუძღვით. ღოცვის სათქმელად რაც უფრო მაღალი სერებია, იქ ადიან და ერთი სერიდან მეორეზე გადადიან, — აქედან უფრო ახლოსა ვართ ცასთან და უფრო გავაგონებთ ჩვენს გაჭირვებასაო. სამი დღის განმავლობაში დადის ხალხი მოღების წინამძღოლობით სერ-სერ. რო დაიღლებიან, შეისვენებენ და ისევ შეუდგებიან ღოცვა-ვედრებას. სამ დღეს უკან ჯამესთან ჩამოვლენ და საერთოდ გაღებული ფულით ნაყიდ ხარსა, ძროხასა, ყოჩსა ჰკლავენ და ხორცს ფუხრებს (ღარიბებს) ურიგებენ. რა თქმა უნდა, თავიანთ თავსაც არ ივიწყებენ და მართავენ ჭიდაობასა და სიმღერა-თამაშს. ამავე დროს ჩამოდიან მახლოვლელ მდინარესთან, რომელშიაც ჩადგმულია მოწეული ძარი. პროცესიის მონაწილეს თითოეულს თითო წვიტი (პატარა) ქვა მოაქვს. ყოველ ქვას ჯერ მოლას მიუტანენ და ისიც თურქულად შეულოცავს ხოლმე: „ღმერთო, წვიმა გვინყალობე, შეწუხებული ვართ, შენი წყალობა მოგვანიჭე, ყველასი, დიდისა და პატარასი, მწყალობელი შენა ხარ“. რადგან ერთი ყველას თავს ვერ გაართმევს, შემოცველად ხანდისხან ოცი, ოცდაათი მოლა მოიყრის ხოლმე თავსა. ამ შელოცვილ კენჭებს, რომელთა რიცხვი ზოგჯერ რამდენიმე ათასს აღემატება ხოლმე, წყალში ჩადგმულ ძარში აგდებენ და ელოდებიან წვიმის მოსვლას: დარწმუნებული არიან, რომ ცა ვეღარ გაუძლებს შელოცვილი კენჭების ჯადოს, სიკერპეხედ უნებურად ხელს აიღებს და შექველად განვიმდებო. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ, ამ ოპერაციის შემდეგ, კრიჭაშეკრული ცა ღრუბლებით დაიხუზლება, იელ-

ჯვართან ერთად აქაც დარჩენილა ჩვეულებად ღობის სარზე ჩამოკიდება პირუტყვის თავის ქალისა ან, როგორც აქ ეძახიან, საქონლის ხაპერისა. ამ ძვალს აჭარაში იგივე დანიშნულება აქვს, რაც იმერეთში: მავნე თვალთაგან დაიცვას და უვნებელ-ჰყოს კარმიდამო და ქონება აჭარელისა, მისი უსულო, მაგრამ მუდამ ჟამიერი გუშაგი იყოს.

ვებს, გაისმის გრგვინვა და მათ-
და სასიხარულოდ, მართლაც წა-
მოვა გამაცოცხლებელი წვიმა და
გვალვისაგან სულ-ამორთმეულ
ჭირნახულს უკვდავებს წყალი-
ვით მოესწრება. ისეც მოხდება,
რომ ხანგრძლივი გვალვის შემ-
დეგ, თუ კი ერთი და ერთი მოიხს-
ნა ცამ პირი და გააბა, ავდარს და-
სასრული აღარ უჩანს და, რგების
მაგიერ, ჭირნახულს უარესად
აფუჭებს. ამ მეორე უბედურების
ასაცილებლად იმავე მოჯადოე-
ბულ ძარს, რომლის შემწეობით
ცას პირი გაახსნევენ, წყლიდან
ამოიღებენ და ისევე ყურბანს დაჰ-
კლავენ, ისევე ლოცულობენ, რომ
ცამ ისევე შეიკრას პირი, — გვაკ-
მარე უხვად მომადლებული წყა-
ლობა შენით.

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

ჩვენი ბილიკის აღმართს ბოლო
აღარ ეღება, საცოდავი პირუტყ-
ვი ღონიდან იცლება და ოთხივე
ფეხებით ჰკანკალებს მეტი სიმწა-
რისაგან. სიცხისგან მათს მხედ-
რებსაც ხვითქი გადაგვდის. მოს-
მენილ ამბის გავლენის ქვეშ მყო-
ფმა მაშინაღწერად ვინატრე, ნე-
ტავ, ვინმე მაღლიანი გამოჩნდე-
ბოდეს ჩვენს ბედზე და ახლა ყურ-
ბანს დაჰკლავდეს, იქნება მართ-
ლა შესუსტდეს მზის სიმწვავე-
მეთქი. ამ ნატვრაზე ზედ წავადე-
ქი მშვენიერ რცხილნარში ჩუხჩუ-
ხით გამომავალ ბროლის მსგავს
და ყინულივით ცივს წყაროს. **აბა,
რას მოვიფიქრებდი, რომ როდის-
მე მეღირსებოდა სიცხისაგან და-
ტანჯულს წყურვილი მომეკლა
სწორედ იმ წყაროზე, სადაც გად-
მოცემით თამარი არაერთხელ
ჩამომხდარა, რომ ამავე წყალს
დასწაფებოდა...**

„ეს, ბატონო, „დედოფლის წყა-



**XI-XII საუკუნეების ფურტიოს თაღმავანი სიდი აჭარისწყლის
ხეობის დასაწყისში მდებარეობს. სიდი ერთმანეთს
სხალთისწყლის ხეობაში არსებულ ქველ გზებს აჭარისწყლის
ხეობაში გამავალ ცენტრალურ მაგისტრალთან
აკავშირებდა. ამ გზით სხალთის ხეობიდან
ზღვისპირეთისაკენ მიემართებოდა უმოკლესი საქარავნა
გზა არდალანიდან და ახალციხიდან. სიდი ჩვენამდე
საქამოდ დაზიანებული სახით მოაღწია. სიდის ძირითადი
ნაწილის სიგრძე 135 მეტრია, სიგანე — 2,35 მეტრი.**

როა“, — მითხრა ჩემმა იუნუსამ
და თან მოაყოლა ამ ისტორიული
წყაროს ბიოგრაფია. სხალთაში
მიმავალი მეფე, როცა მგზავრო-
ბის გათავებას ვერ მოასწრებდა
და შემოალამდებოდა, ფურტიოში
დაისვენებდა მეორე დღემდე. ერ-
თხელ ერთ შეძლებულ გლეხს —
ვინმე სიმონას სწვევია. გლეხი სი-
ხარულისაგან ცას ეწია თურმე —
„დედოფალი მეწვიაო“, და დატ-
რიალებულა, რომ დიდებულ სტუ-
მარს თავის შეძლებისდაგვარად
გამასპინძლებოდა, ისე რომ თვი-
თონ დედოფალს საამოდ დარჩე-
ნოდა და ეთქვა, — „შეხე, რა ქვე-
შევრდომი მყავსო“. სიმონას შვი-
ლისათვის ღვინო მიუცია ამ წყა-
როში ჩასაცივებლად. დედოფალს
ფრიად მოსწონებია ჩაცივებული

ღვინო და უნებებია, შეეტყო, ასე-
თი ცივი წყარო (მართლაც ამ წყა-
როს 5 გრადუსით მეტი არა აქვს
სითბო) სად არისო? რა თქმა უნ-
და, მისი სურვილი მყისვე აუსრუ-
ლებიათ. ამის შემდეგ აქეთკენ სი-
არულის დროს დედოფალი ამ
წყაროს ისე არ გაუვლიდა, წყალი
არ დაელიაო, და წყაროსაც მისი
სახელი შერჩენია. არც თამარ მე-
ფის მასპინძლის სახელი გადა-
ვარდნილა. ამ გლეხის ნამოსახ-
ლარს, რომელიც ახლა ფურტიოს
მცხოვრებს, არიფ-ალა ბერიძეს
ეკუთვნის, დღესაც „სიმონაური“
ჰქვია. მეორეჯერაც სწვევია თა-
მარ მეფე სიმონას. მის შვილებს
ძვირფასი სტუმრისათვის „დო-
ლია“ (ურქო ძროხა) დაუკლავთ.
მამას როგორღაც უკითხავს შვი-
ლებისათვის: სად დაჰკალითო?
იმათაც უჩვენებიათ. ამ ადგილ-
საც დაუფინყარი მეფის სტუმრად
წვევის მოსაგონებლად „დოლია-
ური“ დაჰრქმევია და სახელი
დღესაც არ შეცვლილა.

ადამიანს ფიქრადაც არ მოსვ-
ლია, რომ „დედოფლის წყარო“
რითიმე ხელოვნურად დაემშვე-
ნებინა, ალბათ, მკრეხელობად
ჩასთვალა, ბუნებას შესჯიბრე-

**აჭარელი დარწმუნებულია, რომ ქვინი
და ქრთამი ყველგან და ყველასთან გადის,
რომ ქვეყნად არავინაა ისეთი, სამსახური
და მოკრძალება არ ეამოს და რომ უამისოდ
სხოვრების ფონი, თუ სულ მახრჩოვალა
არ არის, ქნელი გასავლელი მაინცაა.**

ბოდა ამ საქმეში. ჩუხჩუხით გამოდის დედამისის გულიდან ანკარა, ვით ვერცხლის წყალი. ზედ დასცქერის ერთად თავშეკრული მარად მწვანე ნაძვები და წვრილ ფოთლიანი რცხილები, რომელნიც გუშაგად უდგანან და მზის სხივებს აღარ აკარებენ. გარს შემოხვევია ხავერდის მსგავსი ხავსი და სხვადასხვა გვიმრა. წყალს უხვად იძლევა ეს წყარო. მხიარულად მიხტის ქვიდან ქვაზე; იმის ქვემოთ გამწკრივებულია ოთხი თუ ხუთი ბუჩულა სოფლიერთა და დღე და ღამე ნირშეუცვლელად ახმანებენ იქაურობას. ხის წისქვილები ისე პატარები არიან, რომ ერთი კაცი ძლივს მოთავსდება შიგ. თითქმის ყოველ ოჯახს თავისი საკუთარი ბუჩულა აქვს, რადგან მთის წყლები უხვად გადმოსჩუხჩუხებენ. ღარებიც ხომ საინტერესო აქვს! იმის მაგივრად, რომ სამი ფიცარი შეეკრათ, მთლიანი ძელის გული ამოუღრუტნიათ. წყალი რაც კი ჩადის, წვეთი აღარ იკარგება და მთელი თავისი ძალით ხვდება წისქვილის თვლებს.

დედოფლის წყაროს წყალმა გაგვაცოცხლა, ღონე მოგვიკრიბა, თითქო ხელახლა დავიბადეთ. მივდივართ, მაგრამ აღმართი დაუსრულებელ ზოლად გადაიქცა. იქით-აქეთ დასასვენებლად გაშვებულ ფერდობებს მწვანე ხასხასი გააქვთ. ყველას თავისი სახელი აქვს და თავისი ისტორიაცა, თუმცა ერთი შეხედვით კაცს აზრადაც არ მოუვა, ეს ადგილები რომელსამე ისტორიული ამბის ასპარეზად ჩასთვალოს. ასეთეზია, მაგალითად, „ნახუცარი“ და „ნალობივი“, — თითო დღის მინა, თავისუფლად გაშვებული, ფურტიოს დასაწყისში. ერთხელ თამარ დედოფალს კვირა დღეს მოუხდა თურმე ფურტიოში გაჩერება. ბრძანა, რაკი სხალთაში ვერ ჩაუსწარ, თქვენს ეკლესიაში უნდა მოვისმინო წირვაო. მთელი სოფელი შეიკრიბა, თამარ ბატონმა ეკლესიაში იწეხა ჩვენთან ერთად წირვის მოსმენაო. წირვის დაწყების ჟამი გახდა, მაგრამ მღვდელი აღარსადა სჩანდა. დი-

დებულმა მლოცველმა მოიკითხა: ხუცესი რა იქნაო? კრძალვით მოახსენეს: ნუ გაგვირისხავთ, დიდებული! მღვდელს შეეშინდა, მეფის საკადრისი წირვა მე სად შემიძლია ვსწიროვო და დაიმალა. ფრიად ეწყინა თურმე და ბრძანა, საცა იყოს, მოძებნეთო. იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ და გლეხს ნიკოლა შანთაძეს ლობიოში კი უნახავს დამალული მღვდელი. მას აქეთ ეს ადგილები ისტორიული შეიქნა: ერთს „ნახუცარი“ დაერქვა და მეორეს „ნალობივი“. თამარმა, ასე იყო თუ ისე, აწირვინა მღვდელს, მაგრამ გულწაკლული დარჩა მაინც: „მინდოდა, ქვის ეკლესია გამეშენებინა თქვენს სოფელში, მაგრამ თქვენი მღვდელი ხის ეკლესიის ღირსიც ძლივს არისო“. ამ ადგილას ძველი ქვის საყდრის საძირკველი დღესაც ეტყობა.

აჰა, ფურტიოში შევედით კიდევცა. ადამიანს აოცებს ეს მთლიანი ტყე ხეხილისა, რომელშიაც ჩაფლულია აქაური ხის სახლები. განსაკუთრებით აუარებელია მსხალი. ალაგ-ალაგ ვაზებით დახუნძლული ხეებიცა დგას. ამდენი კარგი ჯიშის ხილს აჭარაში იშვიათად თუ სადმე შეხვდებით. სახლებიც ერთი მეორეზე დაახლოვებითა სდგას. სუყველა ხისაა, ყავრით გადახურული. შეუჩვევლს თვალს ეხამება აქაური წესი ყავრით დახურვისა. ყავარი ლატნებზე აწყვია და აღარც ბასქა აქვს სადმე და აღარც ლურსმანი. ამ უკანასკნელის მაგივრად ბრტყელი ქვები აწყვია ყავარს დასამაგრებლად. საზოგადოდ, ალბათ ლურსმნის სიძვირისა გამო, მთელ აჭარაში ასეა სახლები დახურული, სახლებთან მოდგმულია იმერული სასიმიანდეები, ოთხ ბოძზე შემდგარი. ყოველ ბოძის თავზე ჯამის მსგავსად გაჩორკნილი ხის ნაჭრებია, მხოლოდ ამოღრუტნილი ნაწილი ქვეშა აქვს მოქცეული, ხოლო გამოზერილზე სასიმიანდეს დედა-ძელის თავებია დამყარებული. დანიშნულები ამ ოსტატურ ჯამისა ის არის, რომ ბოძზე აცოცებული თავი ვერ შევა სასიმიანდეში.

ყადი ეფენდი ბერიძე

იმ ღამეს მასპინძლად გვყავდა ყადი ეფენდი ბერიძე, წვერი ხულოს მეჯლისისა, მთელ სოფელში ცნობილი თავის შეძლებითა, რასაც, რა თქმა უნდა, მისი თანამდებობაც უწყობს ხელს. სახლში თვითონ ბერიძე დაგვიხვდა და წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობით გავვიმასპინძლდა. ბერიძე აქეთკენ ნასწავლ კაცად ითვლება, რის გამო ეფენდის ტიტული აქვს. ქართულად წმინდად ლაპარაკობს, და თუმცა წერა-კითხვა არ იცის, ხოლო თურქულად თავის ღირსების შესაფერი სწავლა აქვს მიღებული. თბილისელ ქართველებში დაახლოვებით იცნობს აჭარაში ქართული წიგნების შემოტანის პიონერს, ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს. მეტის ქებითაც იხსენიებს ჩვენს დაულალავს მოღვაწეს: ჩვენს ჯამებში დადიოდა, ჩვენთან ერთად ლოცულობდა; ბრალია, ასეთი ეფენდი კაცი გურჯია და ჩვენს სჯულს არ ღებულობს, თორემ ყადობას არავინ დაუჭერდაო...

ჩვენი ყადი შეძლებულ მოსახლედ ითვლება ფურტიოში. ორი სახლი უდგას გამოჩინებულ ადგილას: ერთში სახლობთ თვითონა ცხოვრობს, ხოლო მეორე, უფრო ახალი, — სტუმრების მისაღებად აქვს. სასტუმროში რამდენიმე თვალია ნოხებ და ქეჩებ გადაფენილ ტახტებიანი. მისვლისთანავე სასტუმროში, ანუ როგორც აქეძახიან, **ყონალში**, შეგვიყვანა და თვითონ კი დატრიალდა, რომ შინაურებს საჭმელი დაემზადებიათ. მოკლე ხანში სუფრას გვიმშვენებდა ტაბაკად შემწვარი დედალი, სიმინდის მჭადი, ბროლივით წყალი... და მასპინძლის მდიდარი გული. ქართველურ ბოდიშს დასასრული აღარ ჰქონდა: ნუ დაგვზრახავთ, თქვენს საკადრისად ვერ დაგისვდით, მაგრამ რა ვქნათ, ფუხარა ხალხნი ვართო... გულწრფელი მაღლობის მეტი რაღა მეთქმოდა. საჭმელითა და დასვენებით ძალის მოკრეფის შემდეგ შევუდექით სოფლის თვალიერებას.

ყველგან ცნობის მოყვარეობით გვზვერავდნენ: „გურჯი მოსულა,



გურჯიო!“ ერთ ალაგას გვაჩვენეს უზარმაზარი ქვევრები, ქვევრით ამოვსებულები. გვიამბეს: გურჯობისას, დიდძალი ღვინო დგებოდა ფურტიოშიო. დღეს კი აქაიქ თუ-ღაა დარჩენილი ვაზები ამ სოფელში და დამსხვრეული ქვევრები-ღა თუ მონმოვს, რომ ძველად მეღვინეობა ერთი უპირველესი დარგი ყოფილა აქაურების მეურნეობისა.

საბრუნავას სერი და იმ გადახდილი ბრძოლა

სამხრეთით ფურტიოს ერთი გახრიოკებული კალთა ეგრეთ წოდებული „საბრუნავას სერი“ აკრავს მთისა, რომელსაც მკაფიოდ ეტყობა გარშემო ხაზი, სადაც ინყება ნაყოფიერი და უნაყოფო მიწა. ეს კალთის მსგავსი ოთხი-ხუთი დღის ადგილი ხელის გულივით მოტყვლებილია. ძველ დროიდანვე ასე შეუმუშავებლად გდია. მიწის უნაყოფობას ნიადაგის თვისებას არ აბრალებენ აქაურნი. ამის მიზეზად, თუ აქაურებს დავუჯერეთ, სრულებით შემთხვევითი გარემოება გამხდარა.

სხალთაში, — მოგვითხრობენ აქაურნი, მთავრად იჯდა ვინმე გორგაძე, ფურტიოში მცხოვრებ ფარნას შვილი ჭინკაძე (სოფელ დოლოგანში ჭინკაძენი, 30 მოსახ-

ლე, ახლაც ცხოვრობენ), რომლის ნამოსახლარად ფურტიოს ხიდს ახლო მდებარე ადგილს ასახელებენ, — გაურჩეობა მთავარს — შენ უნდა გადაგადო და მე უნდა დავიჭირო შენი ალაგო. ერთხელ კიდევ შეუპყრიათ ურჩი ჭინკაძე და ჯაჭვით სხალთაში დაუბამთ. ტყვესთან ერთი კაცი მისულა და ნიშნის მოგებით უთქვამს: „ღირსი იყავ და ღირსეულად დაუჯიხართო“. ტყვეს გულის მოსვლია, ჯაჭვი გაუგლეჯია და დამცინავიც მოუკლავს, ბოლოს, როგორც იყო, კიდევ გაქცეულა. გორგაძემ, რა კი ვერა მოუხერხა რა გავარდნილს ჭინკაძეს, გამოაცხადა: ვინც მოჰკლავს, წყალობით ავაგსებო. გამოსულა ვინმე როკო (იმისი ნასახლარ ადგილს ახლაც „როკოს“ ეძახიან) ბერიძის შვილი აბაზა და მოუხსენებია მთავრისათვის: ჩემს კისერზე იყოს იმისი დაჭერაო! აბაზა ბერიძეს შეუყრია ჯარი და დიდხანსა

სდია თურმე ჯერ შავშეთში, მერე — ქვემო-აჭარაში, მაჭახელშიც კი. ბოლოს, ფურტიოში მოუმწყდევია „საბრუნავას“ სერთან. ეს სახელიც იმიტომ დარქმევია ამ სერს, რომ ფარნას შვილი აქ დაბრუნებულა. გამართულა ბრძოლა და მთელი ტბები დამდგარა სისხლისა (აქედან წამომდგარა სახელი ამ სერის ერთი კუთხისა — „ტბანები“). ამ ბრძოლაში აბაზას გაუმარჯვნია და ფარნას შვილი მოუკლავს.

ომი რომ გადაუხდია აბაზასა, მის დამშეულ მეომრებს სოფლისათვის საჭმელი უთხოვნიათ. სოფელთ უპასუხნია: სანამ დაგიმზადებდეთ, ემანდე მსხალია მწიფე და ის მიირთვითო. ისინიც მივიდნენ და მწიფე მხალს შეექცნენ. იმ ისტორიულ ადგილსაც „სხალიანი“ შერჩა სახელად. საბრუნავა, ტბანები და სხალიანა სულ ერთადა ძევს. ფურტიოს ორ უბანსაც თავ-თავისი სახელი და-

გურჯობისას, დიდძალი ღვინო დგებოდა ფურტიოშიო. დღეს კი აქა-იქ თუ-ღაა დარჩენილი ვაზები ამ სოფელში და დამსხვრეული ქვევრები-ღა თუ მონმოვს, რომ ძველად მეღვინეობა ერთი უპირველესი დარგი ყოფილა აქაურების მეურნეობისა.

ერქვა ამ დროის მთავარ გმირთა მოსაგონებლად: ერთს — „აბაზა-ური“, ხოლო მეორეს — „ფარნი-აშვილები“.

ფარნას შვილს ამ ბრძოლის დროს ორი ნათესავი მოუკლავს გორგაძესი და უთქვამს: „ვინც მინდოდა, ორი მაინც მოვკალი და ახლა სიკვდილს მაგდენად არ ვინალვლიო“. თანაც დასწყევლა თურმე ის ადგილი, სადაც სული დალია: **„მონყალე ღმერთმა ნურაფრის მოსავალი ნუ აღირსოს ამ ადგილს, საცა ჩემი სისხლი დაიდვარაო. ნურც ადამიანს და ნულარც პირუტყვს ნურა-რა არბოსო“**... ეს სერი, როგორც ზევეთაცა ვსთქვით, უნაყოფოდ და ხრიოკადა გდია. რამდენიმე კომლი გლეხი სახლობს გარშემო, მაგრამ არც ერთს ხეირი და წარმატება არ ეტყობაო.

გამარჯვებულმა აბაზამ წაიღო მოკლული ჭინკაძე და გორგაძესთან წავიდა. — ფარნას შვილის დევნაში, უთხრა, მაჭახელიდან კარჩხლის მთაზე გადმოვიარეთ, ანწლისა და ენერის (გვიმრის) გარდა ყოველი ბალახი ვსძოვეთ ჩემიან, ჩემ ჯარიანა საქონელივით, სოფელში შესვლისა და პურის ქამის დრო არა გვექონდაო. ბოლოს რის წვალებით ფურტიოში მოვიმწყვდიე და აჰა, სურვილი აგისრულე, — მოვკალიო. მთავარს გაეხარდა სიმარჯვე აბაზა-

სი და თავის შრომის ფასად აჩუქა თეთრობის მთაზე საძოვარნი და მანყვალთის მთის ბაჟი, მიცა: დოლოგანი (ფარნას სოფელი) ყმად, ათას კოკიანი ჭური და სოფ. ფურტიოს ღვინის მოსავალი.

გახარებულმა აბაზამ ჭური სხალთიდან წამოიღო, მაგრამ ფურტიოში მოსვლამდე გზაში შემოაღამდა. ვახშმის მოსატანად სოფელში ბიჭი გაგზავნა. დაბრუნებულზე ბიჭს ჯორი კლდეზე „დაუხობდა“ (გადაუვარდა). იმ ადგილას დღეს „ჯორის სახობავი“ ჰქვია, ხოლო საშიშ კლდეს — „ჯოჯოხეთის კლდე“.

გამაჰმადიანებული

ქამადაძე

ფურტიოში აბაზამ, საცა სხალთიდან მოტანილი ჭური დამარხა, იმის მახლობლად ერთი ეკლესია ყოფილა. გამაჰმადიანების დროს ეს ეკლესია დაუნგრებიანო. ერთი ძვალა დარჩენილა. ჯერ კიდევ მაღულად ქრისტიანად დარჩენილი სოფლები მიდიოდნენ ამ ძვასთან, სათელს ანთებდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ. ერთს გამაჰმადიანებულ ქამადაძეს ეს ქვა რკინის უროთი დაუმსხვრევია, რათა უკანასკნელი ნუგეშიც ხელიდან გამოსცლოდათ ქრისტეს მსახურთ. როცა ქვას ამსხვრევდა,

ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა ბევრი უშალა. მაჰმადიანი გაბრაზდა და იმდენი სცემა ამ დედაკაცს, რომ სიკვდილის პირად მიიყვანა. ლოგინად ჩავარდნილმა ქალმა ასე დასწყევლა მკრეხელი: **„მონყალე ღმერთო, ვინც მე ჩემი სალოცავი დამიმსხვრია, გაუხმა ხელი და მის გვარს პურიტო ნუ გააძლავ და ნუ ახეირებო“**. წყევლამ გასჭრაო, — ამბობენ სოფელენი, — და ქამადაძეს ხელი შეახმაო. ხელშემხმარი თავისავე თანამორჯულესთან მისულა და რჩევა უკითხავს: ასე და ასე დამემართა და, ნეტავ, თუ რამე მეშველებო. იმასაც რჩევა მიუცია: ისევ იმ დედაკაცთან მიდი და თავი დაალოცვინეო. ქამადაძე წასულა, მაგრამ დედაკაცი მკვდარი დახვედრია.

ქამადაძის გვარის კაცნი დღესაც არიან ფურტიოს ახლო სოფ. მჭედლურში. არც იმ დედაკაცისაგან დაწყველილ ქამადაძის ნამრავლს გაუხარიანო, — მოგვითხრობენ აქაურნი, — მჭედლურის ქამადაძე სულ მშიერ-მწყურვალნი დაიარება; პური რომ ჰქონდეს, ლობიო აკლია, ჩოხა რომ როგორმე ჩაიცვას, ახალუხის შოვნის სახსარი არა აქვსო. ასე წვალებით მოათრევენ თავიანთ დღესაო. დედაკაცისაგან დაწყველილ გვარს ან და რა ახეირებსო!..

აჭარის რეგიონში სულ 25 ქვის თაღოვანი ხილია აღმოჩენილი, მათ შორის ზოგი დანგრეულია. ლაზნელების თანახმად, ხილები თამარ მეფის აუზნაბია, თუმცა ეკვლავარები ასე არ მიიჩნევენ. ქვის თაღოვანი ხილების მშენებლები იბერიელი და მასხი სურთომოქვარები უნდა ყოფილიყვნენ. ეს ხილები დაახლოებით მეოთხე-მეხუთე საუკუნეებისაა. იმ პერიოდში აჭარა, სამსხსენთან ერთად, ქართლის სამეფოში შედიოდა, როგორც ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული. ზოგი ხილი კი აუზნებული უნდა იყოს სოტა მოგვიანებით, მეშვიდე-მეცხე საუკუნეებში. ქვის თაღოვანი ხილები, გარდა აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსი, ქვეყნის სხვა რეგიონებშიც არის ნაპოვდენილი. არქიტექტურული სტილი ყველგან იდენტურია. ეს ფაქტორი ეკვლავარებს იმის თქმის საშუალებას აძლევს, რომ ხილები ერთი ხალისუფლების დროს აიგო.

საქორწილო წეს-ჩვეულებანი ვერის ხეობაში

საინტერესო მასალები შეიკრიბა ვერის ხეობაში ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესახებ. მასალების მიხედვით ირკვევა, რომ როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე აქაც, წყვილთა შორის შეუღლება უმეტესად გარიგებით ხდებოდა, რომელშიაც მთავარ როლს „შუაკაცი“ და „მაჭანკალი“ ასრულებდა. შუაკაცის მოვალეობას ამ ხეობაში ხშირად ნათლია ასრულებდა.

მთხრობელთა გადმოცემით: „როდესაც ბიჭის მშობლებს ვისიმე ქალი მოეწონებოდათ, მივიდოდნენ იმ ქალის ნათლიასთან და ეტყოდნენ, — „ესა და ეს ქალი შენი ნათლული ყოფილა და სარძლოთ გვინდაო“. სთხოვდნენ ნათლიას, შუაკაცობა გაენია და მისულიყო ქალთანა. ვაჟისათვის საცოლეს ძველათ მშობლები არჩევდნენ. ქალის ნათლია „ასწონიდ-დასწონიდა მდგომარეობას და, თუ თავის ნათლულის „საფერი იყო ვაჟი, დატრიალდებოდა“. ქალის მშობლები ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ნათლიას ენდობოდნენ, რადგან, მათი რწმენით, ნათლია თავის ნათლულზე ცუდს არ მოიწადინებდა.

ვერის ხეობაში შეკრებილ მასალებიდან ირკვევა, რომ მოგვარეებსა და ნათესავებს შორის ქორწინება აკრძალული იყო, ამ მხრივ საინტერესოა თქმულება ნიკლაურებისა და ბექაურების შესახებ.

ბექა და ნიქა ძმები ყოფილან (ზოგიერთი მთხრობელის გადმოცემით, ერთი გვარისანი იყვნენ) და, რადგან გვარი ძლიერ გამრავლებულა და ქალის თხოვნა სხვა მხრიდან გაძნელებული ყოფილა, ძმებს, ქალის თხოვნის მიზნით, შემდეგი საშუალება უღონიათ, ძმები გაყრილან, აუღიათ ძაღლი, დაუკლავთ, გაუტყავებიათ, დაუჭრიათ ნაჭერ-ნაჭერ და ბექასა და ნიქას შუა დაუყრიათ. რის შემდეგ დათქმულა, რომ მათი ოჯახებიდან გამოსული ქალები ერთმანეთს ერგებოდნენ ცოლად. ბექასაგან გამოვიდნენ ბექაურების გვარი და ნიქასაგან ნიკლაურ-

ბის გვარი გამრავლდა.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ხეობაში ჩამოსახლებული მთიელებიდან არიან ისეთი გვარებიც, რომელთა შორის ქორწინება აკრძალულია. მაგალითად, ჩოხელები და ბურდულები: „ერთიერთმანეთის ქალი არ ეკუთვნით, ერთმანეთისათვის დანყვევლილები არიან“, მაგრამ, როგორც შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, სხვა გვარი ამ ორ გვარს ქალს ვერ დაუჭერს — „არ შეიძლება“, „იმათ მოგზავნილ კაცს უარით ვერ გაისტუმრებენ“. მთხრობელთა გადმოცემით, „ჩოხელებმა რომ კაცი მიუგზავნონ ქალის სათხოვნად, მაგალითად, ხარხელაურებს, აფციაურებს, ნიკლაურებს, ოზგაიძეებს და იმათ უარი უთხრან ქალის მიცემაზე, მაშინ ის ქალი ვერ გაიხარებს, მოკვდება. „მე ჩემს ქმარს ვერა ვცნობდი, ჩემ სამამამთილოს და ჰყავდა ჩემ სოფელში და იქ მოვიდა ჩემ სანახავად. ჩემი მამამთილი რომ მოვიდა, მე დავიმალე. ჩემმა დედის ძმამ მოტყუებით ლობიოს სათესად წამიყვანა. იქ დუქანი იყო, ჩემმა ბიძამ შიგ შემიყვანა და არშეიბი მიყიდა. თურმე ჩემი მამამთილი იქა ყოფილა. ცოტახნის შემდეგ ჩვენ სოფელში ქორწილი იყო და ჩემი მამამთილი ყოფილა იქ. კიდე გამოუგზავნია ბიძაჩემი ჩემ სანახავად. მე ამ დროს მთობა ვიცოდით და იქ ვიყავი წასული. დედაჩემი მორიგებოდა, ჩემი პაპაც და ბებიაც დათანხმებია, რადგანაც ჩოხელებს ქალს ვერ დაუჭერთო. იმიტომ, რომ, თუ უარს ვეტყოდით, ქალი

მოკვდებაო. ჩოხელების გვარის შესახებ ასეთი თქმულებაა: ჩოხეში ქურდებს საქონელი დაუტაცნიათ და როცა ხევში ჩამოსულან ქურდები დაბრმავებულან, ჩოხის ხატი ძლიერია და იმას დაუბრმავებია და იმ ხატის ყმებს ქალის მიცემაზე უარის თქმა არ შეიძლება“ (სოფ. კვესეთი, ანა ჩოხელი 75 წ.) მთხრობელების გადმოცემით, თუ გაიგეს ქალიანთა, რომ ჩოხელების ეს და ეს ოჯახი აპირებენ ჩვენი ქალის თხოვნას და კაცს ამზადებენო, მაშინ ქალის ოჯახი, თუ ეს ქორწინება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ, კაცს გაგზავნიან ჩოხელებთან და სთხოვენ — „კაცს ნუ გამოგვიგზავნი“ — „ო, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქალს ვერ მოგცემთო. ჩოხელები ნაწყენები თუ არ დარჩნენ, შეიძლება კაცი აღარ გაუგზავნონ.

„ქალის გასინჯვა“ წარმოება რელიგიურ დღესასწაულებზე, ღვინში, ქორწილსა და ჭირში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ქალის მონონების შემთხვევაში „აგზავნიდნენ“ „შუაკაცს“, „მაჭანკალს“. შეთანხმების შემდეგ „ვაჟიანი“ მიდიოდნენ ქალის ოჯახის გასაცნობად, ამის შემდეგ „ქალიანი“ მიდიოდნენ ვაჟის სახლის გასასინჯათ“, რათა გაეგოთ და ენახათ თავიანთი თვალით, როგორი შეძლების პატრონს აძლევენ ქალს. ქალის მშობლები ათვალთვლებდნენ და ეცნობოდნენ ვაჟის სახლკარს, საქონელს, მამულს, კატასა და ძაღლსაც კი ყურადღებით ეკიდებოდნენ — „როგორი შენახული ყავთო“. ქალის ახლობლები სასი-

ძოსაც ეცნობოდნენ „შორიახლოს“, „თვალყურს ადევნებდნენ, როგორი მშრომელი და „გამრჯე“ იყო, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდნენ, ღვინის სმაში „უხასიათო ხომ არ არისო“. თუ ვაჟით კმაყოფილნი დარჩებოდნენ ქალის მშობლები, თანხმობას ეტყოდნენ შუამავალს ბელგის მოტანაზე.

ბელგა განისაზღვრებოდა ფულით, ბეჭდით ან თავშლით. ბელგის მოტანის შემდეგ ვაჟის ოჯახს მოქონდა პატარა „ნიშანი“ (პატარძლისათვის სხვადასხვა საჩუქარი და სასმელი). მთხრობელის გადმოცემით, „პატარა ნიშნობაზე ფული მაჩუქეს, მომიტანეს ძვირფასი საკაბე, ბუზიკა, ტუფლები ყელიანი წინგასაკრავიანი, არაყიც მოიტანეს ტიკით, მაშინ ჩვენი საკლავი მთაში იყო და ქათმები დაკლეს, ხინკალი გააკეთეს... პატარა ნიშნობაზე მოილაპარაკეს, თუ როდის მოენცოთ დიდი ნიშნობა, რამდენი ცხენი მოეყვანათ და რამდენ ხალხს დაჰპატიჟებდნენ (სოფ. კვესეთი, ანა ჩოხელი 75 წლ.).

ვერისხეობის სოფელში „დიდ ნიშნობას“ „სახლის სანახავი“ ეწოდებოდა. „დიდი ნიშნობის“ დროს სასიძოს ოჯახს მოყავდა იმდენი კაცი, რამდენიც უნდოდა, რაც უფრო ბევრი იყვნენ, მით უფრო სახელი იყო პატარძლისათვის. რასაც ქალს მიაერთმევდნენ, იმას „პატარძლის ჩუქებას“ უწოდებდნენ. დიდ ნიშნობაში ვაჟის ოჯახს მოჰქონდა იმდენი სანოვავე, რაც თავის მოყვანილ ხალხს ეყოფოდა, დიდი ნიშნობის დროს საჩუქრები პატარძლისთვის მარტო ქმრის ნათესავებს მოჰქონდათ. ამავე დროს ზოგი ფულს დებდა. ამ ფულით ქალის მშობლები მზითვების ნაწილს ამზადებდნენ, პირველ რიგში — ლოგინსა და თეთრეულს. „დიდნიშნობის“, ანუ „სახლის სანახავის“ შესახებ მთხრობლები შემდეგს გადმოგვცემენ: „სახლის სანახავზე ბევრი ხალხი მორეკეს და ბევრი საკაბეებიც მომიტანეს. სულ 20 საკაბე მომიგროვდა. დიდი გარმონი და 3 თუმანი ფული. დიდი ნიშნობა და სახ-

ლის სანახავი ერთი და იგივეა, „ნიშნობა 3 დღე გაგრძელდა“. მე გათხოვება არ მინდოდა და სახლის საძურავზე დავიმალე, სირცხვილიც იყო, სახლში რომ დავხვედრილიყავი. სამი ცხვარი მოიყვანეს და ჩვენც დავკალით, დაკვლის დროს დაუკრავდნენ და ითამაშებდნენ, სანთლებს დაანთებდნენ და დეკანოზი დაილოცებოდა. ბიძაჩემმა კარგი ლოცვა იცოდა. მე რომ კრიშაში ვიყავი, ბიძაშვილმა გამცა და მიპოვეს, როცა მიპოვეს ჩემ დედამთილთან დამსვენეს. ჩემი ქმარი ჯარში იჯდა, სადაც ნათლია იყო. კაცები მაგიდებთან ისხდნენ, ქალები — ლურჯ ქსოვილზე, დაბლა ირმები რო ეხატა. შაბათ საღამოს მოვიდნენ და ორშაბათამდე დარჩნენ. მარიამობისთვის ჩემი მამამთილი მოვიდა და ჩემი ქმარი მოიყვანა, ამას ფეხის ბრუნება ეწოდებოდა. მაშინაც მოიტანეს სასმელ-საჭმელი, ხილი, ქადა, პური, ნაზუქი. მოილაპარაკეს, თუ როდის უნდა წამიყვანონ. დედაჩემმა უთხრა, — გაზაფხულამდე ვერ გაგატანთო. მამამთილმა უთხრა, — ხატში მივდივართ ჩოხში და ახალი პატარძალი უნდა წავიყვანოთო, რათა ხატში გავრიოთო. მორიგდნენ, რომ მზითვეი ბიძა ჩემს და მამამთილს უნდა ეყიდნათ. ეს მზითვები იმ ფულით იყიდეს, სახლის სანახავში რომ მოიტანეს. მზითვებში იყიდეს კამოდი, ბაღდადი, ფარდაგი, ხალიჩა, საბნის გადასაფარებელი, ნალები, თავსაკრავი, ორ-ორი ხელი გამატანეს ყველაფერი“ (სოფ. კვესეთი, ანა ჩოხელი, 75 წ.).

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ირკვევა, **ნიშნობის შემდეგ ვაჟის მშობლები და ვაჟი მოდიან ქალის ოჯახში და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, თუ ქორწილი როდის დანიშნულიყო. ქორწილი საერთოდ, უმეტეს შემთხვევაში, ღვინოების თვეში ხდებოდა. ქორწილამდე, ვაჟისა და მისი მშობლების მოსვლას ქალის ოჯახში, ფეხის ბრუნება ეწოდებოდა. ხოლო რაც მათ მოჰქონდათ მოსატანი საკლავის სახით.**

ქორწილის დღის მოახლოებისას ნეფე გზავნიდა მეზობელ-ნათესავებში მოჰპატიჟეს, მოჰპატიჟეს გზავნიდნენ სხვა სოფლებშიც, სადაც ახლობელი ნათესავები ეგულეობდათ. ქორწილი ეწყობოდა კვირა დღეს. მოჰპატიჟეთ გზავნიდნენ ყოჩაღ და გამოცდილ კაცს. მოჰპატიჟე ხურჯინით დადიოდა და თან ჯამებს აგროვებდა. ჯამებს ჯერ იმიტომ აგროვებდნენ, რომ გაეგოთ, რამდენი კაცი დაჰპატიჟა მოჰპატიჟემ, მეორეც იმიტომ, რომ ჭურჭელი არ დაკლებოდათ და თავისი ჭურჭლით მოსულიყვნენ.

სასიძოს ოჯახი, ქალიაანთა წინასწარ გზავნის „საქორწილოს“, საკლავს, ღვინოს, არაყს, ყველს, პურს, ნაზუქს და სხვა საჭმელებს. საქორწილოს გაგზავნის შემდეგ, ნეფე თავის მაყრებით წავიდოდნენ. „მაყრიონი“ მიდიოდა ცხენებით, შეიარაღებული, რომელიც 20-30 კაცით განისაზღვრებოდა. ქალის ოჯახიც, თავის მხრივ, ემზადება, პატიჟობს თავის ახლო ნათესავებს და ამზადებენ პატარძალს „სადედოფლოდ“.

აი რას გადმოგვცემს მთხრობელი: „მე შემიკერეს ტოტებიანი ფართუკი, წითელი გრძელი კაბა, წინშესაკრავიანი, ყელიანი ტუფლები. მაყრები მოვიდნენ თოფებით 20-მდე კაცით. მღეროდნენ ფშაურს. თავზე ბაღდადი დამახურეს. მომრთო ბიძის ცოლმა (ძალუამ). მაყრები შაბათ საღამოს მოვიდნენ, მე კი მორთული კვირას გამომაჩინეს. ბიძაშვილთან ვიყავი დამალული, მომიყვანეს ჯარში, რო შევედი, ბიძამ დამლოცა: ...ჩემს დის შვილს დღეს დედოფლობა ეკუთვნისო. გვადღეგრძელეს ჩვენც და მეფიანიც, დედაც ადღეგრძელეს, მამაჩემი შეინწყალეს. რომ შევედი, მეფის გვერდით დავჯექი. მეორე გვერდით ნათლია იყო. მოიტანეს მოხარშული ხორცი, ჯამებით კერძები. თამადას ბეჭი მიაერთეს, ნათლიას — ქათმები. იცოდნენ „ძღვენები“. რასაც მოიტანდნენ, ჩვენ წინ აწყობდნენ, რასაც ნათლია და ძმა იბარებდა. მოლოცვის დროს იძახდნენ ხალხი მომტანზე

„გააბედნიეროს-იდღეგრძელოს“. საჩუქრების მოტანის დროს დედა იმახსოვრებდა, ვინ რა აჩუქა. კვირას წამოვედით, მზე სანამ დაბრძანდებოდა. წამომყვა ბიძა (მამის ძმა), ჯვარი ჩვენ სოფელში დავინერეთ. ჯვრის წერის დროს სხვადასხვა ჯვრის დამწერნი არ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მარჯვნივ უნდა გასცლოდნენ. ეკლესიას ორი გზა ჰქონდა. მე რო ჯვარს ვინერდი, სხვებიც იწერდნენ ჯვარს. როცა ეკლესიას მივაღვეით, ბიძაჩემმა თქო მეორე ნეფიონზე, — ეგენი მარცხნივა დგანან და ეს როგორ იქნებაო, სიკვდილი იცის და მეფე-დედოფალი ერთმანეთს არ შეაბერდებიანო. იმათ მერე მარჯვნივ აგვიარეს მხარი ისე გავიდნენ ეკლესიის ეზოდან. ჯვარის წერის დროს არც ზარის ჩამორეკვა არ შეიძლებოდა. ნეფე-დედოფალს შუა ამ დროს არავის არ უნდა გაეველო, ამის გამო მაყრები მეფიონის უკან დადგებოდა და არავის გაატარებდა, ამავე დროს მეფიონს უკან ქალის მხრიდან ვინმე დადგებოდა და ჯოხს თლიდა, რათა ავი თვალით არ შეხედონ მეფიონსო. **თუ მღვდლის შეკითხვაზე: „გსურს“, მეფე ან პატარძალი იტყოდა „არ მსურსო“, მღვდელი ჯვარს არ დაწერდა. ჯვარს არც ოც წლამდე წერდნენ.**

მღვდელი „ილარიონს“ გადააფარებდა ნეფე-პატარძალს, რომლებიც მოკიდებდნენ ხელს და მღვდელი სამჯერ შემოატარებდა. ბეჭედსაც სამჯერ გაუკეთებდა. „ბეჭედი მინიჭებულია, ამინ“ (ედღეოდა ქალაქი იცვალისწინა). ეკლესიის ეზოში ვიცეკვეთ, შემდეგ სახლში წავედით. ვიცოდით ვაშლით ფულის მოლოცვა“ (ს. კვესეთი, ანა ჩოხელი 75 წლ.).

პატარძალი ნეფის სახლში ცხენით ან ურბით მიყავდათ მაყრებს, როცა სოფელს მიუახლოვდებოდნენ, მახარობელს გაგზავნიდნენ სიძის ოჯახში, მახარობელი ქალის ნათესავი უნდა ყოფილიყო. მახარობელი ოჯახში მისვლისთანავე დაიძახებდა: „მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი, მი-

ჭამია ბალი, შემისვით მკლავი“. **მახარობელს ჯამით ღვინოს მიართმევდნენ, ის გამოცლიდა და შემდეგ გასტეხდა. შემდეგ მკლავს ბაღდადით აუხვევდნენ და წინდებითაც დაასაჩუქრებდნენ.** სოფელი მაყრებს თოფის სროლით და კიჟინით ხვდებოდნენ. **ნეფე-დედოფალს სახლის კარში დედამიანი ქალი დაუხვდებოდა თაფლის ჯამით ხელში, რომელსაც თაფლი ნეთელი ზაღდადი ჰქონდა გაღვარებული, იგი ნეფე-დედოფალს ტკბილად დაბერებდას უსურვებდა.** მთხრობლის გადმოცემით, „პატარძალმა თაფლი არ უნდა ჭამოს, სირცხვილია. მითომ იღებს, ისე უნდა მოიქცეს“ (სოფ. კვესეთი, ჩოხელი). სახლში როცა ნეფე-დედოფალს შეიყვანდნენ, ხანჯლებქვეშ გაატარებდნენ, რის შემდეგაც სანთლებს დაანთებდნენ და სუფრას ან დედაბოძს სამჯერ შემოუვლიდნენ: ამ დროსაც ჯვარულს მღეროდნენ:

„ჯორის წინასა,
აღმა მხარესა,
ამ ჩვენ მეფესა,
ღმერთო შენ დასწერე ჯვარი“.

სანამ დასხდებოდნენ, მეჯვარეს ხანჯალი ჰქონდა ამოღებული, როცა დასხდებოდნენ მერე ჩააგებდა ხანჯალს. პატარძალს ბალიშზე დასვამენ, რომელსაც კალთაში პატარა ბიჭს ჩაუგორებდნენ გამრავლებისა და ბიჭიანობის მიზნით. და ეტყოდნენ: „ცხრა ვაჟი და სამი ქალიო. **ბავშვი მოგვარისა უნდა ყოფილიყო**“ (სოფ. ვანათი, ნარიმანიძე ვანო ნინიას ძე 78 წლისა).

ქორწილში კლავდნენ ძროხას ან მოზვერს და ორ ცხვარს. საქორწილო სუფრის გაშლის დროს უმთავრესად იცოდნენ მოხარშული ხორცის მოტანა (ცხვრის, ძროხის). სუფრაზე მიქონდათ პური, ნაზუქი, ყველი, თევზი, მწვანელი; სასმელად ხმარობდნენ ღვინოს და არაყს. ნათლიას მიართმევდნენ მოხარშულ ქათამს. ნეფე-დედოფალს მიართმევდნენ ჯვრის პურს, ზედ სამი ვაშლი და ერთი ხის ჯვარი იყო, ამ ჯვრის პურს დედამიანი აწვდიდა და თან ლოცავდა.

შუალამისას იწყებოდა „შესაწავარი“, შესაწავარს თამადა აცხადებდა. ვინ რამდენს შეაწავდა. შესაწავარში შედიოდა ფული და სხვა-დასხვა საჩუქრები. ნეფე-დედოფალს გვირგვინს ორშაბათსა ღამოს ხდიან. გვირგვინს ნათლია ხდის ხანჯლის წვერით. ნეფე-დედოფალს სამშაბათ დღეს დაანვენენ ერთად, დედოფალს მეჯვარე მიაცილებდა სანოლამდე. მერე იქ დედამიანი ვინმე მული ან დედამთილი იქნებოდა, სანამ დაწებოდნენ. ქორწილი გრძელდებოდა ხუთშაბათამდე. ხუთშაბათს ქალის მაყრები მიდიან თავიანთ სახლებში.

პატარძალი ოჯახში მეორე დღესვე დატრიალდებოდა, ადრე ადგებოდა, ეზოს ასუფთავებდა, ჭურჭელს რეცხავდა და ყველაზე გვიან იმას უნდა დაეძინა. მთხრობელთა გადმოცემით, **„ყველაზე კარგ და პატიოსან პატარძალად ის ითვლებოდა, ვინც ერთი ან ორი წელი მიუშვავდა გასულიყო, რათა წყალი მოეზინა და მაყრებისათვის ხელპირი დაეზინებინა“** (სოფ. ვანათი, ნარიმანიძე ვანო ნინიას ძე — 78 წლ.).

ქორწილის შემდეგ ქალის სანახავად მოდიოდნენ ქალის მშობლები, რომლებსაც მოსაკითხი მოჰქონდათ ქალისათვის და ვაჟისათვის. მოსაკითხში იყო ჩასაცმელი, დასახური და სხვა. ერთი-ორი კვირის შემდეგ ნეფე-პატარძალი ქმრის ოჯახიდან თავის მშობლების ოჯახში მიდიან, რასაც „ფეხის ბრუნებას“ უწოდებენ, იქ ერთ თვემდის რჩებოდნენ.

ასეთია მოკლედ საქორწილო წეს-ჩვეულებანი ვერის ხეობის მოსახლეობაში. ვერის ხეობაში მუშაობის დროს საინტერესო მასალები იქნა ფიქსირებული ხალხურ ფიქრობაზე, ჭამა-სმის შესახებ, მიცვალებულის კულტზე, ხალხურ მეურნეობაზე და რწმენა-წარმოდგენებზე.

**ჯუანშერი
სონღულაშვილი**

«დაჩაბრული» საქართველო

1971 წელი. გაზეთი „კომუნისტი“. გაზეთის გაყვითლებულ ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ მოსკოვში საქართველოს დღეები გაიმართა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავთან დაკავშირებით, რომ ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდა ახალი ქალაქები, ინდუსტრიული ცენტრები, ახალმშენებლობანი, რკინიგზის მაგისტრალები და მძლავრი საირიგაციო სისტემები. მოყვანილია ციფრები — რომ რესპუბლიკის 50 წლისთავის იუბილის წინ მისი სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 85-ჯერ გაიზარდა...

წერილში „დიადი ძმობა. საზეიმო საღამო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში“ ვკითხულობთ:

„მოსკოვი, 20 აპრილი. ყოველი ხალხის ცხოვრებაში არის ხოლმე განსაკუთრებული ღირსშესანიშნავი დღეები, რომლებიც სამახსოვრო ნიშანსვენად იქცევა ისტორიულ გზაზე. ასეთი სასიხარულო, ამაღლებებელი, ღრმა შინაარსით აღსავსე დღეები აქვთ ახლა საქართველოს მშრომელებს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულის წინ. საქართველოს დღეები საბჭოთა კავშირის დედაქალაქში გადაიქცა საბჭოთა ადამიანების ურღვევი ძმობის მკაფიო დემონსტრაციად.

ეს დიადი ძმობა კიდევ ერთხელ დიდი ძალით გამოვლინდა 20 აპრილს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გამართულ საზეიმო საღამოზე.

...სვეტებიანი დარბაზი გაჩირაღდებულია. მოსკოველები გულთბილად მიესალმნენ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძონენიძე.

საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს

წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გრიშინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. პრიტიცკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ლ. გრეკოვი, ლ. ბორისოვი, რ. დემენტიევა, ვ. იაგოდკინი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პრომისლოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ფურცევა, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ი. არტობოლევსკი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები.

საზეიმო საღამო გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. დემენტიევამ. დღეს, თქვა მან, აქ შეიკრიბნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, რათა საქართველოს წარმოგზავნილებთან ერთად აღნიშნონ დიდი და სასიხარულო მოვლენა ქართველი ერის ცხოვრებაში, მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ცხოვრებაში.

საქართველოს სსრ რესპუბლიკისა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დღესასწაულია.

ჩვენი ქვეყნის ხალხები მოძმე ხალხები არიან. ისინი მჭიდროდ არიან შეკავშირებული, ერთმანეთს უზიარებენ ყველაფერს,

რაც აქვთ, ერთმანეთს მხარში უდგებიან განსაცდელის ჟამს. აირატომ არის, რომ ასე დიდებულად და ამაყად ჟღერს სიტყვები „საბჭოთა ხალხების მეგობრობა“. ამ სიტყვებში ვაქსოვთ ყველაზე შესანიშნავ გრძნობებს. სწორედ ეს არის ის უდიდესი ძალა, რომელიც ანათესავებს საბჭოთა ადამიანებს.

გ. ძონენიძემ ილაპარაკა საქართველოს ისტორიულ წარსულზე, ხალხის ბრძოლაზე სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მოძმე ხალხების, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის, უანგარო ძმურ დახმარებაზე დაყრდნობით, საბჭოთა საქართველო თავის 50 წლისთავს შეეგება უდიდესი მიღწევებით ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდა ახალი ქალაქები, ინდუსტრიული ცენტრები, ახალმშენებლობანი, რკინიგზის მაგისტრალები და მძლავრი საირიგაციო სისტემები. არის ციფრები, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლი. ამ ციფრებში თითქოს იგრძნობა ეპოქის სუნთქვა, მისი სწრაფი წინსვლა. დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს: უკვე 1925 წელს საქართველოში ნათესმა ფართობებმა გადააჭარბა 1913 წლის დონეს. 1940 წელს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა იმავე 1913 წლიდან შედარებით გაიზარდა 10.2-ჯერ, ხოლო მძიმე მრეწველობის პროდუქციის მოცულობა — 26,9-ჯერ. რესპუბლიკის 50 წლისთავის იუბილეს წინ მისი სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 85-ჯერ გაიზარდა.

ერთი სიტყვით, აი ასეთი „დაჩაბრული“ იყო საქართველო.

ესეც სსრ კავშირის კულტურის მინისტრ ე.ა. ფურცევას დეპუტა,

რომელიც „დაჩაგრული“ ქვეყნის ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კოლექტივს, ანსამბლის ხელმძღვანელებს — სსრ კავშირის სახალხო არტისტებს: ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს ანსამბლის 25 წლის იუბილეს ულოცავს.

„ძვირფასო ამხანაგებო, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო გულითადად ულოცავს საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კოლექტივს დიდმნიშვნელოვან თარიღს — მისი დაარსების 25-ე წლისთავს. თქვენმა შესანიშნავმა კოლექტივმა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. ვუსურვებთ კოლექტივს და მის ნიჭიერ ხელმძღვანელებს შემდგომ შემოქმედებითს წარმატებებს, ჩვენი საბჭოთა სინამდვილისადმი მიძღვნილი ახალი ბრწყინვალე პროგრამების განხორციელებას“, — ნათქვამია ტელეგრამაში.

ხოლო იური ბრიგოროვიჩი, რსფსრ სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის დიდი თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი თავის გრძნობებს გამოხატავს საგაზეთო სტატიაში „წარმტაცი სანახაობა“.

წარმტაცი სანახაობა

გულწრფელი სიხარულისა და აღტაცების გრძნობით ვულოცავ საქართველოს ხალხური ცეკვის შესანიშნავ ანსამბლს შემოქმედებითი მოღვაწეობის 25-ე წლისთავს. ამ მეგობრული მისალმების სიტყვები პირველ რიგში მიმართულია ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელებისა და შემქმნელებისადმი, სსრ კავშირის სახალხო არტისტების — ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილისადმი. შესანიშნავმა მოცეკვავეებმა და ხალხური ცეკვის გამოჩენილმა მცოდნეებმა ნ. რამიშვილმა და ი. სუხიშვილმა შემოქმედებითი ახ-



ალგაზრდობა შეინარჩუნეს. მათ, საქართველოს, შესანიშნავი ჰაერის, მთის სუფთა, მაცოცხლებელი, ენერგიის მომნიჭებელი, შემოქმედების დაუშრეტელი წყაროს შთამნერგავი ჰაერის შვილებს უნდა უმადლოდეს ცეკვის ანსამბლი თავის არაჩეულებრივ მიღწევებსა და წარმატებებს.

საქართველოს ფოლკლორი, ცეკვა და მუსიკა, რომლებსაც წარსულისა და ჩვენი დროის დიდმა პოეტებმა უმღერეს, უმდიდრეს მასალას წარმოადგენს მის საფუძველზე პოეტური ქორეოგრაფიული ნოველების, გმირული, მგზნებარე, ცეცხლოვანი, ვაჟკაცური ცეკვების შესაქმნელად. და ამ ფრთხილად დაცული და მზრუნველად კულტივირებული საცეკვაო ფოლკლორის საფუძველზე ნიჭიერი მხატვარი ბალეტმეისტერები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი ქმნიან თავიანთ შესანიშნავ კომპოზიციებს.

საქართველოს ცეკვები ლამაზი და წარმტაცია, ისინი მაყურებელს ხიბლავენ თავიანთი ფერადებით, ქალიშვილთა მოძრაობის ნაზი პლასტიკით, თითქოს მთის მწვერვალებიდან ჩამოსულ ჭაბუკთა დაუოკებელი ტემპერამენტით.

მე საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის დიდი თავყანის-მცემელი ვარ და, როგორც ბალეტმეისტერი, ყოველთვის ვტკბე-

ბი არა მარტო ყველა კომპოზიციის სიმწყობრით, მათი შესრულების დახვეწილობით, არამედ ნიჭიერი ქართველი ხალხის დამახასიათებელი ბუნებრივი არტიზმიზმითაც, კეთილშობილებითა და სილამაზით.

როცა ქართული ანსამბლის ცეკვებს ვუცქერი, ჩემ თვალწინ თითქოს გაივლის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ცეკვა „ხორუმი“, მოგვითხრობს, როგორ იბრძოდნენ ძველი ქართველი მეომრები თავიანთი მთიანი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რა მარჯვედ, ზოგჯერ მხედრული ხერხიანობითა და მიხვედრილობით, იგერიებდნენ მტრებს. „ხორუმის“ ეპიზოდები, საქართველოს ცეკვის ანსამბლის შესრულებით, იმდენად გასაგებია, იმდენად აღწევს თვითუღმამაყურებლად, რომ აქ საჭირო არ არის არავითარი ლიბრეტო და ახსნა-განმარტება. „ხორუმი“ დამთავრებული ქორეოგრაფიული კომპოზიციანა, რომელშიც ზღვრული გამომსახველობით გამოვლენილია მის გმირთა გრძნობები და განცდები.

ამ ცეკვის საპირისპიროა ნარნარი, ლირიკული „ქართული“, მაყურებელთათვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ცეკვა. როცა ამ ცეკვას ასრულებენ, მაყურებელ-

ნი აღტაცებული არიან მოძრაობათა პლასტიკით, დახვეწილი და მეტყველი ცეკვით, მომხიბლავი სიმსუბუქითა და სიფაქიზით.

საქართველოს ცეკვის ანსამბლში გვხვბლავს ვაჟკაცური, გმირული ცეკვების უნარიანი შეხამება და შენაცვლება ქალიშვილთა ნაზ, პლასტიკითა და მომხიბვლელობით აღსავსე ცეკვებთან. მაგალითად, სწრაფ, ცეცხლოვანი ძალით აღსავსე „ხევსურულს“ ცვლის განსაცვიფრებელი ქორეოგრაფიული მინიატიურა „სამაია“. აქ ბალეტმეისტერებმა ნ. რამიშვილმა და ი. სუხიშვილმა გვიჩვენეს ძველი ფრესკული ფერწერის საქართველოს ძველ ტაძრებში შემონახული ბრწყინვალე ცოდნა. ქორეოგრაფებმა თითქოს გააცოცხლეს ეს ფრესკები, გვიჩვენეს ქართველ ქალიშვილთა განსაცვიფრებელი პლასტიკა.

საქართველოს დამსახურებული ანსამბლის კონცერტის პროგრამა, რომელიც ამას წინათ აჩვენეს კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზის სცენაზე საქართველოს სსრ 50 წლისთავის აღნიშვნის დღეებში, შესანიშნავი იყო. ხალხით გაჭედილი დარბაზი კვლავ და კვლავ უკრავდა ტაშს ქართულ სიუიტას, ვაჟკაცურ, ცეცხლოვან „ხანჯლურს“, ქალიშვილთა ნარნარ ცეკვას.

დახვეწილი გემოვნება, ხალხურ საცეკვაო საგანძურში ღრმად ჩანვდომა, თვითმყოფი ცეკვების თეატრალიზების, მხატვრული გამომსახველობის ყველა თანამედროვე საშუალებით მათი გამდიდრების უნარი — ყველა ეს თვისება მოეპოვება ოსტატ-ქორეოგრაფებს ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს.

ცალკე მინდა აღვნიშნო სოლიკო ვირსალაძის — საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე და ნიჭიერი მხატვრის მაღალი ოსტატობა. მოცეკვავე ქალთა და ვაჟთა კოსტიუმები, რომლებიც შესრულებულია ს. ვირსალაძის ესკიზების მიხედვით, გამოირჩევა იშვიათი მხატვრული გემოვნებით, აღსავსეა ერ-



ოვნული თავისებურებით, მსუბუქი და მოხდენილია.

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი ახალგაზრდაა არა მარტო თავისი ასაკითა და მსახიობთა შემადგენლობით, იგი ახალგაზრდაა სულით, ტემპერამენტით, შემოქმედების დაუშრეტელი წყურვილით, ენთუზიაზმით, რომლითაც გამოდის.

ანსამბლი მუდამ „სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია“. დღეს რომ გააფრთხილოთ, ხვალ შეუძლია ნავიდას თუ გაფრინდას, რომელიც გნებავთ, ძველანაში და გამართოს თავისი მორიგი კონცერტი, რომელიც ამ ნიჭიერ კოლექტივს ყოველთვის გამოუდის, როგორც პრაქტიკა.

ეს შედეგია მაღალი, რკინისებური შემოქმედებითი დისციპლინისა, ჩინებული გავარჯიშებისა, საიდანაც წარმოსდგება მისი შემოქმედებითი „საბრძოლო მზადყოფნა“.

როგორც ბალეტმეისტერი, მეკიდევ დიდად ვაფასებ ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის შემოქმედების დიდმნიშვნელოვან თვისებას: ისინი სულ მუდამ აახლებენ, აახალგაზრდავენ კოლექტივის შემადგენლობას, მკაცრად და შემოქმედებითად არჩევენ ასობით პრეტენდენტსაგან ახალ, ახალგაზრდა შემსრულებლებს, რომლებმაც უკვე

იციან კარგი ცეკვა. ხოლო ანსამბლში, შესანიშნავი ქორეოგრაფების ხელმძღვანელობით, ხდება ახალგაზრდობის დახვეწა და ქორეოგრაფიული ოსტატობის ყველა „საიდუმლოს“ სწავლება.

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლმა თავისი კონცერტებით მთელი საბჭოთა ძველანაში გამოიარა, მას აღტაცებით უკრავდნენ ტაშს მაყურებელი მსოფლიოს 60 დედაქალაქში. და შემთხვევითი როდია, რომ უცხოეთის ბევრი გაზეთის რეცენზენტი, რომლებიც საკმაოდ ძუნწი არიან თავიანთ შეფასებებში, ამ შესანიშნავ კოლექტივს „ზღაპრულ დასს“ უწოდებენ.

ვუსურვებ მრავალი წლის შემოქმედებითს ახალგაზრდობას ძვირფას იუბილარებს ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს, ვუსურვებ მათ ეროვნული ქორეოგრაფიის საფუძველზე შექმნან ახალი მშვენიერი ცეკვები, სიუიტები და ბალეტებიც კი, რომლებიც დაამშვენებენ და კიდევ უფრო გაუთქვამენ სახელს ამ შესანიშნავ ახალგაზრდა ანსამბლს.

**იური ბრიგოროვიჩი,
რუსის სახალხო არტისტი,
ლენინური პრემიის ლაურეატი,
სსრ კავშირის დიდი თეატრის
მთავარი ბალეტმეისტერი.
მოსკოვი**

თავისუფლების მოედანი

მოედანმა თავისი არსებობის მანძილზე არაერთი სახელი გამოიცვალა. თავდაპირველად მოედანს შტაბის მოედანს უწოდებდნენ. 1825 წლიდან ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, ხოლო 1827 წლიდან კავკასიის მეფისნაცვალ იყო გენერალი პასკევიჩი. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში პასკევიჩმა სასტიკად დაამარცხა თურქეთის მრავალრიცხოვანი არმია და გაათავისუფლა მისგან მიტაცებული ქართული ტერიტორიები – ახალციხე და ახლქალაქი, აგრეთვე, თურქები გარეკა სომხეთის დედაქალაქ ერევნიდან. 1828 წელს რუს გენერალ პასკევიჩს ერევნის ციხესიმაგრის აღების გამო ერევნის გრაფის — პასკევიჩ-ერევანსკის წოდება მიანიჭეს. 1851 წელს მოედანზე დასრულდა თეატრისა და ქარვასლის შენობა, ამიტომ მოედანს ერთხანს თეატრალურს უწოდებდნენ. როცა 1856 წელს პასკევიჩი გარდაიცვალა, მის პატივსაცემად ცენტრალურ მოედანს თბილისში ყოფილი მეფისნაცვალის — გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის სახელი უწოდეს. ამის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, ამ მოედანს თბილისში შემოკლებით ერევანსკის მოედანს უწოდებდნენ. ხოლო უფრო გვიან, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, დაუმკვიდრდა სახელი ერევნის მოედანი. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად მოედანს სახელი შეეცვალა და თავისუფლების მოედანი ეწოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ მას ჯერ ზაქვადერაციის მოედანი (ამიერკავკასიის მოედანი) ერქვა (ამიერკავკასიის სფეროს შექმნის გამო), შემდეგ კი — ლენინის მოედანი. ძალიან მოკლე დროით მოედანმა იარსება ბერიას მოედნის სახელით (1953 წლამდე). 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინიციატივით მოედანს დაუბრუნდა ძველი სახელი — თავისუფლების მოედანი.



თბილისის მთავარ მოედანს დაახლოებით ორი საუკუნის ისტორია აქვს. მოედანი არცთუ შორეულ წარსულში ქალაქის გალავნის გარეთ მოქცეულ უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა, მეფეთა ბალებით გარშემორტყმული და ლეღვის ხეებითა და შირაზის ვარდებით დამშვენებული. გალავნის კედელი დაახლოებით დღევანდელი მოედნის აღმოსავლეთ მხარის განაშენიანების ხაზს გასდევდა (ოდნავ სიღრმეში) და პუშკინის ქუჩის მოშენების სწვრივად ეშვებოდა. იქ კი, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის მოედანს, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე **კოჯრის კარი** იყო. აქედან ორი გზა იწყებოდა. ერთი ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა (ამჟამინდელ რუსთაველის გამზირის ხაზზე), მეორე კი კოჯრისკენ მიდიოდა დღევანდელი ლეონიძის ქუჩის გაყოლებით.

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის — პლატონ იოსელიანის ცნობით, დღევანდელი მოედნის ჩრდილოეთ მხარეზე, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ხელოვნების მუზეუმი, XVII საუკუნის მიწურულს მეფის ქარვასლა მდგარა. იგი საკმაოდ დიდი ყოფილა და ოთხმოცამდე სადგომს მოიცავდა. მისივე ცნობით, ქარვასლა თურქებს დაუნგრევიათ 1724 წლის შემოსევისას. ვახუშტის და XVIII საუკუნის 80-იან წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე მოედნის ტერიტორია სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ბალებითაა გარშემორტყმული. ვახუშტის მიხედვით, აქ იყო მეფის, დედოფლისა და მამასახლისის ბალები, ხოლო პიშჩევიჩის 1785 წლის გეგმაზე, მეფისა და დედოფლის ბალების გარდა, გიორგი ბატონიშვილის ბაღიც არის აღნიშნული. ვახუშტი ბატონიშვილს ამ ადგილებში ერთადერთი შენობა აქვს ნაჩვენები, რომელსაც იგი **ბეჟანის ქარვასლას** უწოდებს. იგი დაახლოებით იქ იდგა,

სადაც ქალაქის თვითმართელობის შენობა.

ვრცელ მინდორს **სოლოლაკის ხევი** (გვიანდელი **ავანანთ ხევი**) კვეთდა. ხევის სოლოლაკის ქედის ფერდობიდან წამოსული ნიაღვარი ჩაუყვებოდა მტკვრისკენ. ძალიან ღრმა და განიერი ხევი იყო.

ერევანსკის მოედანზე ხევის არსებობის ხანაში მოედანი პრაკტიკულად ორად იყო გაყოფილი. უფრო სწორად კი მოედანი რეალურად 1824—1825 წლებში აგებული „საქალაქო სახლის“ (მოგვიანებით „კავკასიის კორპუსის შტაბი“) წინ ჩამოყალიბდა (დღევანდელი პუშკინის სკვერის ტერიტორიაზე). იგი სამი მხრიდან მოშენებული იყო, ხოლო სამხრეთიდან ხევი საზღვრავდა, რომელიც მოგვიანებით თეატრის შენობამ ამოავსო. **შედეგად თეატრსა და საქალაქო პოლიციის შენობას შორის გაჩნდა ახალი მოედანი, რომელსაც უწოდებდნენ სწორედ „თეატრალურს“.** უკვე 1934 წელს, როდესაც დამწვარი თეატრის შენობა აიღეს, მოედანი გაერთიანდა და შეიქმნა ის ურბანული სივრცე, რომელსაც დღეს უკვე თავისუფლების მოედანი ჰქვია.

1847-1851 წლებში გადაიხურა სოლოლაკის ხევის ერთი ნაწილი (ლეონიდის ქუჩა და მოედანი). ეს გამოწვეული იყო ამავე წლებში მოედანზე თეატრისა და ქარვასლის მონუმენტური შენობის აგებით (იტალიური კლასიციზმი; არქ. ჯოვანი სკუდიერი). ერევანსკის მოედნის ქვეშ გაიყვანეს ვეებერთელა ხვრელი წყლის გასასვლელად. ერთ-ერთი თანამედროვის მოგონებით, ერთხელ ურემი ჩავარდნილა ცხენით და მუხრან ბატონის ბორანთან ამოუყვია თავი.

1850 წლის გაზეთ „კავკაზსში“ ვკითხულობთ: „26 ივლისს, ნაშუადღევს 5 სთ-ზე თბილისში მოვიდა კოკისპირული წვიმა, წყალმა სოლოლაკში მოიტაცა ძროხა, გაატარა ერევნის მოედნის ქვეშ გაყვანილ ვეებერთელა ხვრელში და ჩაიტანა მუხრანის ხევთან“. ეს ხევი იწყებოდა სოლოლაკის ყელიდან (ამაღლების ეკლესიის ტერფი, ამჟამად დავითაშვილის ქუ-



ერევანსკის მოედანი



ივანე თევდორეს ძე პასკევიჩ-ერევანსკი

ჩა), კვეთდა გუდოვიჩის (ჭონქაძის), რტიშჩევის (ჯაფარიძის), პასკევიჩის (მახარაძის), სერგიევის (მაჩაბლის) დაუსახლებელ ქუჩებს, გზას იკაფავდა ერევნის მოედნისკენ და ჩადიოდა მტკვარში მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდის ქვეშ.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ერევანსკის მოედნის შუაგულში გასაყიდი შეშის ურმების გასაჩერებელი იყო, კვირაობით კი დიდი და აურზაურიანი ბაზრობა იმართებოდა. რა არ იყიდებოდა აქ: მწვანილი და ფართალი, ავეჯი და ოთხფეხი საქონელი, ქათიბი და მუნდირი, შეშა და თივა, ყარაბაიანის პორტრეტები და ბუკინისტური წიგნებიც.

პუშკინის ქუჩაზე ძველად ჩაიხანები და მიკიტნის დუქნები მე-

ფობდა, სადაც ყომარი და სხვა აზარტული თამაშები იყო გავრცელებული. ქუჩებში საზანდარი თავისუფლად მღეროდა ქალაქურ მუსტაზადებს.

როცა ვორონცოვის ბრძანებით 1847 წელს თამამშევმა მოედანზე თეატრი და ქარვასლა ააგო, ბაზარი ცოტა ქვევით დასწიეს, სწორედ იქ, სადაც ახლა პუშკინის სკვერია. ბაზრის ხალხის მოსაზიდად და გასართობად ბალაგანები იყო გამართული. აქ იაფფასიანი ცირკის არტისტები ოინბაზობდნენ (პ. უმიკაშვილი, ივერია, 1899 წ.). ერთ მხარეს ჯამბაზი გადიოდა თოკზე, მეორე მხარეს ცნობილი აბელა იდგა ოჩოფეხებზე და ხალხს აცინებდა. ამ უბანს ჩოჩქოლი და ღრიანცელი არ აკლდა. დღე ბაზრობა იყო, საღამოთი — ცირკი. პოლიცია, რომელიც ჯარში ნამყოფი ინვალიდებისგან შედგებოდა, ყურსაც არ იბერტყავდა ქალაქში წესრიგის დასაცავად. ერევნის მოედანი სრულიად მოუვლელი და უყურადღებოდ იყო მიგდებული. უჩვეულო ბაზარს ზედ ერთვოდა ჭუჭყი, ტალახი. ქვაფენილები ცოტა მოგვიანებით გაჩნდა. ნამტვრევი წვეტიანი ქვები ისე უშნოდ იყო მიყრილ-მოყრილი, რომ ადამიანს უჭირდა მასზე სიარული.

ერევნის მოედნის ეს ბაზარი 1885 წლამდე ბოგინობდა. 1885 წლის 23 ივნისიდან ბაზარი ვერაზე გადაიტანეს. მოვაჭრეებს ყაზახები ძალისძალათ ერეკებოდნენ. ურმები, პოვოსკები გარეკეს

ვერაზე, კვერცხის, ქათმისა და მანვნის გამყიდველებიც მიაყოლეს. „სოლოლაკში მცხოვრებს ერთი ქილა მანონი რომ უნდოდეს, ვერაზე უნდა წავიდეს“, — წერდა თანამედროვე.

ბაზრის ადგილზე ბალი გაშენდა, რომელსაც ხალხი **ახალ ბაღს** უწოდებდა. 1892 წლის 25 მაისს ერევანის მოედნის ახალ ბაღში ქართული საზოგადოების შენობის ბრინჯაოს ბიუსტი (მოქანდაკე რ. ხუდოროვიჩი), რის შემდეგაც მას პუშკინის სკვერი დაერქვა. ბაღის ხშირი სტუმრები იყვნენ სემინარიის მოწაფეები, რომლებიც თავისუფალ დროს საუბრობდნენ პოეზიაზე, პოლიტიკაზე.

მოედნის ინტენსიური განაშენიანება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო. მოედნის დღევანდელი მოშენება, ერთი-ორი ნაგებობის გარდა, XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა და სტილისტურად საკმაოდ ჭრელ სურათს ქმნის.

1824—1825 წლებში აიგო საქალაქო სახლი (შემდგომ კავკასიის კორპუსის შტაბი). 1825 წელს იაკობ ზუბალაშვილის მიერ ვინმე თურქესტანიშვილისგან გამოსყიდულ მიწის ნაკვეთზე აშენდა სასტუმრო „პალასი“. 1838 წელს შენობა საეკლესიო უწყებამ შეიძინა სასულიერო სემინარიის განსათავსებლად.

1830-იან წლებში მოედნის სამხრეთ მხარეზე, იქ, სადაც ადრე ბეჟანის ქარვასლა იდგა, ააგეს ქალაქის პოლიციის განყოფილების შენობა (ყოფილი მერია), პოლიციის მეთაურის კანცელარიით.

1851 წელს ერევანის მოედანზე, ქალაქის პოლიციის წინ გაკეთდა შადრევანი. წყალი გამოყვანილი იყო სოლოლაკის წყაროებიდან. 1878—1879 წლებში პოლიციის შენობა საფუძვლიანად გადაკეთდა და გადმოვიდა საქალაქო სახლი. 1921 წლიდან შენობაში განთავსდა სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ — თბილისის მერია.

თეატრი-ქარვასლის შენობის



წინ, შესასვლელთან რკინის ლომები დადგეს (ახლა ამ ლომების ნახვა შეგიძლიათ სიონის ცენტრალური შესასვლელის მახლობლად, ქარვასლის წინ). 1874 წელს ხანძრის შემდეგ აღადგინეს მარტო ქარვასლა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1930-იან წლებში, მოედნის ძირფესვიანი რეკონსტრუქცია ჩატარდა, რამაც იმსხვერპლა ქარვასლის შენობაც (1934 წ.). 1956 წლის 21 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურაძე, უ. ჯაფარიძის მონაწილეობით, არქიტექტორები: გ. მელქაძე, კ. ჩხეიძე, კ. ხეჩინაშვილი, შ. ყავლაშვილი). ძეგლი 1991 წელს პარადულად ხალხის თანდასწრებით მოანგრის. მისი ადგილი მოგვიანებით შადრევანმა დაიკავა. 1967 წელს მოედნის ქვეშ ამოქმედდა ამავე სახელწოდების მეტროსადგური.

მოედნის მოპირდაპირე მხარეს, გალავნის დასწვრივ ერთ-ორ სართულიანი სახლები აშენდა, იმდროინდელი თბილისისთვის დამახასიათებელი შეკიდული აივნებით, რომელთაც აჟურული ორნამენტებით შემკობილი მოაჯირები და ტიმპანები ჰქონდა. ერთ ასეთ სახლში, რომელიც ყოფილი მეგობრობის მუზეუმის ადგილას იდგა, 1829 წელს ალექსანდრე პუშკინი გაჩერებულა. ეს სახლები XIX საუკუნის მეორე ნახევარში სხვა ნაგებობებმა შეცვალა, რომელთა დიდმა ნაწილმა დღემდე მოაღწია.

მოედნის შუაგულში 1956 წლის 21 აპრილს ლენინის მოედანზე დაიდგა ლენინის მონუმენტი.

1991—1992 წლების ე. წ. თბილისის ომის დროს მოედანზე რამდენიმე შენობა განადგურდა. 1992 წელსვე გამოცხადდა საავტორო უფლებების მოსაპოვებელი არქიტექტურული კონკურსის დანგრეული კვარტლის რეკონსტრუქციაზე, რომელიც განხორციელდა კიდეც 1999 წლიდან 2 საცხოვრებელი სახლის აშენებით (ლეონიძის ქ.) და საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი კორპუსის რეკონსტრუქციით (არქ. გიორგი გეგეშიძე). თუმცა იმავე წელსვე გა-



მოცხადდა ახალი კონკურსი უკვე მრავალფუნქციურ ნაგებობაზე, უშუალოდ მოედნის მიმდებარედ. შედეგად 2002 წელს მოედანზე გაიხსნა ახალი სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტი“.

2006 წლის 23 ნოემბერს მოღა-

ზე საზეიმოდ გაიხსნა სვეტზე აღმართული წმინდა გიორგის ქანდაკება (რომელიც მოქანდაკე ზურაბ ნერეთლის საჩუქარია ქალაქისთვის). 27-ტონიანი 9 მეტრის სიმაღლის ქანდაკებაზე ორი კგ ოქრო დაიხარჯა.

1943 წლის 9 ოქტომბერი — კავკასიის ბრძოლის დასასრული

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის 1 მაისის ბრძანებულებით დააწესა მედალი „კავკასიის დაცვისათვის“.

ამ მედლით დაჯილდოებულია კავკასიისათვის ბრძოლის ყველა მონაწილე.

დასავლეთის ისტორიკოსები დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგაც დავობდნენ, რას წარმოადგენდა ვერმახტის ლაშქრობა კავკასიაში. არსებობდა ორი შეხედულება ამ საკითხზე:

პირველი — კავკასიაში ლაშქრობა ჩატარდა ფიურერის, და მხოლოდ ფიურერის, დაჟინებითი მოთხოვნით; ამ ლაშქრობის მონაწილემდე იყო გენერალური შტაბი, გენერალიტეტი, მაგრამ ისინი ვერაფერს გახდნენ ფიურერის ნება-სურვილთან.

საფუძველი ამ შეხედულებას ჩაუყარა გენშტაბის ყოფილმა უფროსმა ფ. ჰალდერმა, რომელმაც 1946 წელს შევიცარიაში გამოსცა წიგნი „ჰიტლერი, როგორც მხედართმთავარი“;

მეორე — კავკასიის ლაშქრობაში დამნაშავე არის არა ფიურერი, არამედ „ახალგაზრდა ფაშისტი“ გენერლები — რეიჰენაუ, პაულიუსი, ჰოიზინგერი, შპაიდელი და სხვები. ჰიტლერი მხოლოდ დაემორჩილა მათ მოთხოვნას.

რამდენი სიმართლეა ამ ორ შეხედულებაში, როგორი იყო ჭეშმარიტი საქმის ვითარება, მოთხრობილია კ. ცქიტაშვილის წიგნში „ბრძოლა კავკასიისთვის“.

კლავკასიის კონტრშეტევა

1943 წლის 1 იანვრიდან დაიწყო ამიერკავკასიის, შემდგომ კი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების ძლევამოსილი კონტრშეტევა, რომელიც გრძელდებოდა 1943 წლის 9 ოქტომბრამდე. ოკუპანტებისგან განთავისუფლდა ჩრდილოეთი კავკასია. 1943 წლის 9 ოქტომბერი არის კავკასიის ბრძოლის დასასრული.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა ლეგენდა, რომელსაც სათავე ჯერ კიდევ ომის მსვლელობის დროს მიეცა.

როდესაც კავკასიის ლაშქრობა მარცხით დამთავრდა, ჰიტლერულმა სარდლობამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ფაშისტურმა არმიებმა მოახდინეს გეგმაზომიერი უკანდახევა კავკასიიდან. ამ ლეგენდას აქტიურად დაუჭირა მხარი უ. ჩერჩილმა, რომელმაც თავის მემუარებში უტიფრად ჩაწერა: „გერმანულმა არმიამ ორ-

განიზებულად დაიხია უკან კავკასიიდან“.

...სინამდვილის გასარკვევად საჭიროა, განვიხილოთ ფაქტები და მხოლოდ ფაქტები.

ჩრდილოეთ კავკასიის მძიმე თავდაცვით ბრძოლებში ქანცგამოცლილი გერმანულ ფაშისტთა ჯარები, რომლებმაც დაკარგეს დიდძალი საბრძოლო ტექნიკა, ვეღარ იღებდნენ საჭირო შევსებას გერმანიიდან, ვინაიდან მთელ რეზერვებს სტალინგრადი შთანთქავდა...

კავკასიონის მთავარ ქედზე იალბუზიდან ნოვოროსიისკამდე მტერს ებრძოდნენ და შეტევისათვის ემზადებოდნენ შავი ზღვის ჯგუფის ჯარები: 46-ე, მე-18, 4-ე და 56-ე არმიები. ამიერკავკასიის ფრონტის სახმელეთო ჯარების მოქმედებას ჰაერიდან მხარს უჭერდნენ მე-4 და მე-5 საჰაერო არმიები და შავი ზღვის ფლოტის ავიაცია.

ჩრდილო კავკასიაში საჰაერო ვითარება 1943 წლის იანვრის დამ-

დეგს საგრძნობლად გაუმჯობესდა საბჭოთა ავიაციის სასარგებლოდ. შეტევისათვის მზადების პერიოდში გაიზარდა ჩვენი თვითმფრინავების რაოდენობა და გაუმჯობესდა მათი ხარისხი. ნოემბრის დამლევსა და დეკემბრის დამდეგს მე-4 და მე-5 საჰაერო არმიებმა მიიღეს 9 ავიაპოლკი, რომლებშიც 200-მდე საბრძოლო თვითმფრინავი იყო, რამაც საშუალება მოგვცა, 1,4-ჯერ გაგვეზარდა საჰაერო ძალების შემადგენლობა. 1942 წლის 30 დეკემბრისთვის მე-4 და მე-5 საჰაერო არმიებს საბრძოლოდ გამზადებული ჰყავდათ 545 თვითმფრინავი, მათ შორის, 58 პროცენტი ახალი ტიპისა. გარდა ამისა, შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალებში იყო 289 თვითმფრინავი.

ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის შეტევა დაიწყო 1943 წლის 2 იანვარს, ხოლო 11 იანვარს შეტევაზე გადავიდა ჯარების შავი ზღვის ჯგუფი.

ჩრდილოეთის ჯგუფი ძლევდა მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას და ბრძოლებით მიიწევდა წინ. ჯგუფის მარჯვენა ფრთაზე მოქმედებდა ყუბანის მე-4 გვარდიული კაზაკთა ცხენოსანი კორპუსი, ხოლო კაზაკების სამხრეთით უტევდა 44-ე არმია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ 51-ე, 271-ე, 347-ე, 223-ე, 414-ე, 416-ე, 320-ე, 409-ე მსროლელთა ბრიგადა: 3 იანვარს არმიას შეემატა დონის მე-5 გვარდიული კაზაკთა ცხენოსანი კორპუსი და გენერალ ლობანოვის სატანჯო ჯგუფი.

58-ე არმია, რომლის შემადგენლობაში იყო ოთხი მსროლელთა დივიზია, და სამი მსროლელთა ბრიგადა, მოქმედებდა მოზოკის მიმართულებით, 37-ე არმია სამი მსროლელთა დივიზიის შემადგენლობით იბრძოდა ნალჩიკისათვის. შეტევით ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ამი-

ერკავკასიის მთელი რიგი ეროვნული დივიზიები, მათ შორის 414-ე ქართული, 416-ე აზერბაიჯანული, სომხური დივიზიები და მთელი რიგი სხვა შენაერთები.

მონინაალმდეგესთან მტკიცე ბრძოლებით მიიწვედნენ წინ ჯგუფის ჯარები, ათავისუფლებდნენ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს, დიდ ზარალს აყენებდნენ მტერს, მაგრამ თვითონაც სისხლისაგან იცლებოდნენ. მაგალითად, 1943 წლის იანვრის პირველი დეკადის დამლევს 414-ე ქართულ მსროლელთა დივიზიაში მწყობრში დარჩა მებრძოლთა და მეთაურთა მხოლოდ 20 პროცენტი, დივიზიას უაღრესად სჭირდებოდა შევსება და საბრძოლო ტექნიკა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული დივიზიები წითელი არმიის საჯარისო შენაერთებთან ერთად მოქმედებდნენ, ზედიზედ აყენებდნენ მტერს დარტყმებს და სულ უფრო შორს ერეკებოდნენ მშობლიური მიწა-წყლიდან.

3 იანვარს ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარებმა მოულოდნელი დარტყმით გაათავიუფლეს მოზდოკი და მალგობეკი. 4 იანვარს ნალჩიკი, 5 იანვარს — ქალაქი მაისკი და რკინიგზის მნიშვნელოვანი კვანძები — პროხლადნი და კოტლიარევსკი.

როგორც აღვნიშნეთ, მონინაალმდეგეს უნდა დაეხია მდინარე

კუმის გაღმა, სადაც წინასწარ მოამზადა კარგად მოწყობილი პოზიციები, სადაც ჰიტლერელები დიდხანს აპირებდნენ დარჩენას.

ჩვენს ნაწილებს ძალზე უჭირდათ შეტევა, აკლდათ ავტორანსპორტი, გზები განადგურებული იყო, მონინაალმდეგე წვაგდა დასახლებულ პუნქტებს, ანგრევდა რკინიგზებსა და ხიდებს მრავალრიცხოვან მთის მდინარეებზე. მაგრამ ფაშისტებს უკვე აღარ შეეძლოთ „თანდათანობით“ უკან დახევა, როგორც ამას ჰიტლერის ბრძანება მოითხოვდა. ჩვენი ჯარები მდინარე ყუმაზე შეუჩერებლივ გადავიდნენ, მონინაალმდეგეს გადაუჭრეს უკანდახევის გზები და შეიჭრნენ მინერალური წყლების სადგურში, სადაც ხელთ იგდეს ათასამდე დატვირთული ვაგონი და 500 პლატფორმა, რომლებზეც მტრის ტანკები და სხვა საბრძოლო ტექნიკა იყო.

11 იანვრისათვის საბჭოთა ჯარებმა გაათავიუფლეს ქალაქები: გეორგიევსკი, მინვოდი, პიატიგორსკი, კისლოვოდსკი, ჟელეზნოვოდსკი.

უნდა ითქვას, რომ მტერი, რომელსაც ჰქონდა რკინიგზების განვითარებული ქსელი და ძალზე ემინოდა ახალ „ქვაბში“ მოხვედრისა, ისე გარბოდა, რომ ჩვენი დაღლილი ნაწილები ძლივს ეწეოდნენ.

17 იანვარს ჩვენმა ჯარებმა და-

იკავეს კურსოვკის სადგური და ქალაქი ჩერკასკი. 21 იანვარს პარტიზანებთან ურთიერთმოქმედებით გაათავიუფლეს ქალაქი სტავროპოლი. 22 იანვარს ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის მარჯვენა ფრთა სალსკის რაიონში შეუერთდა სამხრეთის ფრონტის 28-ე არმიის ჯარებს.

23 იანვარს ჰიტლერელებმა, რომლებსაც გარემოცვისა ემინოდან, დაყარეს იარაღი, ტანკები, სამხედრო ქონებით დატვირთული ეშელონები და სასწრაფოდ დატოვეს არმავირი.

სტავროპოლ-ტიხორეცკის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა 3-დან 30 იანვრამდე 700 კილომეტრით წაიწიეს და გაათავიუფლეს ორი ათასამდე დასახლებული პუნქტი. ისინი დღე-ღამეში 20 კილომეტრს გადიოდნენ და გაათავიუფლეს გროზნოს ოლქი, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, სტავროპოლის მხარე, ასტრახანის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ჩერქეზთა ავტონომიური ოლქი, როსტოვის ოლქის სამხრეთი რაიონები და ნაწილობრივ კრასნოდარის მხარე.

შეტევის პირველ 20 დღეში საბჭოთა ჯარებმა დაამარცხეს გერმანელთა 5 დივიზია, ბევრი ცალკე ნაწილი, მოსპეს 170 და ხელთ იგდეს 314 ტანკი, აგრეთვე 35 თვითმფრინავი, სხვადასხვა კალიბრის 372 ქვემეხი, 422 ნაღმ-სატყორცნი, 602 ტყვიამფრქვევი, 10 ათასზე მეტი შაშხანა, 315 ათასი ჭურვი, 300 ათასი ავიაბომბი, 3 მილიონამდე შაშხანის ვაზნა, 2.338 ავტომანქანა, 460 მოტოციკლი, 28 რადიოსადგური, 8 ორთქლმავალი, 1.020 სატვირთო ვაგონი და სხვა.

სწრაფი შეტევის შედეგად მონინაალმდეგის მე-17 არმიის 20 დივიზიამ დაიხია ყუბანის ქვემო ნელსა და ტამანის ნახევარკუნძულზე. პირველი სატანკო არმია ორ ნაწილად გაიყო, რომელთაგან ერთმა გაასწრო დონის გაღმა, მეორემ კი ყუბანისკენ დაიხია.

პირველი სატანკო არმია, რომელმაც კავკასიიდან დაიხია, მე-4 სატანკო არმიასთან ურთიერთმოქმედებით გააფთრებით იბრ-



ძოდა სამხრეთის ფრონტის ჯარების წინააღმდეგ. 7 თებერვალს სამხრეთის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და გაათავისუფლეს ბათაისკი, შახტი და ნოვოჩერკასკი. სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა როსტოვისათვის. როსტოვში ალყაშემორტყმული ჰიტლერელები სასონარკვეთით იბრძოდნენ, მაგრამ აღარ შეეძლოთ საბჭოთა ჯარების იერიშის შეჩერება. 14 თებერვალს როსტოვი კვლავ განთავისუფლდა.

მტრის ერთ-ერთი სერიოზული მარცხი იყო ტაგანროგის დაკარგვა, რომელიც მეტად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტამანის ნახევარკუნძულის, ყირიმისა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მთელი სამხრეთ ნაწილის თავდაცვის სისტემაში.

18 აგვისტოს დაიწყო შეტევა ტაგანროგის მიმართულებით.

ტაგანროგის განთავისუფლებისათვის დივიზიას მიენიჭა საპატიო სახელწოდება „ტაგანროგის“ დივიზია.

როცა გეგმავდა ტიხორეცკაიას რაიონში არმიათა „ა“ ჯგუფის გარემოცვას, ამ ოპერაციაში უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკი მთავარ როლს აკისრებდა შავი ზღვის ჯგუფის ჯარებს, რომლებსაც უნდა შეეტიათ ტუაფსეს ჩრდილოეთით.

ეს ძნელი ამოცანა იყო, რადგან გასარღვევი იყო მოწინააღმდეგის ღრმად ეშელონირებული თავდაცვა მთებში. როცა მიიღეს გადაწყვეტილება შეტევის შესახებ, ჩვენს ნაწილებს ამ მიმართულებით ძალების ერთგვარი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ გადაწყვეტილების განხორციელების პერიოდში ძალების უპირატესობა აღარ იყო, მთებს თავს აფარებდა მოწინააღმდეგის მე-17 არმიის ბევრი ნაწილი.

სიძნელეებს ისიც ზრდიდა, რომ თავდაპირველად დაგეგმილი გარღვევის როჟეტის რაიონი უფრო მიზანშეწონილი — გორიაჩიე კლიუჩის რაიონით შეიცვალა.

შეტევის დაწყებამდე თხუთმეტ დღესა და ღამეს განუწყვეტილ ვიწმდა, თოვდა, წყალმა წალეკა



მთის გრუნტიანი გზები და ტალახად აქცია ისინი. ამ ტალახში ეფლობოდა ქვემეხები, მანქანები, ოთხთვალები, არტილერიის საწვრები და ტრაქტორები; მთელი მძიმე არტილერია უღელტეხილებზე დარჩა. შეუძლებელი გახდა ოპერატიულ სივრცეში ტანკების გამოყვანა.

23 იანვარს სამხრეთის ფრონტის ჯარები ბათაისკს უახლოვდებოდნენ, ხოლო ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფმა არმავირი დაიკავა. ჩრდილოეთ კავკასიაში შეიცვალა საერთო ვითარება, მოწინააღმდეგეს აღარ შეეძლო ჩრდილოეთ კავკასიის დაჯგუფების ძირითადი ძალები როსტოვიდან გაეყვანა და უკანდახევის ერთადერთი გზა მისთვის ტამანის ნახევარკუნძული აღმოჩნდა.

ამასთან დაკავშირებით უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკმა ჯარების შავი ზღვის ჯგუფს დაუსახა ახალი ამოცანა: „გასულიყვნენ კრასნოდარის რაიონში, გამაგრებულიყვნენ მდინარე ყუბანზე, მოდებოდნენ მის ორივე ნაპირს: მთავარი ძალები გაეგზავნათ ნოვოროსიისკისა და ტამანის ნახევარკუნძულის ასაღებად, რათა მოწინააღმდეგისათვის გადაეღობათ ტამანის ნახევარკუნძულის გზა ისევე, როგორც სამხრეთმა ფრონტმა ბათაისკთან და აზოვთან გადაუღობა მას გასასვლელი გზები“.

უამრავი დრო დასჭირდა ჯარების გადაჯგუფებასა და თავმოყრას, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ვითარება კვლავ შეიცვალა. 46-ე არმიამ, რომელსაც დასახული ჰქონდა პატარა ამოცანა, ხუთი დღით ადრე დაიწყო შეტევა და უკუაგდო მტრის ჯარები. უკანდახევა დაიწყო იმ ნაწილებმაც, რომლებიც მე-18 არმიის წინ იდგნენ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო 56-ე არმიის შეტევას, რომელიც მთავარ ამოცანას წყვეტდა. შვიდი დღის მძიმე ბრძოლების შემდეგ ეს არმია გავიდა კრასნოდარის მისადგომებთან და მდინარე ყუბანთან.

47-ე არმიამ, რომელიც კრიმსკაიას უტევდა, წარმატებას ვერ მიაღწია. ეს იყო ძალების თანაფარდობის შეცვლის შედეგი. ეს გეგმა რომ ვერ განხორციელდა, გარკვეულწილად პასუხისმგებელი იყო შავი ზღვის ჯგუფის სარდლობა, რომელმაც ბრძანება შეტევის შესახებ გასცა მაშინ, როცა საბჭოთა ჯარები ჯერ კიდევ მზად არ იყვნენ.

27 იანვარს დაწყებული შეტევა 4 თებერვლამდე გრძელდებოდა. ამ დროის მანძილზე შავი ზღვის ჯგუფის ჯარებმა მხოლოდ 1-2 კილომეტრით წაინიეს და იძულებულნი გახდნენ დროებით შეეწყვიტათ შეტევები. ასე დამთავრდა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ჯარების შეტევის პირველი ეტაპი. აზოვის ზღვასთან გასვლის შემ-

დედ მოწინააღმდეგეს გადაუკეტეს როსტოვის გავლით ჩრდილოეთისაკენ მიმავალი ყველა გზა. მტრის დაჯგუფებას დაუნდობლად ერეკებოდნენ აზოვისა და შავი ზღვებისაკენ.

1943 წლის თებერვალში ჯარების შავი ზღვის ჯგუფის ძალებით განხორციელდა კრასნოდარისა და ნოვოროსიისკის სადესანტო ოპერაციები. სიძნელეების მიუხედავად, გაათავისუფლეს ქალაქები ნეფტეგორსკი, მაიკოპი და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები.

ამ დროისათვის გერმანელ-ფაშისტთა სარდლობამ კრასნოდარის სამხრეთით ბრძოლაში ჩააბა სხვა ფრონტებიდან გადმოყვანილი დაახლოებით 5 დივიზია. 5 თებერვლისათვის საბჭოთა არმიის შეტევა ცოტა ხნით შეჩერდა. 9 თებერვალს ჯარების შავი ზღვის ჯგუფის არმიებმა, რომლებიც ამიერკავკასიის ფრონტმა გადასცა ახლად შექმნილ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტს, სამი დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად გაარღვიეს მტრის თავდაცვა კრასნოდარის სამხრეთით და ჩრდილოეთით. 12 თებერვალს გაათავისუფლეს ქალაქი, ხოლო 22 თებერვლისათვის უკუაგდეს მტერი მდინარე ყუბანის შესართავის — კრიმსკაია-ნოვოროსიისკის ხაზზე, სადაც ფაშისტური ჯარები გამაგრდნენ წინასწარ მომზადებულ თავდაცვითს მიჯნაზე, რომელსაც „ცისფერი ხაზი“ უწოდეს.

1943 წლის 4 თებერვალს ღამით დაიწყო ნოვოროსიისკის სადესანტო ოპერაცია, მაგრამ ძირითადი დესანტის მთავარი ძალების გადასხმა იუჟნაია ოზერეიკას რაიონში ვერ მოხერხდა, რადგან მოწინააღმდეგეს დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვა წინასწარ ჰქონდა მომზადებული.

ძირითადად, დესანტთან ერთად მზადდებოდა სადემონსტრაციო დესანტი, ფაშისტების ძალების დაქსაქსვისათვის. ეს დესანტი შედგებოდა 275 მეგრძოლისაგან, რომლებიც პირადად შეარჩია დესანტის მეთაურმა მაიორმა ცე-

ზარ კუნიკოვმა. მაგრამ მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ სადემონსტრაციო დესანტი დამხმარედ გადაიქცა, შემდეგ კი ძირითადი გახდა. მან დაიწყო მცირე მიწის ეპოპეა. ჩვენმა მოიერიშე რაზმმა გაარღვია ცეცხლის ფარდა და მოასწრო დაეკავებინა ჯერჯერობით ძალიან მცირე, მაგრამ ნაპირის მეტად დიდმნიშვნელოვანი უბანი ნოვოროსიისკის გარეუბნის — სტანიჩკის რაიონში. აქ შევემუსრეთ ათასამდე ფაშისტი, ნავართვით ოთხი ქვემეხი, რომლებმაც მაშინვე დაუშინეს ცეცხლი მტერს. საათნახევრის შემდეგ აქვე გადასხდა მედესანტეთა მეორე ჯგუფი, შემდეგ კიდევ ერთი და მათმა რიცხვმა უკვე 800-მდე კაცი შეადგინა. მედესანტეებმა რამდენიმე დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ხელთ იგდეს სტანიჩკის რამდენიმე უბანი და სამკილომეტრიანი რკინიგზის მონაკვეთი.

საბჭოთა სარდლობამ სწორად გაიგო პლაცდარმის მნიშვნელობა. რამდენიმე დღის შემდეგ სტანიჩკისა და მისხაკოს რაიონში უკვე 17 ათასი მეგრძოლი იყო.

მცირე მიწის ლიკვიდაციისათვის შემუშავდა საგანგებო გეგმა, რომელსაც მიაკუთვნეს „ნეპტუნის“ სახელწოდება. ამ ოპერაციისათვის შეიქმნა სპეციალური საბრძოლო ჯგუფი (ოთხ ქვეით დივიზიამდე), რომელშიც იყო 27 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 500 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. ამ ჯგუფს მხარს უჭერდა 450 ბომბდამშენი და 200 ავიაგამანადგურებელი მე-4 საჰაერო ფლოტიდან. ოპერაციის საზღვაო ნაწილის განხორციელება, რომელმაც მიიღო კოდური სახელწოდება „ბოქსი“, ევალებოდათ სამ წყალქვეშა ნავს და სატორპედო კატარღების ფლოტილიას.

ოპერაცია უნდა დაწყებულიყო 6 აპრილს და დამთავრებულიყო ორ დღეში. სხვადასხვა მიზეზის გამო ოპერაცია „ნეპტუნის“ დასაწყისი გადაიდო 17 აპრილისათვის. 10 დღის განმავლობაში ქვაქვაზე აადულეს გერმანელებმა დესანტის მიერ დაკავებულ პლაც-

დარმზე. ქვეითი ჯარის იერიშის ტალღები, რომლებსაც აქტიურად მხარს უჭერდნენ არტილერია, სატანკო ნაწილები და ავიაცია, ერთი-მეორეს მისდევდა. ასე გაიარა ჯოჯოხეთურმა ათმა დღელამემ. მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. ოპერაცია „ნეპტუნი“ სამარცხვინოდ ჩაფლავდა.

მსროლელთა 51-ე ბრიგადა

ჩვენ არა გვაქვს საშუალება, დანვრილებით აღვწეროთ „მცირე მიწის“ დამცველთა გმირობა, ვაჟკაცობა და თავდადება 225 დღელამის განმავლობაში.

შევეცდებით მხოლოდ ერთ-ერთი, 51-ე მსროლელთა ცალკე ბრიგადის მესამე ბატალიონის მაგალითზე აღვწეროთ მცირე მიწის გარნიზონის მამაცობა და გმირობა. ის მძიმე ბრძოლები და სიძნელები, რომლებიც მისმა დამცველებმა გადაიტანეს ამ უთანასწორო ორთაბრძოლაში.

51-ე მსროლელთა ცალკე ბრიგადა შეიქმნა 1942 წლის ზაფხულის იმ მძიმე დღეებში, როცა გერმანელ-ფაშისტთა ჯარებმა დაიწყეს კავკასიის დაპყრობის გეგმის განხორციელება. მის შემადგენლობაში მხარდამხარობოდნენ რუსები და ქართველები, უკრაინელები და სომხები, აზერბაიჯანელები და ოსები, აფხაზები და ყაზახები, ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

1943 წლის თებერვლის ერთ სუსხიან ღამეს, განგაში გამოცხადდა და ბრიგადა დაიდრა ტუაფსეს საზღვაო ნავსადგურისაკენ მცირე მიწაზე გადასასვლელად. პირველი ბატალიონი კაპიტან ბერეზსკის მეთაურობით ჩასხეს შავი ზღვის ფლოტის საესკადრო ნაღმოსან „ბესპოშჩადნიში“, რომელმაც ნოვოროსიისკისაკენ აიღო კურსი.

სხვა ნაწილებთან ერთად ბრიგადას ნაბრძანები ჰქონდა, გადასულიყო სტანიჩკის პლაცდარმზე და ერთ-ერთი პირველი მისულიყო კუნიკოველ მედესანტეთა და-

სახმარებლად, რომლებიც სისხლისაგან იცლებოდნენ. 51-ე ბრიგადას ნაბრძანები ჰქონდა, შეუჩერებლივ მიეტანა იერიში მტერზე, ჩაეშალა მისი ცდა, რომ ზღვაში გადაეგდო ცეზარ კუნიკოვის რაზმი, შემდგომ განევიტარებინა საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცთა წარმატება.

ამ საოცრად რთული და პასუხსაგები ამოცანის შესრულება თითოეული მედესანტისაგან მოითხოვდა უდიდეს მამაცობასა და უშიშროებას, სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვას, ურთულეს ვითარებაში მოქმედების უნარს. ბატალიონი ნელა, მაგრამ დაჟინებით მიიწევდა წინ. როცა 3,5 კილომეტრით შეიჭრა სიღრმეში, ბატალიონმა გადაჭრა ღრმა ხევი, რომელიც „სიკვდილის ხეობას“ უერთდებოდა და აქ მოაწყო თავდაცვა უსახელო მალეობებზე. ამ მიჯნას იცავდნენ 1943 წლის 16 სექტემბრამდე, ესე იგი ნოვოროსიისკის განთავისუფლებამდე.

მონინალმდევე დღითიდლე სულ უფრო გააფთრებით უტევდა ბატალიონს, აწყობდა ფსიქიკურ შეტევებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თავდაცვის ხაზი ძალზე გაჭიმული იყო და მედესანტები ცოტანი იყვნენ, ფაშისტებმა თითქმის ვერსად რ შეძლეს თავდაცვის გარღვევა.

მცირე მიწაზე ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი კაპიტანი ი. ტერეშჩენკოს ქვედანაყოფმა. ერთხელ ბატალიონის მარჯვენა ფლანგზე განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა შეიქმნა. ტერეშჩენკომ დაუყოვნებლივ გაგზავნა იქ მეტყვიაფრქვევითა ოცეული ლეიტენანტ **აპოლონ კუჩუკაშვილის** მეთაურობით. მრავალი დღე-ღამის მანძილზე მისი მეზრძოლები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გააფთრებულ იერიშს, რომელიც ცდილობდა, შემოეწვლო მათთვის და ზურგში ჩაეცა ლახვარი. უშიშრად იბრძოდა თვით ლეიტენანტი. კუჩუკაშვილი ერთი ტყვიამფრქვევის ჯგუფიდან მეორეში გადადიოდა, ამხნევებდა მეტყვიაფრქვევებს. კრიტიკულ წუთებში კი



კონსტანტინე ლაშვილიძე

თვითონ წვებოდა „მაქსიმის“ ფართან და მუსრს ავლებდა მტერს. როცა მძიმედ დაიჭრა, ბრძოლის ველი არ დატოვა და გადაჭრით თქვა უარი, რომ დიდ მიწაზე გადაეყვანათ. როგორც კი ოდნავ მოიშუშა ჭრილობები, აპოლონი კვლავ დაბრუნდა სანგრებში. **მაცობისათვის ოფიცერი ა. კუჩუკაშვილი ერთ-ერთი პირველი დაჯილდოვდა მცირე მიწაზე წითელი დროშის ორდენით.**

...ამიერკავკასიის ფრონტის შავი ზღვის ჯგუფის ჯარების სარდლობა საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებდა მცირე მიწის თავდაცვის განმტკიცებისათვის, განუწყვეტლივ გზავნიდა იქ ახალ-ახალ ძალებს, მაგრამ, დიდი დანაკარგების გამო, აქ მაინც ძალიან ცოტა მეზრძოლი დარჩა. მეომართა პატარა ჯგუფებს დღენიდად უხდებოდათ მთელი ქვედანაყოფების ამოცანათა შესრულება. საბჭოთა მეომრებს კარგად ესმოდათ ვითარება და დაჭრილებიც კი არ ტოვებდნენ ბრძოლის ველს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდნენ მტერს.

ამ დროს კი გერმანელ-ფაშისტთა ჯარები, რომლებსაც ჰიტლერის ისტერიული ბრძანებები ახლებდა, სულ უფრო აძლიერებდ-

ნენ იერიშს და ცდილობდნენ, რადაც უნდა დაჯდომოდან, საბჭოთა მედესანტები ზღვაში გადაეგდოთ.

განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები იყო აპრილის შუა რიცხვებში. 17 აპრილს გარიჟრაჟზე ფაშისტებმა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალებით შეტევა ნაპოინყეს „მცირე მიწის“ თავდაცვის ფრონტზე. რამდენიმე დღისა და ღამის მანძილზე ისინი გააფთრებით უტევდნენ „მცირე მიწის“ დამცველებს. **მტრის მფრინავები დღე-ღამეში 2 ათასამდე თვითმფრინავ-გაფრენას ასწრებდნენ. პირველ ხუთ დღეში მათ ჩამოაგდეს 17350 ბომბზე მეტი, 80 საარტილერიო და სანალმსატყორცო ბატარეა, დღედაღამ ერთდროულად უშენდა ცეცხლს ჩვენს პოზიციებს. თითოეულ საბჭოთა მეომარზე ხუთ-ხუთი მძიმე ჭურვი მოდიოდა! მტრის ფოლადმა „მცირე მიწაზე“ ყველაფერი გადახნა და გაანადგურა, ყველაფერი, საბჭოთა დესანტის გარდა, საბჭოთა მეზრძოლებს გარდა.**

ჰიტლერელები ზედიზედ აყენებდნენ დარტყმებს იმ უბანს, რომელსაც 51-ე მსროლელთა ბრიგადა იცავდა. ამაში ადგილიც ზელ უწყობდათ. თავდაცვის მარცხენა ფლანგი მთავრდებოდა „სიკვდილის ხეობასთან“, რომელშიც შედარებით თავისუფლად მოქმედებდნენ არა მარტო მტრის ქვეითი ჯარი, არამედ ტანკებიც. გერმანელ-ფაშისტთა სარდლობას იმედი ჰქონდა, რომ სწორედ აქ გაარღვევდა თავდაცვას, გაჰყოფდა, დაანანევრებდა „მცირე მიწას“ და ნაწილ-ნაწილ გაანადგურებდა მის დამცველებს, მაგრამ ჰიტლერელთა ჩანაფიქრი ჩაიშალა. იგი ჩაშალეს საბჭოთა მეომრებმა, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ.

აპრილის ბრძოლების შემდეგ 51-ე ბრიგადის პირველი ბატალიონი კიდევ დიდხანს იცავდა ამ მონაკვეთს თავისი პატარა „სახლიდან“. შემდეგ იგი ახალ მონაკვეთზე გადაიყვანეს, მაგრამ „სახლი“ შემდგომშიც ემსახურებოდა „მცირე მიწის“ სხვა დამცველებს.

მცირე მინაზე ბრძოლების დროს 51-ე ბრიგადის პირადი შემადგენლობა იმდენად შეთხელდა, რომ იგი 107-ე მსროლელთა ცალკე ბრიგადას შეუერთეს. 51-ე მსროლელთა ბრიგადის მებრძოლებმა და მეთაურებმა, ისევე როგორც „მცირე მინის“ სხვა დამცველებმა, პირნათლად შეასრულეს თავიანთი მხედრული მოვალეობა. ისინი ღირსეულად იქცეოდნენ ბრძოლის ველზე, იხოცებოდნენ, მაგრამ მტერს არ ნებდებოდნენ.

„სამზის კომუნისტები“

მცირე მინის დამცველებს შორის ბევრი ქართველი იბრძოდა, მისი წლებში ისინი მოხვდნენ ფაშისტ ბარბაროსებთან ბრძოლის ამ უძნელეს მონაკვეთზე და მტკიცედ იტანდნენ ყველა განსაცდელს, ანადგურებდნენ მტერს, პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მხედრულ მოვალეობას საბჭოთა სამშობლოს წინაშე.

შავი ზღვის წითელდროშოვან ფლოტის გაზეთმა „ფლაგ როდინი“ სტატიის „ქართველი მატროსოვი“ აღწერა ჩვენი თანამემამულის, უმცროს ლეიტენანტ **ვასილ პეტრიაშვილის** გმირობა.

ნოვოროსიისკთან გააფთრებულ ბრძოლებში ვასილ პეტრიაშვილი თავის ოცეულთან ერთად დიდი სიმამაცით იბრძოდა, და როცა საჭირო გახდა, სამშობლოს შესწირა სიცოცხლე, ისევე როგორც იგი შესწირეს მატროსოვმა და ბევრმა სხვა საბჭოთა პირმა.

51-ე მსროლელთა ცალკე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მეთაურმა მატეა ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი **დავით თევდორეს ძე მდინარაძე** მცირე მინაზე 1943 წლის თებერვლიდან იბრძოდა. აპრილის გააფთრებულ ბრძოლებში, როცა წყდებოდა პლაცდარმის ბედი, ფაშისტებმა ბატალიონის ძირითად ძალებს მოსწვევით ლეიტენანტი მდინარაძე და მებრძოლთა პატარა ჯგუფი. ალყაშემორტყმული ოფიცერი არ დაბნეულა და მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია ფაშისტებს, რომლებიც

ბიც გააფთრებით უტყვედნენ ერთ მუჭა საბჭოთა მებრძოლებს. ხელყუმბარებით ცდილობდნენ მათს განადგურებას, მაგრამ მდინარაძე და მისი მებრძოლები გერმანელთა ხელყუმბარებს იჭერდნენ და ელვის სისწრაფით უკანვე ისროდნენ.

ბევრი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს ასე, მძიმედ დაიჭრა და სისხლისაგან იცლებოდა დავით მდინარაძე, მაგრამ კვლავ ხელმძღვანელობდა ბრძოლას, სანამ ამხანაგები არ მიეშველნენ და არ უკუაგდეს მტერი. ამ ბრძოლაში გმირმა ხელი დაკარგა.

მამაცურად იბრძოდა 897-ე სამთომსროლელთა პოლკის მე-3 ასეულის მეთაური **ილია ივანეს ძე ყოჩიაშვილი**. ჯერ კიდევ მცირე მინაზე გადასვლამდე მან თავი გამოიჩინა იალბუზის მისადგომებთან ბრძოლებში და წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. მისხაკოს მთაზე ბრძოლებში ასეულმა, რომელსაც ყოჩიაშვილი მეთაურობდა, ზურგიდან მოუარა მონინალმდეგეს და მოულოდნელი იერიშის შედეგად დაიკავა დიდმნიშვნელოვანი სიმაღლე, რომელსაც მტკიცედ იცავდა თავისი ნაწილის ძირითადი ძალების მოსვლამდე.

ვახტანგ ჩიქოვანი მცირე მინაზე იბრძოდა 330-ე გვარდიული მსროლელთა პოლკის შემადგენლობაში, სადაც ოცეულს მეთაურობდა. იგი ჩინებული სნაიპერი იყო და მუსრს ავლებდა ფაშისტ დამპყრობლებს. მცირე მინაზე ბრძოლების რთულ პირობებში ვახტანგმა მოამზადა პოლკის სნაიპერთა ჯგუფი — 26 მებრძოლი და მათთან ერთად დახოცა მონინალმდეგის 311 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩიქოვანს რკინისებური ნებისყოფა ჰქონდა, მას შეეძლო მთელი დღე ჩასაფრებული ყოფილიყო, თვალყური ედევნებინა მტრის სნაიპერებისათვის და მათსავე სოროებში ამოეულიტა ისინი.

ცეზარ კუნიკოვის რაზმში მამაცურად იბრძოდა ჩვენი თანამემამულე, სოხუმელი მედესანტი **ოთარ ჯაიანი**. ოთარი ერთ-ერთი

პირველთაგანი გადავიდა მცირე მინაზე და მას შემდეგ, რაც კუნიკოვლებმა პლაცდარმი დაიკავეს, მრავალი თვის მანძილზე ყველაზე პასუხსაგებ დავალებებს ასრულებდა. მამაცი მატროსების პატარა ჯგუფთან ერთად იგი მოტოპოტით საშიშ რეისებში დადიოდა გელენჯიკიდან და ტუაფსედან „მცირე მინაზე“ და მის დამცველებს ამარაგებდა საბრძოლო მასალითა და სურსათით.

სექტემბერში განსაკუთრებული დანიშნულების საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონის შემადგენლობაში ოთარი კვლავ მონაწილეობდა სადესანტო ოპერაციაში. ამჯერად დესანტი გადასხეს ნოვოროსიისკის ნავსადგურში. 1943 წლის ოქტომბერში გაზეთი „სოვეტსკაია აფხაზია“ წერდა, რომ ოთარ ჯაიანმა, რომელსაც დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა, პირადად დახოცა 37 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩაახშო 14 ტყვიამფრქვევის ცეცხლი, ხელყუმბარებით ააფეთქა 45 მილიმეტრიანი ზარბაზნების ბატარეა და 5 ძელმინური. მხედრული გმირობისათვის იგი დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით.

დიდი მამაცობა და გმირობა გამოიჩინა მცირე მინაზე 51-ე მსროლელთა ცალკე ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მზვერავთა ოცეულის მეთაურმა **გიორგი იშხანოვმა**. მისი მზვერავები თავდაუზოგავად, დღე იყო თუ ღამე, სწავლობდნენ მტრის თავდაცვას, აგნებდნენ მის საცეცხლე ნერტილებს, ცოცხალი ძალის თავმოყრის ადგილებს და ჩვენს არტილერიისტებს ეხმარებოდნენ მათს განადგურებაში.

დაუფიქარი მამაცობა გამოიჩინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების 290-ე ცალკე პოლკის მეტყვიამფრქვევთა ოცეულის ყოფილმა მეთაურმა **გური დოლიძემ** და კავშირგაბმულობის 552-ე ბატალიონის რიგითმა ჯარისკაცმა **გივი სიხარულიძემ**. ორგზის, მონაწილეობდა ნოვოროსიისკის დესანტში მეტყვიამფრქვევე დოლიძე. პირველად მცირე მინაზე გადავიდა

თებერვალში, მეორედ კი ნოვო-როსიისკის ნავსადგურში — 1943 წლის სექტემბერში. „მცირე მიწაზე“ დღისით იგი ცეცხლის ხაზზე იბრძოდა, ღამით კი ნაპირზე მიდიოდა, რათა სხვა მეზობლებთან ერთად ქვეგანაყოფში წამოეღო საბრძოლო მასალა, მედიკამენტები და სურსათი.

სულ ახალგაზრდა მოხვდა გივი სიხარულიძე მცირე მიწაზე. უშიშარი, საზრიანი მეკავშირე იყო. ერთხელ, როცა მტრის არტილერიამ ცეცხლი დაგვიშინა, ერთი ჭურვი ჩვენი საბრძოლო მასალის სანყობს მოხვდა. გივი სიკვდილს არ შეუშინდა. ცეცხლში შევარდა და გააუფნებლა ჭურვი, რომლის აფეთქება მთელ სანყობს მოსპობდა. გამორჩენილი მამაცობისათვის გივი სიხარულიძე წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს მცირე მიწაზე ბათუმელი **შოთა სირაძე**. აქ გახდა იგი კომუნისტი, ლენინური პარტიის ჯარისკაცი.

შვიდ თვეზე მეტ ხანს ებრძოდნენ მტერს მისხაკოს მთის პლაცდარმზე **გიორგი ლომიძე** და **სიმონ იოსებაშვილი**. ორივე ჯარისკაცმა მძიმე გზა განვლო. გიორგი მტერს ებრძოდა ჯერ კიდევ მარუხის უღელტეხილზე, სიმონმა კი პირველი საბრძოლო ნათლობა ტუაფსესთან მიიღო. შემდეგ ორივე „მცირე მიწას“ იცავდნენ, თავიანთ ქვეგანაყოფებთან ერთად დასავლეთისკენ ერეკებოდნენ ფაშისტებს.

საჰმარისია ითქვას, რომ მცირე მიწის მრავალ დამცველს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მათ შორის არიან ჩვენი თანამემამულენიც: ო. ჩაჩელაშვილი, თ. კოტანოვი, ა. გურბანიძე, რ. ბარცოვი, დ. კოვალნი, ი. კოპოსკარია, კ. ყოჩიშვილი, ლიტვინოვი, გ. მარკვილაძე, ბ. მუსტაფაშვილი, ვ. პილიპენკო, მ. სირტლანოვა, ე. უდალცოვი.

გამწარებულმა გერმანელებმა მცირე მიწის დამცველებს უწოდეს სიტყვები, რომლებიც ჩვენთვის

ვის გმირთა უმაღლეს ქება-დიდებად გაისმის: „სამგზის კომუნისტები“.

„მცირე მიწის“ დამცველები დღესაც იგონებენ, რაოდენ უბრალო და მისაწვდომი იყო კ.ნ. ლესელიძე. პლაცდარმზე რომ ჩამოდიოდა, გენერალი მეომრებს აცნობდა საქმეთა ვითარებას დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, ეკითხებოდა, კარგად თუ ამარაგებენ სურსათითა და საბრძოლო მასალით, მოდის თუ არა წერილები სახლიდან.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ ფრონტზე, განსაკუთრებით მის სამხრეთ ფრთაზე სტრატეგიული მდგომარეობის ძირეულად შეცვლა დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სარდლობას დაესვენებინა ჯარები, აენაზღაურებინა დანაკარგები, გადაეჯგუფებინა ძალები, რათა საბოლოოდ გაენადგურებინა ტამანის ნახევარკუნძულზე ჩაკეტილი მტრის ჯარების დიდი დაჯგუფება.

ამ პირობებში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი აქტიურ თავდაცვაზე გადავიდა, ძალას იკრებდა მტრის გასანადგურებლად. ფრონტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა, არ მიეცა ფაშისტური ჯარების ტამანის 440-ათასიანი დაჯგუფებისათვის მონაწილეობა მიეღო ვერმახტის 1943 წლის ზაფხულის შეტევის ოპერაციებში.

როგორ შეასრულა ეს ამოცანა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტმა?

ბუნებრივია, რომ ამ პირობებში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის გადასვლა აქტიურ თავდაცვაზე ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო. ფრონტის აქტიური თავდაცვა გერმანელთა ჯარებს მთელი ზაფხულის მანძილზე არ აძლევდა მოსვენებას. გერმანიის სარდლობას არ შეეძლო ფრონტის ამ უბნიდან მოეხსნა რომელიმე შენაერთი ვერმახტის საზაფხულო შეტევის ოპერაციებში გამოსაყენებლად.

გარდა ამისა, ტამანის ნახევარკუნძულზე ჩაკეტილი მე-17 არმიის მომარაგების უზრუნველსაყო-

ფად, გერმანიის სარდლობა იძულებული გახდა, გამოეყენებინა სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები.

ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულის აეროდრომებზე ჰიტლერელებმა თავი მოუყარეს ათასამდე თვითმფრინავს. გარდა ამისა, ბრძოლაში ჩაბმული იყო ორასამდე თვითმფრინავი, რომლებიც დონბასისა და უკრაინის სამხრეთში იყვნენ. გამოიყენა რამოკავშირეთა არმიების უმოქმედობა, ფაშისტებმა ჩრდილოეთი აფრიკიდან გადმოისროლეს მოზიკირე ბომბდამშენთა დიდი ჯგუფი და, აგრეთვე, ავიაგამანადგურებელთა რამდენიმე ჯგუფი ჰოლანდიიდან.

საჰაერო ბრძოლები, რომლებიც გაიმართა ყუბანის ცაზე, ყვილაზე ძლიერი იმყო ხანგრძლივობითა და მასში მონაწილე ძალების მიხედვითაც. 1943 წლის 17 აპრილიდან 7 ივნისამდე საბჭოთა ავიაციამ მოახდინა 35 ათასი საბრძოლო გაფრენა, მტარმა დააარბა 1.100 თვითმფრინავი, მათ შორის, 800 საჰაერო ბრძოლაში. ბრძოლების სიმწვავეზე მოწმობს ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთი საჰაერო ბრძოლაში, რომელიც ბრძოლადებოდა ერთი საათი, ჩამოაგდეს ფაშისტების 42 თვითმფრინავი.

1943 წლის თებერვალ-ივნისში ჩრდილოეთი კავკასიის ფრონტის ჯარებმა მონაწილეობა დაუხმეს 40 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 399 ქვემეხი, 180 ნაღმსატყორცნი, 26 ტანკი და დიდძალი სხვა საომარი ტექნიკა.

უკრაინასა და დონბასში საბჭოთა ჯარების 1943 წლის ზაფხულის შეტევის წარმატებით განვითარებამ ხელშემწყობი პირობები შეუქმნა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებს, რომ შემოდგომის დასაწყისში კვლავ შეტევაზე გადასულიყვნენ.

უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკმა ფრონტის ჯარებს დაუსახა ამოცანა — გაერ-

ღვით მოწინააღმდეგის თავდაცვა „ცისფერ ხაზზე“, გაეპოთ მტრის ჯარების დაჯგუფება, გასულიყვნენ საზღვაო გადასასვლელებთან, უკანდახევის გზა მოეჭრათ მტრისათვის და გაენადგურებინათ იგი.

წრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა უდიდესი მოსამზადებელი სამუშაო გასწიეს. ყველა სახეობის დაზვერვამ საგულდაგულოდ შეისწავლა ფაშისტთა თავდაცვის სისტემა. მზვერავები პოულობდნენ და რუკაზე აღნიშნავდნენ დანალმულ მინდვრებს, თავდაცვის კვანძებს, ჯარების განლაგებას, არტილერიის პოზიციებს.

...ნოვოროსიისკისთვის ბრძოლებში თავი ისახელეს 318-ე მსროლელთა დივიზიამ, ირკუტსკის 55-ე მსროლელთა გვარდიულმა დივიზიამ, მე-5 გვარდიულმა სატანკო ბრიგადამ, 83-ე ცალკე საზღვაო მსროლელთა ბრიგადამ, 88-ე და 889-ე ავიაპოლკებმა, მე-11 მოიერიშე ავიადივიზიამ, 69-ე, 81-ე, 108-ე, 1169-ე საარტილერიო პოლკებმა და მთელმა რიგმა სხვა შენაერთებმა.

16 სექტემბერს ნოვოროსიისკი გაათავისუფლეს. მიიმე სანახავი იყო განთავისუფლებული ნოვოროსიისკი 1943 წლის 16 სექტემბერს, მთელი ქალაქი ნაცარტუტად ქცეულიყო, რომელიღაც სარდაფში ერთი მოხუცი დედაკაცი იმალებოდა კატასთან ერთად, ეს იყო და ეს.

მესანგრეები მუშაობდნენ, ათასობით ნალმს, ფუგასს, აუფეთქებელ ბომბს და ჭურვს პოულობდნენ და ქალაქგარეთ გაჰქონდათ.

ასეთი სურათის ნახვა ნოვოროსიისკში არც არის გასაკვირი. ფაშისტები გეგმაზომიერად ანადგურებდნენ ქალაქს. ამაზე მეტყველებს ჰიტლერის ბრძანება „პირობითი სახელწოდება ყუბანიდან უკანდახევის ოპერაციისა „კრიმჰილდას მოძრაობა“. ეს ბრძანება გამოცემულია 1943 წლის 4 სექტემბერს:

„დანგრევი უკანდახევის დროს:

ა) აუცილებლად დაინგრეს მო-

წინააღმდეგისათვის გამოსადეგი ყველა ნაგებობა, განლაგების ადგილები, გზები, ხელოვნური ნაგებობანი, კაშხალები და ა.შ.

ბ) ყველა რკინიგზა და საველე გზები უნდა მოიხსნას ან მთლიანად დაინგრეს.

გ) ყველა აგებული ძელური ხერგები გ. ანადგურდეს.

დ) ბუყანის ხიდისწინა სიმაგრეების რაიონში მყოფი ნავთობის მოსაპოვებელი ნაგებობანი სრულიად განადგურდეს.

ე) ნოვოროსიისკის პორტი ისე უნდა იქნეს განადგურებული და დანაგვიანებული, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში არ იყოს გამოყენებული რუსეთის ფლოტის მიერ.

ვ) დანგრევებს ეკუთვნის, აგრეთვე, დასახლებული პუნქტის დანალმა.

ზ) მოწინააღმდეგემ უნდა მიიღოს უდაბური, უკაცრიელი მიწა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იქნება უვარგისი საცხოვრებლად, და სადაც თევების განმავლობაში იქნება ნალმების აფეთქება“.

მე-18 არმიის შემადგენლობაში ყუბანის განთავისუფლების დამთავრებულ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა 414-ე მსროლელთა ქართული დივიზია, პოლკოვნიკ გ. ყურაშვილის მეთაურობით. დივიზიამ, რომელმაც შეტევა დაიწყო 21 სექტემბერს, მტკიცე ბრძოლებით გაათავისუფლა სტანიცა გრეკო-მაისკაია, ნატუხაევსკაია, რაევსკაია, სემიგორიე, კარუსევსკაია, ანაპსკაია, ბოლოს მტურმით აიღო ანაპა.

ანაპისთვის ბრძოლებში 414-ე დივიზიის ბევრმა ჯარისკცმა და ოფიცერმა გამოიჩინა მამაცობა და თავდადება. სტანიცა ანაპსკისთვის ბრძოლაში მწყობრიდან გამოვიდა 1371-ე მსროლელთა პოლკის მე-2 ბატალიონის მეთაური პ. სარალიძე. ბატალიონის შეტევა შენელდა. ამ დროს ბატალიონის მეთაურის მოადგილემ პოლიტნაწილში, კაპიტანმა აბდულ ნულუკიძემ იკისრა ბატალიონის ხელმძღვანელობა და წინ

წაუძღვა ჯარისკაცებს. ბატალიონმა შეასრულა თავისი ამოცანა. ამ ბრძოლაში კაპიტანმა ა. ნულუკიძემ მოკლა 17 და ტყვედ წაიყვანა 3 ფაშისტი. მეავტომატეთა ათეულის მეთაური, სერჟანტი ა. სვანიძე პირველი შეიჭრა ანაპაში და ავტომატით 16 ფაშისტი მოსპო. მე-9 ასეულის ოცეულის მეთაურის თანაშემწემ უფროსმა სერჟანტმა კ. ქირიამ ანაპის მისადგომებთან 8 ფაშისტი მოსპო, ანაპაში კიდევ — 4. მეტყვიამფრქვევე ვ. ნიგნაძემ მოსპო მტრის 2 საცეცხლე წერტი და 25-მდე ფაშისტი.

გამოჩენილი გმირებისათვის, მამაცობისა და მამაცობისათვის 414-ე დივიზიის 2820 ჯარისკაცი და ოფიცერი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო დივიზიას მიენიჭა ანაპის დივიზიის საპატიო სახელი.

ნოვოროსიისკის აღების შემდეგ გერმანელ-ფაშისტთა ჯარების თავდაცვა ტამანის ნახევარკუნძულზე დღითიდღე სუსტდებოდა და ირღვეოდა. ძლევამოსილი საბჭოთა ჯარები სწრაფად ავითარებდნენ შეტევას და ყველა მიჯნაზე მუსრს ავლებდნენ ფაშისტურ ჯარებს.

ტამანისათვის ბრძოლებში თავი ისახელა 276-ე მსროლელთა ქართულმა დივიზიამ, რომელმაც გააფთრებული ბრძოლით გაათავისუფლა ქალაქი თემრუკი, რისთვისაც მიენიჭა თემრუკის დივიზიის საპატიო წოდება.

გერმანელებმა ტამანის ნახევარკუნძულზე დაკარგეს 200 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

1943 წლის 9 ოქტომბერს ბრძოლები ტამანის ნახევარკუნძულზე დამთავრდა. დამთავრდა, აგრეთვე, ბრძოლა კავკასიისთვის.


საბჭოთა არმიისა და ხალხის გამარჯვება კავკასიისათვის წარმოებულ ბრძოლაში არის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

პ. ციტიშვილის წიგნიდან „ბრძოლა კავკასიისთვის“, ბათუმი, 1974 წ.

«ქართული მიქელანჯელო» — მერაბ ბერძენიშვილი

ასე უწოდა მას პროფესორმა, ფილოსოფიურ მეცნიერებათა
დოქტორმა, კულტურის ისტორიის სპეციალისტმა მოისეი კაგანმა
(1921—2006).

„მხატვარი ყოველგვარ ვითარებაში თავისი ერის შვილად რჩება. ის ქართველია თავისი ტემპერამენტით, ქალთან რაინდული დამოკიდებულებით, მამაკაცთა ვაჟკაცობისთვის ხოტბის შესხმით, ადამიანის ყოფაში ბუნების როლის გააზრებით, რაც გამოვლენილია მის ყველა შემოქმედურ კომპოზიციაში გრანდიოზული ლანდშაფტის ჩართვით; ს. ზაქარიაძის საფლავის ქვასა (1974წ.) და კომპოზიციაში „შემოდგომა“ (1978 წ.) ყურძნის მტევნის სიმბოლოს გამოსახვით; ამასვე ავლენს მონუმენტური გააზრება ცხოველების სახეებისა — ცხენებისა და არწივების. კიდევ ერთხელ მინდა მივაპყრო ყურადღება ერთი და იმავე კომპოზიციის გამეორებას „ადამსა და ევაში“ და რელიეფებში „სიყვარული“ და „მუსიკის დაბადება“, რაც ზოგადსაკაცობრიო საწყისთა პრიორიტეტებზე მეტყველებს, და რომელთან მიმართაც ეროვნულია ამ არსის გამოვლინების ფორმა. ამიტომაც არის, რომ ქართველი კაცი მოქანდაკის ქმნილებაში მომეტებული სიმძაფრით გრძნობს რაღაც თავისას, თანახმიერს, მშობლიურს, თუმცა საქართველოში ჩამოსული უცხოელიც აღიქვამს და იგებს ამ ქმნილებებს არა როგორც ეგზოტიკურ-ეთნოგრაფიულ პერსონაჟებსა და მოვლენებს, არამედ, როგორც მისდამი მიმართვას, მასთან გამართულ დიალოგს, როგორც მისი სულის ამამალებელ ძალას, რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს თვითონ.... ჩემი აზრით, ეს ყოველივე იმიტომ ხდება, რომ მერაბ ბერძენიშვილი არა მხოლოდ ნიკოლოზ კანდელაკის მოწაფეა, არამედ მიქელანჯელოს მოწაფეც. ჰოდა, მზად ვარ, მერაბ ბერძენიშვილს ვუწოდო „ქართველი მიქელანჯელო“, და მე ამ დასკვნას მკარნახობს მონუმენტური ქანდაკების ბუნების წვდომა და ის როლი, რომელსაც ბერძენიშვილის შემოქმედება ხელოვნების ამ დარგის ისტორიაში თამაშობს, ეროვნული და, ამავე დროს, ზოგადსაკაცობრიო ისტორიაში“, — წერს მოისეი კაგანი.



მერაბ ბერძენიშვილი დაიბადა 1929 წლის 10 ივნისს, ქალაქ თბილისში.

1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მშობლიურ აკადემიაში. 1988 წლიდან პროფესორია. მუშაობდა, ძირითადად, მონუმენტური ქანდაკების დარგში. მის ნამუშევრებს ახასიათებს ფორმების დინამიზმი, გამომსახველი პლასტიკურობა, შინაგანი დრამატიზმი. ძირითადი ნამუშევრებია: „რუსთაველი“ (1956 წელი, თაბაშირი); „რუსთაველი“ (1966 წელი, ბრინჯაო — მოსკოვი); „ვახტანგ გორგასლის ძეგლის პროექტი“ (1958 წელი, მიენიჭა II პრემია); მონუმენტები: „დავით გურამიშვილი“ (1965 წელი, თუჯი — თბილისი); „გიორგი სააკაძე“ (1971 წელი,

ბრინჯაო — კასპი); „მედეა“ (1968 წელი, ბრინჯაო — ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსი); „მუზა“ (1971 წელი, ბრინჯაო — თბილისი); „კიდევაც დაიზრდებიან...“ (1975 წელი, ბრინჯაო — მარნეული, რაშიც 1976 წელს მიიღო სსრკ სახელმწიფო პრემია); „ლაოსის მეფის მონუმენტი“ (1975 წელი, ბრინჯაო — ვიენტიანი, ლუანგ-პრაბანგი); სკულპტურული პორტრეტები: „ქართველი ქალი“ (1958 წელი, ბრინჯაო, მიიღო რამდენიმე პრემია); 1960 წელს მიიღო მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალის დიპლომა); „ლადო ქოქიაშვილი“ (1958 წელი, ბრინჯაო); „კოტე მარჯანიშვილი“ (1966 წელი, დურალუმინი — თბილისი); მეტროსადგური „მარჯანიშვილი“ (1985 წელი); „ილია ჭავჭავაძე“ (ბრინჯაო, — თბილისი); „ტიციან

ტაბიძე“ (1994 წელი, ბრინჯაო — თბილისი, ყვარელი); „დოდო აბაშიძე“ (1995 წელი, ბრინჯაო — თბილისი); ნოდარ დუმბაძის მემორიალი (1986 წელი, ბრინჯაო); დიდგორის მემორიალი (1991 წელი); ფერწერა და გრაფიკა: „მამაკაცის პორტრეტი“, 1959 წელი; „პარიზის ჩანახატები“, 1963 წელი; „გიორგი სააკაძე“, 1975 წელი.

1955 წელს დიდგორის სკულპტურულ-არქიტექტურული მემორიალის შექმნისთვის, არქიტექტორ თამაზ გუნიასთან ერთად, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. მერაბ ბერძენიშვილი წარმატებით მუშაობდა, აგრეთვე, ნიგნის გრაფიკის, თეატრალური პლასტიკისა და აფიშის სფეროშიც. აღსანიშნავია მოქანდაკის მემუარულ-მხატვრული ხასიათის ლი-

ტერატურული ნაშრომი „ზარი“ (1979 წელი); „მშვენიერება და სიმახინჯე“ (2004 წელი).

1978 წელს მიენიჭა საქართველოს და 1984 წელს – სსრკ სახალხო მხატვრის წოდება. 1990 წლიდან იყო საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1996 წლიდან – რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრკორესპონდენტი, 1994 წლიდან — საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე.

1983 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. იყო რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები: 2001 წელს მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატის — ფ. ნანსენის სამახსოვრო მედალი. 2002 წელს საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა მერაბ ბერძენიშვილს გადასცა ჯილდო „XX საუკუნის მიღწევებისთვის“.

მერაბ ბერძენიშვილი გარდაიცვალა 17 სექტემბერს, 87 წლისა. მან სამუდამო სასუფეველი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაიმკვიდრა.

ნავიდა და თან გაიყოლა უამრავი ტკივილი სამშობლოზე, მშობელ ერზე:

*რომ „სიტყვა ეროვნულობა ბევრს ღიმილსა ჰგვრის, – არ ესმით და არა აქვთ გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა. ეს ის ხალხია, რომელთა წყალობით მიმბადვებლობამ ნაღვეს ყველაფერი. დღეს მსოფლიო ერთ ხმაში მღერის, მძვინვარებს უსახური, უღიმღამო ხელოვნების გაფეტიშება, განსაკუთრებით ჩვენში. ეს მწარე შეცდომა წარმოიქმნება მაშინ, როცა ამერიკელი თუ იაპონელი მომღერლისგან „შევისწავლით“ ხასან-ბეგურასა და ჩაკრულოს, როგორც „უნიკალურს“, უცხოეთიდან შემოტანილსა და ვაგლას, აღარ გვეცოდინება, რომ ის ოდესღაც თავად გავაჩუქეთ“.

*რომ „სიტყვა ტრადიცია ზოგიერთებს ღიმილს გვრის, რადგან წარმოდგენა არ აქვთ, რა არის ეს. შეიძლება ტრადიციაში ბევრი რამ

უხეში იყოს, რომელიც, ცხადია, უნდა გაქრეს. ოცდამეერთე საუკუნეა და მას თავისი მოთხოვნები აქვს, მაგრამ სიყვარული კაცთა, სიყვარული მეგობრის, სიყვარული საერთოდ, რაც ჩვენ ტრადიციაში ღრმად დევს — ამის დაკარგვა ხომ დანაშაულია!..“

*რომ საქართველოში ხელგანვდილი ქართველი კი არ უნდა ცხოვრობდეს, არამედ „ვაჟკაცი, სულთით ამალღებული და კეთილშობილი კაცები და ქალბატონები, ამაყი და არსით მშვენიერი გოგონები და ჭაბუკები. სწორედ ამას უნდა მოვუბრუნდეთ, რადგან ხელგანვდილ ქართველს მთელ ჩვენს ისტორიაში ვერ ვნახავთ, არ არსებობს. ცნობილია, რომ ვისაც ვაზი გააჩნია და იქ, სადაც მზე მცხუნვარეა, ლალნი და მშვენიერნი იზადებიან“.

*რომ „ჩვენ უაღრესად დიდი პატივი უნდა ვცეთ წარსულს, რადგან ჩვენ უძველესი ერი ვართ, თუნდაც იმას, რომ ჩვენ საკუთარი დამწერლობა გავგაჩნია, რაც მთელ მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია.

ამ დროს კი აკლებული ვართ უცხოური რეკლამებით – „ჩანვდით ამერიკულ სულს!“, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ რუსულ იმპერიას და ახლა სხვაგან გავრბივართ. ნუთუ მარტო ცხოვრება არ შეგვიძლია?!

მონობა მარტო იმაში კი არ გამოიხატება, ვილაცამ ჯოხით გმართოს. **მონობაა, როდესაც საპუთარს ვერ ბრძნობ და გინდა, მიგზაპველობით სხვისი ბასედი“.**

*რომ „ეროვნული ფესვების, ძეგლების, ტრადიციების უარყოფა ღრმა უფსკრულისკენ მიგვაქანებს. იქიდან ამოსვლა კი თვით „მითური ამირანისთვისაც“ ძნელია“.

***რომ „უკვე აშენებული და აგებული ალბა, ნგრევა, აწეთება გარბაროსობა და ველურობაა.**

ხელოვნების იდეოლოგიაზაციის ეს პროცესი დღესაც გრძელდება; ჩინოვნიკებს უჭირთ ხელოვნების ნაწარმოების გაგება და ამიტომ, როგორც წესი, სასაცილო ხდება ხოლმე, როცა ხელოვანის საქმეებში ერევინ. სასაცილო და ტრაგიკული, ერთდროულად“.

*რომ „დღეს ხელოვანი ჰგავს ადიდებული მდინარის გაღმა ნაპირზე დარჩენილ კაცს, რომელიც კივის, ყიჟინებს, მაგრამ სოფელს მისი ხმა არ ესმის“.

მერაბ ბერძენიშვილი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ისტორიის „გადაწერას“ ცდილობს, ამიტომაც ყველაფერს, რაც საბჭოთა წარსულს უკავშირდება, ნეგატიურად აღიქვამს. წარსულის უარყოფა, მოქანდაკის აზრით, საერთოდ, კულტურის უარყოფას ნიშნავს... კულტურისა და იმ გმირებისა, რომლებიც ისტორიამ და კულტურამ შექმნა.

იძინეთ მშვიდად, ბატონო მერაბ, რადგან „ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი, ათასეული წლები წაღეკავენ ირგვლივ ყოველივეს“, თქვენს ხელქმნილ ძეგლებს კი ვერავინ ვერაფერს დააკლებს.

მერაბ ბერძენიშვილის თქმით, „დიდებას მემორიალი“ არა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის წლებში დაღუპულ ჯარისკაცებს ეძღვნება, არამედ ყველას, ვინც ომის წინააღმდეგ გამოდის... შეიძლება ითქვას, პაციფისტური ძეგლია, რომელიც, ამავე დროს, ომში დაღუპული გმირების მარადიულ ხსოვნას ამკვიდრებს. 1981 წელს, ეგრეთ წოდებული „ზასტოის ეპოქაში“, გაქანებული „ცივი ომის“ დროს, როცა საბჭოთა ტანკები ავღანეთში შეიჭრნენ, ასეთი ძეგლის დადგმაც გმირობის ტოლფასი იყო, გარკვეული თვალსაზრისით...

ჩვენს დროში კი ეს ძეგლი „საბჭოთა ხელოვნებად“ მონათლეს, რამაც ძალიან დასწყვიტა გული მოქანდაკეს... ამხელა შრომა რამდენიმე წამში რომ გაუნადგურეს იმათ, ვინც საერთოდ ვერ ერკვევა ხელოვნებაში.



დიდუბის მემორიალი, ქუთაისი



ISSN 1987-5908



9 771987 590006